ლიბერალი

№ 107 / 17 - 23 სექტემბერი / 2012

რას გვიჩვენებს NDI-ს კვლევა გვ. 10

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური შეცდომები გვ. 18

პედაგოგთა დევნა პოლიტიკური ნიშნით გვ. 30

რატომ ვერ ვითარდება საქართველოში ლიზინგი? გვ. 34

პანკისის მწარე დღეები გვ. 56

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ფასი 2 ლარი

ინტერვიუ

ლინკოლნ მიტჩელთან

"მოსკოვს ანყობს ეს ხელისუფლება"

გვ. 12

ეცადე დაინახო მეტი

www.tv9.ge

ლიბერალი

№ 107 / 17 -23 სექტემბერი / 2012

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

ჟურნალისტები:
ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ლევან ახალაია, სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუცია:
პაატა ქურდაძე, კახა თოლორდავა, დავით ბუხრიკიძე, ქეთი ქანთარია, ჯორჯ უელტონი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი ნინო ბექიშვილი
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge

რედაქტორისგან

„ლიბერალის“ ამ ნომერზე მუშაობისას, არაერთხელ დაგვჭირდა ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაკავშირება და მთელი კვირის მანძილზე, რედაქციაში ყველაზე ხშირად „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურის უფროსის, გიორგი პატარაიას სახელი და გვარი ყველა ბრუნვაში ისმოდა. მისი გავლით უნდა დაგვეგეგმა ყველა ინტერვიუ თუ სატელეფონო კომენტარი. „პატარაიამ მითხრა, მოგვიანებით დამირეკეო“, „პატარაიამ მითხრა, ეს ჩვენს წინასაარჩევნო სტრატეგიაში არ ჯდება და ვერ დაგალაპარაკებთო“, „პატარაია ყურმილს აღარ პასუხობს“, „პატარაიამ ერთ საათში დაგირეკავო და 3 საათი გავიდა“ – რედაქციამ, პატარაიას ნიადაგზე, აშკარად ნევროზი აიკიდა.

არადა, ოთხ სხვადასხვა სტატიაზე გვჭირდებოდა პატარაია.

ხელისუფლება დაუღალავად საუბრობს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატების „ძველ სახეებზე“. გვაინტერესებდა „ოცნების“ პოლიტიკურად დაღდასმულ ადამიანებზე „ნაციონალების“ არგუმენტები. წესით, ენთუზიაზმით უნდა დაგვლაპარაკებოდნენ ამ თემაზე, მაგრამ არა. ჩიორა თაქთაქიშვილმა მოგვწერა, ყველამ ყველაფერი კარგად იცის და ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ჩვენს გეგმებზე საუბარიაო.

„ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო სტრატეგიაში არ შედის“ (გიორგი პატარაია) „ნაციონალების“ პროპორციული სიის მეხუთე ნომერთან, 21 წლის დეპუტატობის კანდიდატთან, მარიამ საჯაიასთან ინტერვიუც. არადა, ქალბატონი მარიამისადმი საჯარო ინტერესი სრულიად ლოგიკურია, ჰო? საკანონმდებლო ცვლილებების წყალობით, შესაძლოა, მომავალი მოწვევის პარლამენტში 21 წლის დეპუტატი გვყავდეს, თან სიის მეხუთე ნომერია. გაუგებარია, რატომ მიაჩნიათ, რომ მარიამი ვერ შეძლებს წინასაარჩევნოდ პრესასთან გამკლავებას. ის ხომ დეპუტატი უნდა გახდეს?

სახელისუფლებო წყაროები გვჭირდებოდნენ „ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური შეცდომების“ შეფასებისასაც. რიტორიკა რიტორიკად, მაგრამ გვინდოდა ჩაგვეწერა კონკრეტული ფაქტები, არგუმენტები და შეფასებები. არც ეს შევიდა „ნაციონალების“ წინასაარჩევნო სტრატეგიაში.

თითქოს სრულიად „უწყინარი“ თემა იყო ხელისუფლების ახალი თავდაცვის კონცეფცია, მომაკვდინებელი სათაურით „3T – ტოტალური ზრუნვა, ტოტალური ტრენინგი და ტოტალური თავდაცვა“. ვცდილობდით, დავკავშირებოდით ბატონ აკაკი მინაშვილს, დავით დარჩიაშვილს, თავად გივი თარგამაძესაც კი და, რა თქმა უნდა, თავდაცვის სამინისტროს. უშედეგოდ.

ეს ყველაფერი შევჩივლეთ ბატონ მიხეილ მაჭავარიანს, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივანს. მესმის, რომ ძალიან ბევრი საქმეა და ბატონი მიხეილიც სულ მანქანაშია, მაგრამ ბატონებო, ასეთ პირობებში მუშაობა ძალიან რთულია, მით უფრო დამოუკიდებელი მედიისათვის, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ და, მოსაწყენ საქმეს, დაბალანსებული ჟურნალისტიკის კეთებას ცდილობს.

შორენა შავერდაშვილი

ფოტო: ლევან ხარბედია

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური შესდომები

არათანმიმდევრული პოლიტიკური რიტორიკა და ურთიერთგამომრიცხავი გამონათქვამები, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური სპექტრის ეკლექტურობა, საკადრო შეცდომები, ხისტი ურთიერთობა მედიასთან და სატელევიზიო დებატებზე უარის თქმა – ექსპერტები და პოლიტიკოსები ამ ყველაფერს ბიძინა ივანიშვილს სერიოზულ ხარვეზებად უთვლიან.

„ქართული ოცნება“ ერთმანეთისგან არა მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებებით, არამედ, ღირებულებებით სრულიად განსხვავებულ ძალებს აერთიანებს. მეტიც, ივანიშვილი მაჟორიტარებად ასახელებს ღია ქსენოფობებს, პოლიტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ პოლიტიკური ქულები სხვადასხვა ჯგუფის დისკრიმინაციით და ვიწრო ეთნონაციონალისტური რიტორიკით დაიწერონ.

ნინო ბექიშვილი
გვ.18

ჰედბოგბები და ჯაჰსიჰასგები ნასმოძჰაობის 8 სექტემგჰის ყჰილობაზე

8 სექტემბერს საქართველოს თერთმეტ რეგიონში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა გაიმართა. პირველ სექტემბერს დაანონსებული ეს შეხვედრები, ლაფანყურის სპეცოპერაციის გამო, ერთი კვირით გადაიდო. ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ახალციხეში, გორში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, ამბროლაურსა და თბილისში მმართველი პარტიის შეხვედრები, დაახლოებით, თითო საათს გაგრძელდა.

გიორგი გოგუა
გვ.22

მოზაჰდები მომავლის გაჰეშე

ამ ბავშვების უმეტესობა 18 წლამდე, ბავშვებზე ზრუნვის გაუმართავი სახელმწიფო პროგრამების გამო, ძირითად დროს ქუჩაში ატარებდა. შესაბამისად, მათ უმეტესობას სკოლაში არ უვლია და წერა-კითხვა ცუდად იცის. არასრულფასოვანი სოციალიზაციის პროცესისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების არარსებობის გამო

ფოტო: ლევან ხარბედია

დასაქმება და დამოუკიდებლად არსებობა მათთვის გადაუჭრელი პრობლემაა. ფსიქოლოგისა და ასოციაცია „მკურნალის“ ხელმძღვანელის, ნინო ჭუბაბრიას თქმით, „ქუჩის ბავშვების“ პირველი ტალღა 200-მდე ბავშვს ითვლის, მათგან თავშესაფარმა მხოლოდ 15-ის მიღება შეძლო. სრულწლოვანების გამო ყველა სახელმწიფო პროგრამა მათთვის დახურულია.

თინა ყიფშიძე
გვ.42

ხას ბვიჩვენებს NDI-ს ხვლევა

NDI-ს კვლევის შედეგების თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა 37% ამბობს, რომ ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცემს, ხოლო 12%-ს ხმის მიცემა „ქართული ოცნებისთვის“ აქვს გადაწყვეტილი. გვაძლევს თუ არა ეს მონაცემები რაიმე მინიშნებას არჩევნების შესაძლო შედეგებზე და თუ გვაძლევს, რა მინიშნებებია ეს?

ჯორჯ ველტონი
გვ.10

ფოტორეპორტაჟი

DOUBLE ALIENS

ფოტო: დარო სულაკაური

დარო სულაკაურის ფოტორეპორტაჟი
გვ.44–51

ნომერში:

ფოტო: ბარაბანზე ლევან ხარბედია

04 მოკლედ
06 რიცხვები, ციტატები
ორი აზრი
08 უნდა შეფასდეს თუ არა პედაგოგის კვალიფიკაცია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებით?
ინტერვიუ
12 „მოსკოვს აწყობს ეს ხელისუფლება“
არჩევნები 2012
24 ბრძოლა თბილისისთვის
28 ოპოზიცია საარჩევნო დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობას ითხოვს
ჟურნალისტური გამოძიება
30 პედაგოგთა დევნა პოლიტიკური ნიშნით
ეკონომიკა
34 რატომ ვერ ვითარდება საქართველოში ლიზინგი?
თავდაცვა
37 ტოტალური ზრუნვა, ტოტალური ტრენინგი, ტოტალური თავდაცვა
მეზობლები
40 დიდი თურქული მედიასაქმე
კომენტარი
52 როგორ გავაცოცხლეთ „მკვდარი კურდღელი“
კომენტარი
54 „რელიგია, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა“
56 პანკისის მწარე დღეები
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
58 არნასწავლი გაკვეთილები
60 მიშიზმები

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ლიბიაში ამერიკის ელჩი მოკლეს

ლიბიის ქალაქ ბენღაზიში ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოზე თავდასხმის შედეგად საკონსულოს ოთხი წარმომადგენელი დაიღუპა. მათ შორის ამერიკის ელჩი ლიბიაში, კრისტოფერ სტივენსიც.
ამერიკის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ლიბიელების გაღიზიანება ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსულმა ფილმმა „ისლამის უდანაშაულობამ“ გამოიწვია. ფილმი არასახარბიელოდ წარმოაჩენს მუსულმანებსა და მათ წმინდანებს. ფილმს ანტიამერიკული საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა ირანში, ეგვიპტესა და ლიბიაში. 11 სექტემბრის 11 წლისთავზე, ლიბიაში ღამით ამერიკის საკონსულოში შეიარაღებული პირები შეიჭრნენ და თვითნაკეთი ყუმბარები და რეაქტიული ჭურვები შეყარეს. მათ ცეცხლი წაუკიდეს საკონსულოს შენობას.
ლიბიის ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე დაძაბული ვითარება შეიქმნა ეგვიპტეში ამერიკის საკონსულოსთანაც, სადაც საკუთარი პროტესტის გამოსახატავად შეკრებილმა მუსულმანებმა შეერთებული შტატების დროშა ჩამოგლიჯეს და მუსლიმთა შავი ალამი აღმართეს.
მოგვიანებით, საელჩომ განცხადება გაავრცელა. თუმცა, კაიროში არეულობა მომდევნო დღეებშიც გავრცელდა. 14 სექტემბერს დემონსტრანტებმა ქვები დაუშინეს პოლიციას, რომელიც საელჩოს შენობას იცავდა. აქციის ძალადობრივი გზით დაშლისას დაზიანებები მიიღო 31-მა პოლიციელმა და 224-მა დემონსტრანტმა. 37 დემონსტრანტი კი დააკავეს.
ამერიკის საელჩოს თავს დაესხნენ იემენშიც. წინასწარმეტყველ მუჰამედის შესახებ გადაღებული ფილმით აღშფოთებულმა მუსულმანებმა საელჩოს ფანჯრები ჩაამსხვრიეს და შეერთებული შტატების დროშა დაწვეს. მათ ცეცხლი წაუკიდეს მანქანებსაც. პოლიციამ პროტესტანტები ძალის გამოყენებით დაშალა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. დაიღუპა 3 და დაიჭრა 30-მდე ადამიანი.
მოგვიანებით ბენღაზიში ელჩის დაღუპვის შემდეგ საგანგებო განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომელიც ამერიკელებს ელჩის მკვლელთა დასჯას დაჰპირდა. მისი თქმით, შტატების მთავრობა მკვლელების გამოსავლენად და სასამართლოს წინაშე წარსადგენად ლიბიის მთავრობასთან ერთად იმოქმედებს. თუმცა ვაშინგტონს ჯერ ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია, ლიბიაში ამერიკის საკონსულოზე თავდასხმა 11 სექტემბრის წლისთავის შესახსენებლად ტერორისტების ორგანიზებული იყო თუ ისლამის მიმდევართა აღშფოთების სპონტანურ გამოხატულებას წარმოადგენდა.
შეერთებულმა შტატებმა ლიბიაში ორი საზღვაო გამანადგურებელი ესკადრა და 50 საზღვაო ფეხოსანი გაგზავნა.
ელჩის დაღუპვის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები. მუსლიმური ქვეყნების ხელმძღვანელები კი მუსლიმთა გრძნობების შეურაცხმყოფელ ფილმს გმობენ და ამერიკის მთავრობას მსგავსი ტიპის ქმედებებისადმი გულგრილობით, მის ირიბ წახალისებაში ადანაშაულებენ.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განცხადება MUST CARRY-ზე

„ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ელოდება, რომ Must carry-ის პრინციპი არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება“ – განაცხადა საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა ლუკა ვოლონტემ.
მისივე თქმით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიესალმება Must carry-ის და Must offer-ის კანონის მიღებას, თუმცა Must carry-ის პრინციპი არჩევნების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს.
როგორც ვოლონტემ აღნიშნა, მასმედია ინფორმაციის უპირველესი წყაროა, ამიტომ წინასაარჩევნო პროცესებში ის უდიდეს როლს თამაშობს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელი პირობაა, არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიას თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი მედიასაშუალებებზე და გაშუქდეს მათი საქმიანობა.
„ჩვენი დელეგაცია ხელისუფლებას სთხოვს, განიხილოს Must carry-ის და Must offer-ის გახანგრძლივების შესაძლებლობა, სანამ საარჩევნო პროცესი საბოლოოდ არ დასრულდება“, – განაცხადა ლუკა ვოლონტემ.
მისივე თქმით, საკაბელო ტელევიზიები არ არის ფართოდ გავრცელებული რეგიონში, ამიტომ დელეგაციის ხელმძღვანელი მოუწოდებს ხელისუფლებას, მოიძიოს ყველა შესაძლებლობა და რეგიონებს მედიაზე წვდომის საშუალება მიეცეთ.

ტომას მელიას ვიზიტი საქართველოში

10 სექტემბერს საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე თომას მელია ესტუმრა. ამავე დღეს თომას მელია ოპოზიციური პარტიების ლიდერებს შეხვდა და მათგან წინასაარჩევნოდ შექმნილ პრობლემებზე მიიღო ინფორმაცია.

„ჩვენ არ ვანიჭებთ უპირატესობას რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას თუ კანდიდატს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას იმ ლიდერებთან, რომლებსაც ქართველი ხალხი აირჩევს ამ არჩევნებზე. მომავალი არჩევნები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საქართველოს წინსვლისათვის მისი ევროატლანტიკური მისწრაფებების თვალსაზრისით. წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანიის სამართლიანობის საშინაო და საგარეო აღქმა – ვგულისხმობ მედიაზე ხელმისაწვდომობას, კანონის უზენაესობის დაცვას, დავების სამართლიან განხილვას – საქართველოს დემოკრატიული განვითარების მთავარი ინდიკატორი იქნება“, – განაცხადა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე.

თომას მელიამ ხაზი გაუსვა წინასაარჩევნოდ ყველა პოლიტიკური ძალისათვის თანაბარი პოლიტიკური პირობების მნიშვნელობას.

„პატივისცემა მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლების და შეკრების თავისუფლებისა დემოკრატიული საზოგადოების ნიშანია. ამ კვირაში ყველა წამყვანი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისგან გვესმოდა, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა იარონ მთელ ქვეყანაში, შეხვდნენ ამომრჩევლებს და საკუთარი სათქმელი მიიტანონ ამომრჩევლებამდე. ამ საუბრების დროს ჩვენ ასევე ვთხოვეთ ყველას, რომ თავი შეიკავონ ძალადობისგან და თავიდან აიცილონ პროვოკაციები“, – განაცხადა თომას მელიამ და პარტიებს ძალადობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა ავღანეთიდან სამხედრო ძალების დროზე ადრე გაყვანის შესაძლებლობაზე საუბრობს

დიდმა ბრიტანეთმა ავღანეთიდან სამშვიდობო ძალები შეიძლება გაიყვანოს. ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ფილიპ ჰამონდი „გარდიანთან“ ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ უწინდელი ტაქტიკა „რაც შეიძლება მეტი, რაც შეიძლება დიდხანს“, სავარაუდოდ, გადაიხედება. ბრიტანეთი წლის ბოლომდე 500-მდე სამხედროს გაიწვევს, ავღანეთში 9000-მდე სამხედრო დარჩება. ჰელმადში მიმდინარე ბრძოლების მიუხედავად, რის შედეგადაც ამ თვეებში 20 ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ჰამონდი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების კუთხით ავღანეთში სიტუაცია გაუმჯობესდა და ავღანეთის ძალებს ამჟამად მთავარი ქალაქის დაცვა შეუძლიათ.

„ვფიქრობ, უმეტესი ჩვენგანი გრძნობს, რომ პოლიტიკური პროცესები ისე სწრაფად არ ვითარდება, როგორც სამხედრო პროგრესი და სასურველია პოლიტიკური პროგრესი სამხედრო პროგრესის თანადროული იყოს“, – ამბობს ფილიპ ჰამონდი.

ჰამონდი დაჟინებით ითხოვს სამხედრო კამპანიის დასასრულის კონკრეტულ თარიღს – „თუ არ გაქვს განსაზღვრული ბოლო ვადა, ვერასდროს დაასრულებ სამუშაოს.

რიცხვები, ციტატები

2038 გამოკითხულიდან 91 % აღნიშნავს, რომ ყველაზე მეტად პატრიარქი მოსწონს, რეიტინგში მეორე და მესამე ადგილს ვანო მერაბიშვილი (62%) და მიხეილ სააკაშვილი (61%) იკავებენ. (NDI-ის კვლევის მიხედვით)

5 სექტემბრის მდგომარეობით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის აკრედიტაცია 24 მედიასაშუალების 341-მა წარმომადგენელმა გაიარა.

42 613 აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩეველია საზღვარგარეთ. (ცენტრალური საარჩევნო კომისია)

10-მდე რენოს მარკის თეთრი და ყვითელი ტაქსი თბილისში უკვე მოძრაობს. მძღოლები ვარაუდობენ, რომ არჩევნების შემდეგ დედაქალაქში სხვა ტიპის ტაქსებით მოძრაობა აიკრძალება და მხოლოდ ახალი კომპანიის მიერ შემოყვანილი 5000-მდე ტაქსი იმოძრავებს.

13 სოფელში ბიზნესცენტრები გაიხსნა. „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ პროექტის ფარგლებში ბიზნეს-ცენტრების გახსნა გრძელდება. ცენტრები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას კომპიუტერის შესწავლაში დაეხმარებიან.

„ჩვენ არ ვანიჭებთ უპირატესობას რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას თუ კანდიდატს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას იმ ლიდერებთან, რომლებსაც ქართველი ხალხი აირჩევს ამ არჩევნებზე. მომავალი არჩევნები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საქართველოს წინსვლისათვის მისი ევროატლანტიკური მისწრაფებების თვალსაზრისით“, –

ტომას მელია, აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილე

„ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ორივე მხარის – ხელისუფლებისა და ოპოზიციის პასუხისმგებლობაზე, რათა უზრუნველყონ სათანადო ქცევა და, მაშასადამე, არჩევნების ლეგიტიმურობა“, –

პეტერ სტანო, ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, შტეფან ფიულეს სპიკერი

„მათ აქვთ იმედი, რომ არჩევნების შემდეგ რაღაც ისეთი მოხდება, რაც ააყირავებს ყველაფერს, რაც ჩვენ შევქმენით. პირველი მიზანი მათი არის ქუთაისში პარლამენტის დახურვა, ან საკონცერტო დარბაზად გადაკეთება. მე მინდა ყველას ვუთხრა, ვისაც მთელი საქართველოს კერძო საკონცერტო დარბაზად გადაკეთება უნდა, ჩაიკეტოს თავის სტუდიაში და იქ იმღეროს თავისი უნიჭო სიმღერები“, –

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი

www.ucnobifm.ge

დიან

ნინო ელბაქიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების კოორდინატორი

უნდა შეფასდეს თუ არა პე
მოსწავლეთა აკადემი

მასწავლებლის საქმიანობის შეფასების დროს ხდება მოსწავლეთა მიერ მიღწეული სხვადასხვა შედეგის ანალიზი – რა პროგრესი განიცადა მან; მოწმდება მოსწავლეების სწავლის ხარისხი – რამდენად დაძლია მოსწავლემ სტანდარტის მინიმუმი; როგორია მოსწავლეთა დასწრება გაკვეთილზე.

მასწავლებლის პროფესია პრაქტიკული პროფესიაა. მასწავლებელი მთელი საქმიანობის დაახლოებით 80 %-ს პრაქტიკაში, მოსწავლეებთან პირისპირ ატარებს. ის თეორიული ცოდნა, რომელიც მასწავლებელს უნდა ჰქონდეს არის ფუნდამენტი, რომელსაც მასწავლებლის შემდგომი კომპეტენციები ეფუძნება, მაგრამ მის საქმიანობაში არის მაინც აუცილებელი პირობა ის პედაგოგიური უნარები, რომელთა საშუალებითაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს წარმატების მიღწევაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ თეორიული ცოდნა ან ამ ცოდნის შემოწმება უბრალოდ არასაკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ – მასწავლებელი არის მაღალკვალიფიციური. სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემისათვის (გერმანია, საფრანგეთი) მასწავლებლის საქმიანობის პრაქტიკაში შეფასება უკვე დიდი ხნის დამკვიდრებული პრაქტიკაა და საკმაოდ განვითარებულიც.

მასწავლებლის საქმიანობის შეფასება იქნება ერთგვარი სიახლე, რომელიც პრაქტიკაში დასამკვიდრებელია და შეგუებას და რაც მთავარია, თავად მასწავლებლის მზაობას უნდა ეფუძნებოდეს. სანამ მასწავლებელი თავად არ იქნება თანახმა, რომ მისი საქმიანობის შეფასება მხოლოდ მასწავლებელზე ზრუნვითა და, საბოლოო ჯამში, ყველას საზრუნავით – მოსწავლის წარმატებით არის გამოწვეული, მანამდე ამ სისტემის დახვეწაზე მუშაობა გაგრძელდება. მასწავლებლის საქმიანობის შეფასება, ბევრ სიკეთესთან ერთად, თავად მასწავლებლის პროფესიისა და სტატუსის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია დამკვიდრებული.

მასწავლებლის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი არის მოსწავლე. ზოგადად, მასწავლებლის საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება – მოსწავლე იყოს წარმატებული და მიაღწიოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს. მასწავლებლის საქმიანობის შეფასების დროს ხდება მოსწავლეთა მიერ მიღწეული სხვადასხვა შედეგის ანალიზი – რა პროგრესი განიცადა მან; მოწმდება მოსწავლეების სწავლის ხარისხი – რამდენად დაძლია მოსწავლემ სტანდარტის მინიმუმი; როგორია მოსწავლეთა დასწრება გაკვეთილზე – მოსწონს თუ არა თავად მოსწავლეს მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი.

...ედაგოგის ...ვალიფიკაცია ...ეორი მოსაზრებით?

თუ არსებულ რეალობას გავითვალისწინებთ, ხშირ შემთხვევაში გამოცდაზე მიღებული „კარგი შედეგი“ რეპეტიტორის დამსახურება იქნება და არა სკოლის მასწავლებლისა. მაგრამ საკითხავია: როგორ უნდა შევადაროთ იმ ორი მასწავლებლის კვალიფიკაცია, რომელთაგან ერთს სამი მოსწავლე ჰყავს კლასში, მეორეს კი – ოცდათხუთმეტი?

არა

მაია მიმინოშვილი
განათლების სფეროს ექსპერტი

ნაჩქარევად მიღებულმა ცვლილებებმა უკვე საკმაოდ დააზიანა განათლების სისტემა. ვშიშობ, რომ წინასაარჩევნოდ გამოცხადებული ეს სიახლეც უფრო პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება, ვიდრე საგანმანათლებლო სისტემის დახვეწასა თუ განვითარებას. ფაქტია, რომ არ არსებობს სწორი ხედვა, კონცეფცია, რომელიც განათლების სისტემის განვითარების საფუძველი იქნებოდა.

როგორც კი სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაიწყო საუბარი, მეც და ჩემი კოლეგებიც იმ აზრს ვემხრობოდით, რომ მხოლოდ ტესტირებით პედაგოგის კვალიფიკაციის შეფასება არ შეიძლება. მასწავლებელთა სერტიფიცირება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია იმ ქვეყნებში, სადაც ამის დიდი გამოცდილება აქვთ და ეს პროცესი საკმაოდ ეფექტიანად მიმდინარეობს.

სერტიფიცირების იმ მოდელზე, რომელიც შეფასების მრავალ კომპონენტს გულისხმობდა, და რომლის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) შემადგენელი ნაწილი სასერტიფიკაციო გამოცდა იყო, ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, ვიმუშავეთ და ჩვენი წინადადებები წარვუდგინეთ განათლების სამინისტროს. მაშინ, სამწუხაროდ, ვერავინ დავითანხმეთ. ეჭვი მეპარება, ასე ნაუცბათევად მიღებული გადაწყვეტილების ფონზე ვინმეს ნარმოდგენა ჰქონდეს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს დაახლოებით 60 000 მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი. თუ შერჩევით, მასწავლებლების გაკვეთილებზე „მეთოდისტების“ დასწრება და მათ მიერ შემავჯამებელი ოქმის მომზადება იგულისხმება, ეს ჩვენ უკვე წინა საუკუნეში გამოვიარეთ და არა მგონია ვინმეს და განსაკუთრებით, ჩვენს პედაგოგებს ამ პრაქტიკისადმი ნოსტალგია გასჩენოდეთ.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მასწავლებლის შეფასება კი არასერიოზულია და ამ აზრის დასასაბუთებლად უამრავი არგუმენტის მოხმობა შეიძლება. პირველ რიგში: ერთიანი ეროვნული გამოცდები მომავალი წლიდან გაუქმებულია! სავარაუდოდ, გამოსაშვები გამოცდებისა და უნარების გამოცდის შედეგებზეა საუბარი. თუ არსებულ რეალობას გავითვალისწინებთ, ხშირ შემთხვევაში გამოცდაზე მიღებული „კარგი შედეგი“ რეპეტიტორის დამსახურება იქნება და არა სკოლის მასწავლებლისა. მაგრამ საკითხავია: როგორ უნდა შევადაროთ იმ ორი მასწავლებლის კვალიფიკაცია, რომელთაგან ერთს სამი მოსწავლე ჰყავს კლასში, მეორეს კი – ოცდათხუთმეტი?

თუ სკოლაში ამა თუ იმ საგანში მიღებულ შეფასებებს ვიგულისხმებთ, არ გამოვრიცხავ, რომ ძალიან ცუდ ვითარებაში ჩავაყენოთ მასწავლებლები – ამ მიდგომით მათ უნებურად გაუჩნდებათ მოტივაცია, რომ მოსწავლის ცოდნა თუ უნარი არა რეალური, არამედ (რაც შეიძლება) მაღალი ქულით შეაფასონ.

მასწავლებელთა სერტიფიცირება გაცილებით უფრო კომპლექსური პროცესია, ვიდრე ნებისმიერი საგამოცდო სისტემა. ამიტომ მისი სრულყოფილად აწყობა დიდ ძალისხმევას, თავდაუზოგავ შრომას და, რაც მთავარია, საუკეთესო მოდელების მქონე ქვეყნებისა და პროფესიონალების გამოცდილების გაზიარებას გულისხმობს. ნურავინ მოიტყუებს თავს, რომ ამ სისტემის მომზადებას ერთი, ორი თვე, ან თუნდაც ყოვლისმცოდნე პოლიტიკოსების განცხადებები ეყოფა.

ჰას გვიჩვენებს NDI-ს ხვლევა

ოპოზიცია გამოკითხვებს მეტ ყურადღებას რომ აქცევდეს, უფრო წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის საშუალება მიეცემოდა და შესაძლოა, მოყოყმანე ამომრჩევლების მიმხრობაც კი მოეხერხებინა. გამოკითხვების იგნორირება მხოლოდ იმის გამო, რომ მათი შედეგები არ მოგწონს, საქმეს ალბათ ვერ უშველის.

ჯორჯ უელტონი
GeoWel Research-ის
აღმასრულებელი
დირექტორი

NDI-ს კვლევის შედეგების თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა 37% ამბობს, რომ ხმას ნაციონალურ მოძრაობას მისცემს, ხოლო 12%-ს ხმის მიცემა „ქართული ოცნებისთვის“ აქვს გადაწყვეტილი. გვაძლევს თუ არა ეს მონაცემები რაიმე მინიშნებას არჩევნების შესაძლო შედეგებზე და თუ გვაძლევს, რა მინიშნებებია ეს?

ცხადია, არცერთ საღად მოაზროვნე ადამიანს აზრად არ მოუვა ამტკიცოს, რომ „ქართული ოცნება“ საერთო ეროვნულ არჩევნებში ხმების მხოლოდ 12%-ს მოიპოვებს, თუმცა, არც ამ მაჩვენებლის შეუფასებლობა ივარგებს.

გამოკითხულთა 22%-მა განაცხადა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის მისცემს ხმას, 21%-მა კი კითხვას პასუხი არ გასცა. ამდენად, პროგნოზების გაკეთების ნებისმიერი მცდელობის შემთხვევაში ვარაუდის დონეზე უნდა განვსაზღვროთ, თუ ვის სასარგებლოდ გადათამაშდება ეს ხმები. მათი გადანაწილება რამდენიმე ხერხით შეიძლება.

პირველ რიგში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მთელი ეს 43 % პროპორციულად ისევე გადანაწილდება, როგორც დანარჩენი ამომრჩევლების ხმები. ნაციონალურ მოძრაობას, „ქართულ ოცნებასა“ და დანარჩენებს შორის შეფარდება დაახლოებით ასე გამოიყურება: 37:12:8. აქედან გამომდინარე, მარტივი მათემატიკური გათვლებით გამოდის, რომ საბოლოოდ 65%-ს ნაციონალური მოძრაობა მიიღებს, 21%-ს – „ქართული ოცნება“, დანარჩენები კი – 19%-ს. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნებისათვის“ ეს ძალიან ცუდი შედეგი იქნება.

მაგრამ არის თუ არა ასეთი მიდგომა რაციონალური? ბევრს მიაჩნია, რომ იმ ამომრჩევლების დიდი უმრავლესობა, რომლებმაც კითხვას პასუხი არ გასცეს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები არიან. სხვა შემთხვევაში, კითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავი რატომ უნდა შეეკავებინათ? თუ ასეა და 21%-ს მთლიანად „ქართულ ოცნებასა“ და დანარჩენებს მივაწერთ, შემდეგ კი დარჩენილი ხმების გადანაწილების მარტივ ხერხს გამოვიყენებთ, ნაციონალური მოძრაობა 47%-ს მიიღებს, „ქართული ოცნება“ – 31%-ს, დანარჩენები კი – 19%-ს.

დაბოლოს, თუ დავუშვებთ, რომ ყველა, ვინც განაცხადა, რომ არ იცის, ვის მისცემს ხმას, და პასუხზე უარი თქვა, რეალობაში ფარული „მეოცნებეა“, „ქართული ოცნება“ ხმების 55%-ს დააგროვებს.

როგორ შეიძლება ამ სავარაუდო ვარიანტების გაანალიზება? NDI-ს გამოკითხვაში მონაცემების კიდევ ორი წყებაა, რომლებიც, როგორც ჩანს, საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, ხსენებული სცენარებიდან რომელია უფრო სწორი. დავიწყოთ NDI-ს წინა გამოკითხვების შედეგებით და გავარკვიოთ, როგორ შეიცვალა მონაცემები მათ შესახებ, ვინც კითხვაზე პასუხს ვერ ან არ იძლეოდა.

NDI-ს გვერდიგვერდ მოჰყავს ახალი და წინა გამოკითხვების – 2010 წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული საკრებულოების არჩევნებისა და იმავე წლის თბილისის მერის არჩევნების შედეგები.

საკრებულოს არჩევნების შემთხვევაში, 19%-ს კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა, 10%-მა კი პასუხზე უარი განაცხადა. როგორც გამოჩნდა, არჩევნების დღეს, ეს 29% პროპორციულად გადანაწილდა. თუ საპარლამენტო არჩევნებისთვისაც ამ ლოგიკას გავყვებით, შედეგებს პირველი სცენარის მიხედვით მივიღებთ, ანუ ნაციონალურ მოძრაობას – 65%, ხოლო „ქართულ ოცნებას“ – 21% ექნება.

მერის არჩევნებამდე პასუხზე უარი მხოლოდ 6%-მა თქვა, 14%-ს კი გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა, თუმცა, ამ შემთხვევაში, არჩევნების დღეს, ამ 20%-მა თითქმის მთლიანად ოპოზიციას მისცა ხმა. როგორც ალასანიამ აღნიშნა კიდეც, გამოკითხვის შედეგად მას ხმების 7% ჰქონდა, თუმცა, სინამდვილეში 19% აიღო. ჭანტურიას, გამოკითხვებით, 4% ჰქონდა, არჩევნებში კი 11% მოიპოვა, ხოლო ძიძიგურის შემთხვევაში შესაბამისი მაჩვენებლები 2% და 8% იყო. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ თბილისის მერის არჩევნებში გადასანაწილებელი ხმების რაოდენობა დიდი არ იყო და გამარჯვებულის გამოვლენაზე გავლენას ვერ იქონიებდა, მაგრამ თუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც ანალოგიური რამ მოხდა, მესამე სცენარსა და „ქართული ოცნების“ სრულ გამარჯვებას მივიღებთ.

ამდენად, წინა გამოკითხვების შედეგები, როგორც ჩანს, ვერ გვიშველის.

გაურკვეველი ხმების გადანაწილების კიდევ ერთი საშუალება ამ პირების მიერ სხვა შეკითხვებზე გაცემული პასუხებია. NDI-ს კვლევაში გვაქვს კითხვები, რომელთა მიზანი იმის გარკვევაა, თუ რამდენად კმაყოფილი არიან რესპონდენტები. კითხვაზე "სწორი მიმართულებით მიდის ქვეყანა თუ არა?" მათი 39%, ვისაც ამა თუ იმ პარტიისათვის ხმის მიცემა გადაწყვეტილი არ ჰქონდა, და მათი 37%, ვინც შესაბამის კითხვას არ უპასუხა, ამ შეკითხვაზე პასუხობს, რომ "ამ მხრივ არაფერი შეცვლილა" ან "ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის". კითხვაზე „ატარებს თუ არა მთავრობა თქვენთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს?“ პირველი ჯგუფიდან 33%, ხოლო მეორედან 34% უარყოფით პასუხს იძლევა.

ეს მიდგომა გაურკვეველი ხმების გადანაწილების კარგი საშუალება უნდა იყოს, რადგან ნაციონალური მოძრაობის მომხრეების დიდი უმრავლესობა ორივე შეკითხვაზე დადებით პასუხს უნდა იძლეოდეს, „ქართული ოცნებისა“ კი – უარყოფითს. თუ ეს მიდგომა სწორია, ისევ პირველ სცენართან მივდივართ, რადგან მის შემთხვევაში გაურკვეველი ხმების 1/3 ოპოზიციის მომხრეებისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობა დიდი უპირატესობით იმარჯვებს.

ეს ყველაფერი ოპოზიციისათვის კარგს არაფერს მოასწავებს. უმრავლესობით გამარჯვება რომ შეძლოს, ოპოზიციამ ორივე ჯგუფის სრული მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს, ოღონდ

ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ჯგუფიდან, რომელშიც მთავრობისა და ქვეყნის კურსი ზოგადად მოიწონეს, 50-70%-მა ტყუილი თქვა.

ასეთი რამ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ რესპონდენტების ცნობიერების გაორების რთულ ფორმებთან გვაქვს საქმე. ერთი მხრივ, ისინი არ ამბობენ, თუ ვის მისცემენ ხმას. მიდგომებსა და მოწონება-არმოწონების შესახებ ნაკლებად მგრძნობიარე შეკითხვებს კი ტყუილით პასუხობენ. პასუხების ასეთი კომბინაცია ალოგიკური გამოდის.

თუმცა, ამ მონაცემებს შეიძლება სხვაგვარად, ოპოზიციისათვის უფრო ოპტიმისტურადაც შევხედოთ. არჩევნებამდე კიდევ ერთი თვეა დარჩენილი, ქართულ პოლიტიკაში კი ეს დიდი დროა. თუ ვივარაუდებთ, რომ ამომრჩევლების 43%-ს ჯერ ნამდვილად ვერ გადაუწყვეტია, ხმა ვის მისცეს, საარჩევნო კამპანია უაღრესად დიდ მნიშვნელობას შეიძენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩამორჩენის მიუხედავად, ოპოზიციას გამარჯვების შანსი ჯერ კიდევ აქვს.

თუკი ეს შანსი რეალურია, მის გამოსაყენებლად ოპოზიციამ გამოკითხვების შედეგებს ყურადღება უნდა მიაქციოს და ამომრჩეველს მათი გათვალისწინებით ელაპარაკოს. გამოკითხვების იგნორირება იმიტომ, რომ მათი შედეგები არ მოგწონს, სწორი არ არის. გამოკითხვები ოპოზიციას ნამდვილად აძლევს შესაძლებლობას განსაზღვროს, თუ რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა მთავრობის საქმიანობითა და ქვეყნის კურსით ძირითადად კმაყოფილია, თუმცა მათი მეშვეობით ისიც ნათელი ხდება, რომ ამომრჩეველთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა მერაბიშვილის თუ ივანიშვილის მიერ დასახული ეკონომიკური გეგმების შესახებ არაფერი იცის. გამოკითხვები ასევე გვიჩვენებს, რომ პოლიტიკის ზოგ სფეროში მთავრობა და ოპოზიცია მეტ-ნაკლებად თანაბარი ნდობით სარგებლობს.

ოპოზიცია გამოკითხვებს მეტ ყურადღებას რომ აქცევდეს, უფრო წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის საშუალება მიეცემოდა და შესაძლოა, მოყოყმანე ამომრჩევლების მიმხრობაც კი მოეხერხებინა. გამოკითხვების იგნორირება მხოლოდ იმის გამო, რომ მათი შედეგები არ მოგწონს, საქმეს ალბათ ვერ უშველის.

ინგლისურად თარგმნა ნოე კანკიამ.

გადაცემა

ლიბერალი

ცხელი
შოკოლადი
98.5 FM

ყოველ სამუშაო დღეს
საღამოს 6 საათზე
რადიო „ცხელი შოკოლადის“ ეთერში

ფოტო ლევან ხარბედია

"მოსპოვს აწყობს ეს ხელისუფლება"

ინტერვიუ კოლუმბიის უნივერსიტეტის „ჰარიმანის ინსტიტუტის“ ასოცირებულ პროფესორთან,

ლინკოლნ მიტჩელთან

ლინკოლნ მიტჩელი 2006-2009 წლებში კოლუმბიის უნივერსიტეტის უნივერსიტეტის საერთაშორისო ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი იყო. 2002-2004 წლებში დირექტორობდა NDI-ის საქართველოს ბიუროს. მიტჩელი სხვადასხვა დროს მუშაობდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და აზიაში, ასევე, წლების განმავლობაში მუშაობდა საარჩევნო კამპანიების პოლიტიკურ მრჩევლად ნიუ-იორკში. 2008 წელს გამოვიდა მისი წიგნი *„ბუნდოვანი დემოკრატია: ამერიკის საგარეო პოლიტიკა და საქართველოს ვარდების რევოლუცია“.* „ლიბერალი“ ლინკოლნ მიტჩელს მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ესაუბრა.

რა განწყობაა ამერიკის ადმინისტრაციაში მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით?

საქართველოში არჩევნები 1 ოქტომბერს ტარდება, ამერიკაში კი 7 ნოემბერს. ამ წუთას ობამა იგებს, მაგრამ არცთუ ისე დიდი უპირატესობით. ამიტომ, ამერიკის ადმინისტრაციას სიურპრიზები არ სჭირდება, არ სჭირდება ისეთი რამ, რაც რყევებს გამოიწვევს. თუ 7 ნოემბრამდე არაფერი შეიცვალა, მაშინ, სავარაუდოდ, ობამას მეორე ვადით აირჩევენ. ეს რეალობა უდევს საფუძვლად ამერიკის დამოკიდებულებას 1 ოქტომბრის არჩევნებისადმიც.

ჩემი ღრმა რწმენით, ამერიკას არ აწყობს ასიათასობით დემონსტრანტი თბილისის ქუჩებში, ხელს არ აძლევს ფართო მასშტაბით გაყალბებული არჩევნები. ყველაფერი დანარჩენი კი მისაღები იქნება.

რა ბერკეტები აქვს ამერიკის ადმინისტრაციას იმისათვის, რომ საქართველოში სამართლიანად ჩატარდეს არჩევნები?

დაახლოებით ერთი წლის წინ, ამერიკა დიდ პრობლემად არ მიიჩნევდა არჩევნების ხარისხს საქართველოში. თუ ამერიკიდან აკვირდები მოვლენებს, ხვდები, რომ ახლა უფრო მეტად აცნობიერებენ, არჩევნებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები არსებობს. მთავარი გამოწვევა ის არის, რომ არავინ იცის, როგორ უნდა მოიქცნენ ამ სიტუაციაში. ფაქტია, რომ ცდილობენ მაქსიმალურად მეტი გზავნილი მიიტანონ საქართველოს ხელისუფლებამდე, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ გზავნილებს შესაბამისი რეაგირება მოჰყვება. საქართველოს ხელისუფლება თითქოს ეუბნება დასავლეთს – „ჩვენ უნდა მოვიგოთ ეს არჩევნები, მოვიგოთ ყველაფრის ფასად და დავიჯერო, თქვენ გაგვიმეტებთ?“ – თუ ასე სვამს საკითხს საქართველოს ხელისუფლება, დასავლეთის პასუხი იქნება „არა, არ გაგიმეტებთ!“ ასე რომ, სააკაშვილის ხელისუფლება გვაწვება და ჩვენ თითქოს უკან ვიხევთ.

ამ ბოლო დროს თვალში მომხვდა სიტყვა „პოლარიზაციის“ ხშირი გამოყენება ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ განცხადებებში და ანგარიშებში. ერთი მხრივ, ბუნებრივია, რომ პოლიტიკაში არსებობს პოლარიზაციის ხარისხი და არც ამის აღნიშვ-

ნაა გასაკვირი. თუ ყველა ყველაფერზე თანხმდება, მაშინ დემოკრატიაც არ არსებობს, ხომ? თუმცა, პოლარიზაციის პრობლემაზე პასუხი, ისევ და ისევ, თავისუფალი არჩევნების უფრო მაღალი ხარისხი, უფრო ძლიერი დემოკრატია, მედიის, ბიზნესის, სამოქალაქო სექტორის უფრო მეტი ლიბერალიზაციაა, და არა ამ ყველაფრის ნაკლებობა. არ შეიძლება „პოლარიზაცია“ გახდეს პრობლემებზე თვალის დახუჭვის საბაბი, უფრო პირიქით.

ამ დროს, ოფიციალურ რიტორიკაში, „უსამართლობის“ ცნება ჩაანაცვლეს „პოლარიზაციის“ ცნებით. პოლარიზაცია მიანიშნებს იმაზე, რომ პრობლემა ორივე მხარეს არსებობს, როცა, სინამდვილეში, „ქართული ოცნება“ არ აგებს პასუხს საარჩევნო დარღვევებზე. ამაზე ცალსახად ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. ვიცი, რომ ქართული ხელისუფლება ცდილობს „ოცნების“ დადანაშაულებას, მაგრამ ფაქტები ამის საპირისპიროდ მეტყველებენ. „ქართული ოცნება“ არ ხურავს პროსახელისუფლებო არხებს, არ არბევს ხელისუფლების აქტივისტებსა და ჟურნალისტებს. ამიტომ, აშშ-ს პოლიტიკაც შესაბამისი უნდა იყოს.

სწორედ იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ გაყალბებულმა არჩევნებმა შეიძლება ქუჩაში ბევრი უკმაყოფილო ადამიანი გამოიყვანოს, დაიწყოს დემონსტრაციები და არეულობა, რაც წინასაარჩევნოდ ხელს არ აძლევს შეერთებულ შტატებს, შეიძლება თუ არა, რომ ამერიკის პოზიცია საქართველოსადმი არ იყოს დამოკიდებული სააკაშვილის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ მოცემულობაზე? რამდენად დიდ როლს თამაშობს „სააკაშვილის ფაქტორი“ ამ პროცესში?

შესაძლოა, ამერიკის ადმინისტრაცია პერსონალურ ფაქტორს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდეს, მაგრამ ეს მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნებისათვის. არსებობს პრეზიდენტი, რომელიც აგზავნის ჯარს ავღანეთში და შტატებთან ყველა მნიშვნელოვან საკითხზე თანამშრომლობს. თუ ამერიკა მას მხარს არ დაუჭერს, ეს ცუდი გზავნილი იქნება სხვა ქვეყნების ლიდერებისათვის, რომელთა მხარდაჭერა აშშ-ს ძალიან სჭირდება.

„კოალიციამ“ არაერთხელ განაცხადა მზაობა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, გააგრძელებენ ამერიკასთან სტრატეგიულ თანამშრომლობას და ჯარებსაც გააგზავნიან ავღანეთში...

კი, მაგრამ ვფიქრობ, სააკაშვილის ხელისუფლება ბევრ დროს ხარჯავს დასავლეთში, რომ საპირისპირო დაამტკიცოს. ნაწილობრივ, ახერხებენ კიდევაც, იმის მიუხედავად, რომ „კოალიციაში“ ბევრია ისეთი პოლიტიკოსი, რომლის დასავლურ ორიენტაციაშიც არავის ეპარება ეჭვი. არიან ისეთებიც, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდეც კი ცნობილი პროდასავლელები იყვნენ.

საინტერესოა არჩევნების ლეგიტიმურად ცნობის საკითხი. ვინ და როგორ შეაფასებს არჩევნებს? სადამკვირვებლო მისიების ანგარიში იქნება გადამწყვეტი, თუ არსებობს შეფასების სხვა კრიტერიუმებიც?

რთული კითხვაა. ჩემი ღრმა რწმენით, არჩევნების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ის წინასაარჩევნო გარემოც, რასაც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ვაკვირდებით და რომელიც, მსუბუქად რომ ვთქვათ, მაინცდამაინც არ ჯდება „სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს“ სტანდარტებში. წინასაარჩევნო პროცესები იქამდე უნდა შეფასდეს, ვიდრე პირველი ბიულეტენი საარჩევნო ყუთში ჩავარდება. თუ ამ წუთიდან არჩევნების დღემდე, და შემდეგ უკვე ხმების დათვლამდე, ყველაფერი კარგად ჩაივლის, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად ჩატარდა? ამ კითხვების გვერდის ავლას ბევრი ცდილობს, მაგრამ მათი იგნორირება ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი დარღვევები დაუშვა.

მეორე – მნიშვნელოვანია, რა მოხდება თვითონ არჩევნების დღეს და როგორ დაითვლიან ხმებს. თუ წინა არჩევნების გამოცდილებას დავეყრდნობით, იქნება დარღვევები სხვადასხვა უბნებზე, მაგრამ ეს დარღვევები გადანაწილდება ისე, რომ მკაცრად არ შეფასდეს. ეს კი დასავლეთს რთულ პოზიციაში ჩააყენებს. ისინი ვერ იტყვიან, რომ დარღვევები არასერიოზულია და ვერც იმას იტყვიან, რომ არჩევნები გადასარევად ჩატარდა. ამიტომ შეფასებები „შუალედური“ იქნება. აქ კი მთავარი უკვე პოლიტიკური გათვლები და სტაბილურობის საკითხი გახდება. ჩემი მოსაზრებაა, რომ საქართველოში, მოკლევადიან პერსპექტივაშიც კი, დემოკრატია აუცილებელია სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. თუმცა, დასავლეთში ყველა არ მეთანხმება.

რამდენად განსხვავებული იქნება ევროპის ქვეყნების და აშშ-ის შეფასებები? რამდენად ერთიანი ხმა ექნება დასავლეთს?

ამერიკა ერთი ქვეყანაა, ევროპა – კი არა. ევროპაში განსხვავებული მოსაზრებებია. ნაწილმა დაიჯერა სააკაშვილის რიტორიკა, რომ ვინც მას ეწინააღმდეგება, ავტომატურად პრორუსია. არ ვიცი, ნახეთ თუ არა ესტონეთის თავდაცვის მინისტრის ძალიან უცნაური თვალსაზრისი „უოლ სტრიტ ჯერნალში“? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს სტატია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწერა და ის სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ.

რა იყო ამ სტატიაში უცნაური?

უპირველესად, ძალიან საშიშია, როცა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ქვეყანაში პოლიტიკურ ოპონენტს როგორც „მოღალატეს“ ისე მოიხსენიებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ჯგუფს მხარს ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ 40-50% უჭერს. ესტონეთში დემოკრატიაა და მათ ეს კარგად უნდა ესმოდეთ.

მეორე მხრივ, საქართველოს ხელისუფლებამ, ბოლო 8 წლის განმავლობაში, ვერანაირი სარგებელი ვერ მოუტანა ქვეყანას რუსეთთან მიმართებაში. ამ დროს, პროპაგანდისტული

რიტორიკით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ ხელისუფლებამ გააძევა რუსეთი საქართველოდან. არ ვამბობ, რომ ეს ადვილი ამოცანაა, მაგრამ მათ ეს არ გაუკეთებიათ. ამ ხელისუფლებას არ შეუზღუდავს რუსული ინვესტიციები, პირიქით, არ გაუმყარებია თავისი პოზიციები რუსეთთან მიმართებაში ნატოსთან და ევროკავშირთან დაახლოებით, და ამ ყველაფრით მხოლოდ დაეხმარა რუსეთს. მე რომ ესტონეთის ანტირუსულად განწყობილი მთავრობის წევრი ვიყო, სააკაშვილის ხელისუფლებისადმი ნაკლებად ლოალური ვიქნებოდი.

თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდეთ. არსებობს მსაგვსი განწყობა და არსებობს გერმანულ-ფრანგული ვარიანტი, როცა ეს ქვეყნები ხედავენ საქართველოს შიგნით არსებულ პრობლემებს და თვლიან, რომ ამ ქვეყნისათვის თავის გამოდება მიზანშეწონილი არ არის, და მათ შორის, არც საარჩევნო დარღვევებზე მითითება.

ამერიკაშიც არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება. მემარჯვენე რესპუბლიკელებში არიან სააკაშვილის მეხოტბეები, თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, მაკკეინის ბოლო ვიზიტი და მისი განცხადებები იმის დასტურია, რომ ნელ-ნელა ეს განწყობებიც იცვლება. მეორე მხრივ, არის დემოკრატების ადმინისტრაცია, რომელიც უფრო პრაგმატულია და არ არის თავბრუდახვეული საქართველოს ხელისუფლებით. ასე რომ, ვფიქრობ, ამერიკა სადღაც შუაშია, ესტონეთსა და ევროპას შორის.

თქვენ გქონდათ საინტერესო სტატია „ჰაფინგტონ პოსტში“, სადაც საუბრობდით რუსეთის ინტერესებზე საქართველოში და ხელისუფლების უცვლელ ბრალდებაზე, რომ ივანიშვილი „რუსეთის აგენტია“. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა საფუძველი ხელისუფლების ბრალდებებს? ხედავთ კონკრეტულ ფაქტებს და არგუმენტებს, რომელთა მიხედვითაც, ივანიშვილი რუსეთის ინტერესების გამტარებელია საქართველოში? თავად ფაქტი, რომ მან რუსეთში დააგროვა კაპიტალი, იწვევს თუ არა ეჭვებს?

მე კატეგორიულად არ ვეთანხმები აზრს, რომ ივანიშვილი „რუსეთის აგენტია“. მაგრამ მესმის, რატომ შეიძლება ეს გააკეთო მაშინ, როცა ქვეყანაში უმუშევრობა 70 %-იან ნიშნულს აღწევს. ხომ უნდა იპოვო რამე, რასაც ოპოზიციაზე იტყვი?! ეს ხელისუფლება ყველას „რუსეთის აგენტს“ ეძახის. საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელს ნიუ-იორკში, ქუჩაში რომ გადაეყარო და ჰკითხო, საით არის მეტროს გაჩერება, გეტყვის, მეტრო რუსეთის პროექტიაო. მოკლედ, ესენი ყველას „რუსეთის აგენტს“ ეძახიან და

ჩემი ღრმა რწმენით, ამერიკას არ აწყობს ასიათასობით დემონსტრანტი თბილისის ქუჩებში, ხელს არ აძლევს ფართო მასშტაბით გაყალბებული არჩევნები. ყველაფერი დანარჩენი კი მისაღები იქნება.

ვფიქრობ, ეს არგუმენტი გაცვეთილია დასავლეთშიც, თუ არ ჩავთვლით მათ თავგადადებულ ფანებს, რომლებიც ალაგ-ალაგ შემორჩათ.

მე რომ კრემლში ვიჯდე და ვფიქრობდე, რა გამეკეთებინა საქართველოსთან მიმართებაში, ყველაფერს უცვლელად დავტოვებდი. მოსკოვს აწყობს ეს ხელისუფლება. ხელისუფლებას კი არა აქვს არანაირი სამხილი თუ კონკრეტული, ლოგიკური არგუმენტი იმისა, რატომ შეიძლება ივანიშვილი „აგენტი“ იყოს.

როგორ ფიქრობთ, რამდენად აფრთხობს დასავლეთს თავად ივანიშვილის პერსონა? ხომ არ არის ის მათთვის უცხო მისი ბიოგრაფიით?

უცხო თავისთავად იწვევს დისტანციას, ივანიშვილს ნამდვილად აქვს ეს პრობლემა. მაგრამ ივანიშვილის მთავარი პრობლემა ისაა, რომ მოქალაქეობა ჩამოართვეს. ეჭვების გაფანტვის საუკეთესო საშუალებაა, რომ წახვიდე ამერიკაში, ბრუსელში და პარიზში და გაეცნო ხალხს, მაგრამ თუ არ ხარ დარწმუნებული, რომ შეძლებ უკან დაბრუნებას, ალბათ, ვეღარ წახვალ, ჰო? არსებობს ეს პრობლემა. ისევე, როგორც დასავლეთში მუშაობს „შეჩვეული ჭირის“ არგუმენტი. თან ივანიშვილის წინააღმდეგ აგორებულმა ბინძურმა კამპანიამაც ხელი შეუყწო ამ გაუცხოებას. და ეს ყველაფერი მაშინ ხდება, როცა მთელი ამ წლების განმავლობაში ივანიშვილი ამ ხელისუფლებას აფინანსებდა და რეალურად, ქვეყანა მისი ფულით ცხოვრობდა. მაშინ არავის გასჩენია კითხვები მის ლოიალობასთან დაკავშირებით, არავინ დაეჭვებულა მისი პერსონით. და თუ მართლა „რუსების კაცი“ იყო, ადვილად ავნებდა ქვეყანას.

ვიცით, რომ ორივე მხარე – ნაციონალური მოძრაობაც და ივანიშვილიც ქირაობს ლობისტებს ამერიკაში. როგორ ფიქრობთ, ვინ უფრო ეფექტურად მუშაობს? ვის უფრო დიდი გავლენა აქვს?

ვფიქრობ, ორივე ეფექტურია. შეგიძლიათ გადახედოთ, როგორ აშუქებს დასავლური მედია წინასაარჩევნო კამპანიას – ბევრად უფრო დიდი ინტერესია ივანიშვილისადმი და ბევრად მეტ ყურადღებას უთმობენ მას, ისევე როგორც, ქვეყანაში არსებულ პრობლემებს. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ლობირების გარეშე, აშშ-ს ადმინისტრაცია მოიქცევა ისე, როგორც აქამდე იქცეოდა – „გაატარებს“ საარჩევნო დარღვევებს.

ლობირება ჩვეულებრივი პრაქტიკაა დემოკრატიულ ქვეყნებში, თუმცა ზოგს მოსწონს ეს და ზოგს – არა. მე რაც მაწუხებს, ისაა, რომ ერთ მხარეს არის მდიდარი ადამიანი, რომელიც აფინანსებს თავის პოლიტიკურ პარტიას და მისი ფულითვე ქირაობენ

ლობისტებს, და მეორე მხრივ, არის ხელისუფლება, რომელიც ხარჯავს ქართველი გადამხდელების ფულს, და როგორც ამერიკელმა, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ფულსაც ხარჯავს, იმისათვის რომ აწარმოოს თავისი პოლიტიკური კამპანია. როცა ამ ქვეყნის მოქალაქეები აფინანსებენ „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტებს ვაშინგტონში, ეს შემაშფოთებელია. ჩემთვის ეს არის საჯარო რესურსების არამიზნობრივად გამოყენების უტყუარი ფაქტი. თუ ვერ ახერხებ კონკურენცია გაუწიო ივანიშვილის კერძო ფულს – და ვიცით, რომ ვერ უწევენ – რა გაეწყობა? ეს არის დემოკრატია. თუ არ შეგიძლია, რომ აღიარო, რომ შენს ოპონენტს შენზე მეტი ფული აქვს, მაშინ არ უნდა იყო „დემოკრატიის ბიზნესში“.

მაგრამ ხელისუფლების ლეგიტიმური არგუმენტი ამ შემთხვევაში იქნებოდა, რომ არ შეიძლება ფულმა მართოს პოლიტიკა, არ შეიძლება ფული იყოს პოლიტიკური შედეგის მთავარი განმსაზღვრელი.

მართალია, მაგრამ ფული საჭიროა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას რომ არ დაეხარჯა მილიონობით დოლარი ლობისტებში, ივანიშვილს არ დასჭირდებოდა ამხელა ძალისხმევა. ოპოზიციას სწორედ იმიტომ უწევს ამდენი ფულის ხარჯვა, რომ ხელისუფლება, მთელი თავის რესურსებით, ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ ირჯება. და ეს ფაქტები ხვდება ყველა ანგარიშში. ასე რომ, იაფფასიანი ტრუკია ივანიშვილის ლობისტებს დაესხა თავს. ხელისუფლებას გაუმართლა, რომ ივანიშვილი უფრო ადრე არ მოვიდა პოლიტიკაში.

როგორ აანალიზებთ NDI / IRI-ის ბოლო კვლევის შედეგებს. 37% აქვს ნაციონალურ მოძრაობას, 13% – „ოცნებას“ და გამოკითხულთა 43% არ აფიქსირებს თავის შეხედულებას, ამბობს, რომ ან არ იცის, ან უარს ამბობს პასუხზე.

მე რომ დამოუკიდებელი ექსპერტი არ ვიყო და ვიყო „ნაციონალური მოძრაობის“ მრჩეველი, ვეტყოდი, რომ საქმე ცუდადაა. 40%-იანი რეიტინგი, არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, პრობლემაა. ეს იქნებოდა პრობლემა ნებისმიერ არჩევნებზე, კონგრესის, მერის, საპრეზიდენტო თუ გუბერნატორის არჩევნებზე ამერიკაში. ჩემი აზრით, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც მაღალია შიშის ფაქტორი, ისინი, ვინც ღიად არ პასუხობენ კითხვას, დიდი ალბათობით, ოპოზიციის ამომრჩეველია. ხელისუფლება ამბობს, რომ ეს ციფრი „გადაუწყვეტელი“ ამომრჩევლების მაჩვენებელია და 43%, მათი მოსაზრებით, თანაბრად გადანაწილდება. ჩემთვის კი ამგვარი გადანაწილება ნაკლებსარწმუნოა.

პროპაგანდისტული რიტორიკით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ ხელისუფლებამ გააძევა რუსეთი საქართველოდან. არ ვამბობ, რომ ეს ადვილი ამოცანაა, მაგრამ მათ ეს არ გაუკეთებიათ. ამ ხელისუფლებას არ შეუზღუდავს რუსული ინვესტიციები, პირიქით, არ გაუმყარებია თავისი პოზიციები რუსეთთან მიმართებაში ნატოსთან და ევროკავშირთან დაახლოებით, და ამ ყველაფრით მხოლოდ დაეხმარა რუსეთს.

ეს მაჩვენებელი მეტყველებს ამომრჩევლებზეც. „ქართულ ოცნებას“ ჯერ არ დაუსრულებია თავის საქმე. „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ყველაფერი გასაგებია, მათ 8 წელი ჰქონდათ, მაგრამ „ოცნებისთვის“ ეს დრო ძალიან მნიშვნელოვანია. თან ეს კვლევა არჩევნებამდე 1 თვით ადრე ჩატარდა, მაშინ, როცა სატელევიზიო მედიაში „ნაციონალები“ დომინირებდნენ სააგიტაციო რეკლამებით. ასე რომ, ერთ თვეში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.

კონკრეტულად რომ გიპასუხოთ, ეს ციფრები ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში თანაბარი ბრძოლა იქნება. მიკვირს, არჩევნებამდე ასე ახლოს, NDI რომ ისევ ატარებს კვლევებს და თან ამ კვლევის შედეგები საჯარო ხდება. NDI არ არის კვლევითი კომპანია, მისი მისია დემოკრატიის განვითარებაა. ამიტომ, ისმის კითხვა, ეხმარება თუ არა NDI-ს საქმიანობა დემოკრატიის გაძლიერებას ქვეყანაში? რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ კვლევებით ისინი ამძაფრებენ არჩევნებთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს, რაც თავისთავად არ ეხმარება ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. დარწმუნებული ვარ, NDI აცნობიერებს ამ პასუხისმგებლობას, მაგრამ როგორც „აუთსაიდერს“, რომელიც კარგად იცნობს NDI-ს საქმიანობას, მაკვირვებს მათი გადაწყვეტილება. ზოგადად, NDI ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს საქართველოში და სამწუხაროდ, ეს კარგი საქმეც იჩრდილება.

კვლევების თანახმად, „ოცნებას“ 13% აქვს. როგორ ფიქრობთ, ეს ციფრი ასახავს არსებულ პოლიტიკურ რეალობას და შეიძლება თუ არა, რომ ეს მაჩვენებელი გაიზარდოს?

რეალურად თუ ვიფიქრებთ, ეს მაჩვენებლი, ალბათ, ორი მესამედით გაიზრდება. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ არჩევნებში ძალიან თანაბარი ბრძოლა იქნება. არავინ დაიჯერებს, რომ „ოცნებას“ მხოლოდ 13% აქვს. ეს, უბრალოდ, სასაცილოა.

მე არ ვარ პროფესიით მკვლევარი, მაგრამ ძალიან ბევრ კვლევით პროექტზე მიმუშავია, მსოფლიოს წამყვან ექსპერტებთან ერთად, 14-15 ქვეყანაში, როგორც ამერიკაში, ისე ტოტალიტარულ ქვეყნებში და როცა მოდის

ციფრები, რომლებიც არარეალურია, სვამ შესაბამის კითხვას: ყველაფერი სწორად გავაკეთეთ? ვიმედოვნებ, NDI-მაც დასვა კითხვები და გადაამოწმა მიღებული ინფორმაცია. მაგრამ როცა ციფრები სასაცილოა, როცა იღებ შედეგს, რომ „ოცნებას“ მხოლოდ 13% უჭერს მხარს, ან მეთოდოლოგიაში გაქვს პრობლემა, ან ძალიან მაღალია შიშის ფაქტორი და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა. ან კიდევ სხვა ფაქტორები მუშაობს, რაც, როგორც წესი, მუშაობს ხოლმე როცა კვლევას არადემოკრატიულ ქვეყანაში ატარებენ.

არჩევნების ლეგიტიმურად ცნობის საკითხს რომ დავუბრუნდეთ, რა განსაზღვრავს არჩევნების ლეგიტიმურობას? თომას მელიას დელეგაციამაც ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება.

ხელისუფლება წინასწარ ცდილობს მოუწოდოს ოპოზიციას არჩევნები ლეგიტიმურად ცნოს. როგორი იქნება არჩევნების შედეგების შეფასება და რამდენად შეიძლება ამ შეფასებებზე გავლენის მოხდენა?

თუ გინდა, რომ შექმნა წარმოდგენა, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, ამისათვის საუკეთესო და უმოკლესი გზა არჩევნების სამართლიანად ჩატარებაა. ეს დაეხმარება მოქალაქეს, რომ არჩევნების სამართლიანობა ირწმუნოს. საქართველოს უახლეს გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, წარმოუდგენელია, მხარეებს მოუწოდო, წინასწარ ცნონ არჩევნების შედეგები. ეს ალოგიკურია. ლოგიკურია, ორივე მხარეს ჰკითხო, არჩევნები თუ ნორმალურად ჩატარდა და წააგე, შეეგუები თუ არა მარცხს? თუ მხარეები თანხმდებიან, რომ არჩევნები მეტ-ნაკლებად ნორმალურად ჩატარდა, რა თქმა უნდა, შედეგი ყველამ უნდა აღიაროს და გააგრძელოს ცხოვრება.

მაგრამ აქ რჩება რამდენიმე პრობლემა. პირველი, არჩევნების შეფასებისას რამდენად ანგარიშგასაწევია ის ყველაფერი, რაც წინასაარჩევნო პერიოდში ხდებოდა? და მეორე, ვინ იქნება „მოსამართლე“? ვისი სიტყვა იქნება გადამწყვეტი არჩევნების შეფასებისას? ეს არ არის 2003 წლის მსგავსი სიტუაცია, როცა ყველა ერთ მხარეზე იყო და ეგზიტპოლის შედეგები იყო გზამკვლევი. ამიტომ თუ არ იქნება თანმიმდევრული გარეშე დამკვირვებლების შეფასებები, და თუ ეს შეფასებები არ დაემთხვევა ქვეყნის შიგნით არსებულ განწყობებს, შეიძლება, სრული ქაოსი მივიღოთ.

ესაუბრა შორენა შავერდაშვილი.

ფოტო: ლევან ხერგიანი

ბიძინა ივანიშვილი მცხეთაში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური შეცდომები

არათანმიმდევრული პოლიტიკური რიტორიკა და ურთიერთგამომრიცხავი გამონათქვამები, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური სპექტრის ეკლექტურობა, საკადრო შეცდომები, ხისტი ურთიერთობა მედიასთან და სატელევიზიო დებატებზე უარის თქმა – ექსპერტები და პოლიტიკოსები ამ ყველაფერს ბიძინა ივანიშვილს სერიოზულ ხარვეზებად უთვლიან.

ნინო ბექიშვილი

ხელისუფლების ძირითადი არგუმენტი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ისაა, რომ მილიარდერი „რუსული ძალაა“, „აშენებულის დანგრევა სურს“ და „საქართველოს ძველ დროში დააბრუნებს“. თუმცა, ხელისუფლებას ამ შეფასებების დასაბუთება უჭირს.

ივანიშვილი აღიარებს, რომ პოლიტიკაში გამოუცდელია, პოლიტიკა არ ხიბლავს, და რომ „იმის მეასედი რისკიც კი არ გაუწევია ბიზნესში, რაც პოლიტიკაში მოსვლით გასწია“.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს ჩვენთვის ჩვეული „მხსნელის“ თუ „მესიის“ მოლოდინი გაუჩინა: კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრის, ლაშა ნაცვლიშვილის აზრით, „ის სხვანაირი კაცია, დინების საწინააღმდეგოდ მიდის, მარტოა. ის აქ, საქართველოში ნაკრძალს აკეთებს, სადაც სანიტარი თვითონ იქნება“. ნაცვლიშვილი „ლიბერალთან“ საუბარში ამბობს, რომ ივანიშვილი „განსხეულებული მითია“ და ამიტომაც აქვს გამარჯვების შანსი.

ილიაუნის პროფესორის, გია ნოდიას თქმით, პოლიტიკაში ჩართვა ივანიშვილის „ცხოვრების მთავარი შეცდომაა, მას არ გამოუვლენია ის უნარ-ჩვევები, რაც პოლიტიკოსს სჭირდება. თავიდან საკუთარ ბიზნესცენტრში იყო ჩაკეტილი. მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მწვერვალი 27 მაისის თბილისის აქციაა. იმის შემდეგ ივანიშვილის პოლიტიკური გამოსვლები ისევ მოწინააღმდეგეების წისქვილზე ასხამს წყალს“, – ამბობს ნოდია.

წლების განმავლობაში ივანიშვილის შესახებ ძალიან ცოტა რამ იყო ცნობილი – ის, რომ ჭორვილაში ცხოვრობდა, მილიარდები რუსეთში იშოვა, სამება ააშენა და თეატრებს არემონტებდა – შესაბამისად, მისი სახელის ირგვლივ მრავალი მითი იქმნებოდა. ვიდრე პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ განცხადებებს გააკეთებდა, მისი ფოტოც კი არ მოიპოვებოდა. ერთმა ადამიანმა, რომელიც წლების წინ ივანიშვილთან მუშაობდა, ისიც კი გვითხრა, რომ შეხვდა და ესაუბრა ივანიშვილს ისე, რომ არ იცოდა, ვის ხვდებოდა – მილიარდერის წარმომადგენელი ეგონა.

„მას ფილანტროპიული წარსულის გამო წმინდანის იმიჯი ჰქონდა – ამბობს გია ნოდია, – და ნებისმიერი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი მზად იყო, მისი დროშის ქვეშ დამდგარიყო. ამ არჩევნებზე 25%-იც რომ აიღოს, ეს მაინც დიდი წარუმატებლობა იქნება, რადგან ივანიშვილს კონსტიტუციური უმრავლესობით გამარჯვება სურს“.

ივანიშვილი ხშირად იმეორებს, რომ ქვეყნის მთავარი პრობლემა ერთი კაცი, მიხეილ სააკაშვილია. ის, პრეზიდენტისგან განსხვავებით, მთავარ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე გაცილებით კორექტულად საუბრობს და ცდილობს, მთავრობის სხვა წევრებს პიროვნულად არ დაუპირისპირდეს. პირველ წერილში გარკვეულ რევერანსსაც კი უკეთებდა მაშინდელ შსს-ს მინისტრს, ვანო მერაბიშვილს, რაც არაერთგვაროვნად შეფასდა.

პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება რომ იძულებითი ნაბიჯი გახლდათ, ამაზე ივანიშვილს არაერთხელ უსაუბრია, ოღონდ პირად მიზეზებზე – არასდროს. „ლიბერალთან“ საუბრისას „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული ანონიმური წყარო ამბობს, რომ ივანიშვილს „რევანიშის, შურისძიების სურვილი ამოძრავებს, რაღაც დიდი კონფლიქტია მომხდარი სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის, რაც ჩვენთვის უცნობია“.

იმ პროექტების შესახებაც, რაც მილიარდერის მიერ ფინანსდებოდა, მხოლოდ 7 ოქტომბრის შემდეგ გახდა ცნობილი. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, 2011 წლის მაისში, შალვა ნათელაშვილის საპასუხოდ, „ქართუ ჯგუფმა“ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, „რომ საქართველოს ხელისუფლებას ივანიშვილი 1 თეთრითაც კი არასდროს დახმარებია“.

ამ განცხადების გამოქვეყნებიდან სულ რამდენიმე თვეში ივანიშვილს მოუწია ეღიარებინა, რომ ბევრი პროექტი, რომელიც ხელისუფლების მიერ ხორციელდებოდა, სწორედ მისი ფულით გაკეთდა. მეტიც, აღმოჩნდა, რომ მთავრობის წევრებსაც კი ივანიშვილი უხდიდა ხელფასს და არა სოროსი, როგორც ეს ყველას ეგონა. „მას აქვს უფლება, გამოასწოროს საკუთარი ფულით ის, რაც საკუთარი ფულით გააფუჭა“, – ამბობს ლაშა ნაცვლიშვილი.

გია ნოდია მიიჩნევს, რომ მთავარი პოზიტივი, რომელიც ივანიშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობას ახლავს, ისაა, რომ

ივანიშვილი ცდილობს ჩვენში დამკვიდრებული მიტინგების რიტორიკა შეცვალოს და პოლიტიკური პროცესი ქუჩიდან პარლამენტისკენ მიმართოს. თუმცა, ნოდია იმასაც ვარაუდობს, რომ მისი პროექტი გათვლილია არჩევნების შემდეგ არეულობის მოწყობაზე და ამ მოსაზრებასაც აქვს არსებობის უფლება – „ძალიან კარგი იქნება, თუ ასე არ მოხდება", – ამბობს ნოდია.

„ბიძინა ივანიშვილის მთავარი პრობლემა ის არის, რომ მას საკაშვილი გაკოტრებული ჰგონია, რაც სიმართლეს ნამდვილად არ შეესაბამება", – ამბობს ჩვენთან საუბრისას „ქართულ ოცნებასთან" დაახლოებული ანონიმური წყარო.

ხელისუფლების მთავარი ბრალდება ივანიშვილისადმი ის არის, რომ ის „კრემლის აგენტი" და „რუსული პროექტია". ხელისუფლება ივანიშვილს ხშირად ახსენებდა, რომ მან დიდი ფული რუსეთში იშოვა. თავდაპირველად „ნაციონალურ მოძრაობას" სხვა დამაჯერებელი არგუმენტი ვერ მოჰყავდა, თუ არ ჩავთვლით ივანიშვილის შეხვედრას ბურჯანაძესთან და მის მიმართ გაკეთებულ რევერანსებს.

ამის შემდეგ, ივანიშვილის რამდენიმე განცხადებამ პირდაპირ ხელისუფლების წისქვილზე დაასხა წყალი: პირველსავე პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ ივანიშვილმა მაშინვე მოიშველია ტალიავინის კომისიის დასკვნა, ხოლო მას შემდეგ ბევრჯერ დაუზუსტა, რომ ცხინვალზე ჩვენი ჯარების შეტევას გულისხმობდა და არა – ომის დაწყებას, პირველ შეცდომას ყავლი არ გასვლია. „ნაციონალურმა მოძრაობამ" მოახერხა საკუთარი მხარდამჭერებისთვის დაემტკიცებინა, რომ ივანშვილი იმავეს ლაპარაკობს, რასაც – პუტინი, შესაბამისად, მისი მოსვლის შემთხვევაში ქართული საგარეო პოლიტიკის ვექტორი რუსეთისკენ გადაიხრება.

გია ნოდია ფიქრობს, რომ „შეცდომა იყო მისი მხრიდან ომის თემის პედალირება, რა თქმა უნდა, შეიძლება გააკრიტიკო საკაშვილი იმისთვის, როგორც მოიქცა 2008 წლის 7 აგვისტოს, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს საკაშვილს სკამის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა, პრაქტიკულად პუტინის ვერსიასთან თანხვედრას ნიშნავდა და ეს უფრო ძლიერი არგუმენტია ხელისუფლების ხელში, ვიდრე მისი ფულის რუსული წარმოშობა".

ივანიშვილს არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ საჯარო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის გამოცდილებაც არ ჰქონია. ეს ფაქტი, გარკვეულწილად, მის პოლიტიკურ იმიჯსაც განსაზღვრავს. მაგალითად, ის ხშირად კამათობს ჟურნალისტებთან, ჭკუას არიგებს მათ, მეტიც – თქვა, რომ მისი მოსვლის შემთხვევაში ვიღაცებს „რიტორიკის გადაწყობა მოუწევთ". ასევე განაცხადა: „მე ვაპირებ საზოგადოების ფორმირებას იმგვარად, რომ მათ გაყიდული ჟურნალისტები არ მიიღონ და ნოდიასნაირი ექსპერტების აზრი არ დაიჯერონ".

მასწავლებლებისადმი მისი მიმართვა, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ისინი კანონით აგებენ პასუხს, აღქმული იქნა, როგორც მუქარა.

შეიძლება, სწორედ გამოუცდელობით იყო განპირობებული ის რამდენიმე მოუქნელი და შეიძლება ითქვას, გაუგებარი ფრაზაც, რაც მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა აიტაცეს: „მე შემთხვევით მოვედი პოლიტიკაში და შემთხვევით წავალ", „მე ვიყავი ერთადერთი თავისუფალი ადამიანი საქართველოში", „ჩვენ უნდა გავხდეთ ისეთივე საინტერესო ქვეყანა, როგორიც საბჭოთა კავშირის დროს ვიყავით", „ქართველი ხალხი ყველაზე ნიჭიერია მსოფლიოში და მე ეს ფორმულით დავამტკიცე".

გია ნოდია ამბობს, რომ პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს „მკაფიოდ და გასაგებად თქვას თავის სათქმელი, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილს არა აქვს ის ნიჭი, რომელიც პოლიტიკოსს აუცილებლად სჭირდება." ნოდიას თქმით, მისი გამოსვლებიდან ჩანდა, რომ ივანიშვილს არ ესმოდა, რომ „პოლიტიკოსმა რაიმე კონკრეტული უნდა შესთავაზოს ხალხს".

კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი ფიქრობს, რომ ეს ფრაზები, რასაც ივანიშვილს მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები არ პატიობენ, მხოლოდ „ლაფსუს ლინგუაა" და მეტი არაფერი.

„ის ყოველთვის პირდაპირ ლაპარაკობს და დაყენებული ტექსტებით საუბარს პრინციპულად არ სწავლობს. ამ ადამიანის სტილია იყოს ღია და გულწრფელი. თუ ჩასაფრებული არ ხარ, მიხვდები, რომ უბრალოდ, არასწორ სიტყვას იყენებს. დამერწმუნეთ, მას ისეთ რეჟიმში უწევს ცხოვრება, რომ ამისთვის დროც არ რჩება. მე არ მახსოვს 10 წუთიც კი დღის განმავლობაში, როცა ის თავისუფალი იყო და ვინმეს არ ხვდებოდა", – ამბობს თინა ხიდაშელი.

სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი მიიჩნევს, რომ ივანიშვილის პოლიტიკური რიტორიკა დღეს ბევრად გაუმჯობესებულია, ვიდრე თავიდან – „გამართა მეტყველება, თუმცა, სითამამე, რომელიც მიეცა, ახალისებს ისეთი ამბების მოსაყოლად, რომელიც შემდეგ მის წინააღმდეგ ლაპარაკობს. ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ მისი პიროვნული პრობლემებია და არა – პოლიტიკის განმსაზღვრელი", – დასძენს კაჭკაჭიშვილი.

ასევე, ბუნდოვანი და გაუგებარია ივანიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ პოლიტიკაში ორი-სამი წლით მოდის. თინა ხიდაშელი ვარაუდობს, რომ აქაც შეიძლება, ვერბალიზაციის პრობლემასთან გვქონდეს საქმე, რადგან ივანიშვილს სურდა ეჩვენებინა, რომ ძალაუფლებას არ ეპოტინება.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მის პარტიაში ადამიანები მხოლოდ ივანიშვილის გამო გაერთიანდნენ. „ვის უტოვებ მერე იმ ხალხს, რომელიც შენ გამოგყვა? – ამბობს „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი.

თინა ხიდაშელი აღიარებს, რომ დასავლეთში ყველაზე მეტ გაკვირვებას ეს კონკრეტული ფრაზა იწვევს, რადგან იქ სრულიად გაუგებარია, რას ნიშნავს, ორი წლით პოლიტიკაში მოსვლა, მაშინ, როდესაც ხალხი ოთხი წლით გირჩევს.

ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ ხისტი და ჯიუტი პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებს – უარს ამბობს ღია პოლიტიკურ დებატებზე ვანო მერაბიშვილთან, რაც დებატებისთვის თავის არიდებად შეფასდა, რადგან აშკარაა, რომ მიხეილ საკაშვილი მასთან დებატებს არანაირ ფორმატში არ დათანხმდება.

მანამდე, ივანიშვილმა უარი თქვა ჰილარი კლინტონთან იმ პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად შეხვედრაზე, ვისაც

„ფსევდოოპოზიციას“ უწოდებს და პოლიტიკაში შემოსვლისთანავე გაემიჯნა. ამით მან დაკარგა შანსი აშშ-ს სახელმწიფო მდივანზე თავად მოეხდინა შთაბეჭდილება.

„კლინტონთან შეხვედრას მე არ ვანიჭებ გადამწყვეტ მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ყოფილა შეხვედრაზე, სახელმწიფო მდივანს ჰქონდა შესაძლებლობა, მოესმინა „ქართული ოცნების“ პოზიცია იმ საკითხებზე, რაც მას აინტერესებდა“, – ამბობს თინა ხიდაშელი და ამატებს, რომ მათმა ლობისტებმა ვერ მოახერხეს ცალკე შეხვედრის ორგანიზება.

ასევე უცნაური იყო ის წერილი, რომელიც მარტში „ქართულმა ოცნებამ“ აშშ-ის დაცული იქნება. მეორე მხრივ, „ასავალ დასავალს“, რომელიც ქსენოფობიურ რიტორიკაზე დგას და ძალიან ხშირად იყენებს სიძულვილის ენას, ინტერვიუს აძლევს და კომპლიმენტსაც ეუბნება.

„ქართული ოცნების“ გუნდის სიჭრელე და ეკლექტურობა კიდევ ერთი დამატებითი პრობლემაა.

ყველაზე მეტ დაბნეულობას სწორედ ეს იწვევს. თავიდან ივანიშვილმა აქცენტი ორ პროდასავლურ ძალაზე, „რესპუბლიკურ პარტიასა“ და „თავისუფალ დემოკრატებზე“ გააკეთა. თუმცა, მისი კოალიცია გაფართოვდა და დღეს, რეალურად, „ქართული ოცნება“ ერთმანეთისგან არა მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებებით, არამედ,

გია ნოდია მიიჩნევს, რომ „შეცდომა იყო მისი მხრიდან ომის თემის პედალირება, რა თქმა უნდა, შეიძლება გააკრიტიკო სააკაშვილი იმისთვის, როგორც მოიქცა 2008 წლის 7 აგვისტოს, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს სააკაშვილს სკამის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა, პრაქტიკულად პუტინის ვერსიასთან თანხვედრას ნიშნავდა და ეს უფრო ძლიერი არგუმენტია ხელისუფლების ხელში, ვიდრე მისი ფულის რუსული წარმოშობა“.

ელჩს გაუგზავნა საქართველოში, სადაც ეჭვქვეშ დააყენა NDI-ს და IRI-ს დაკვეთით განხორციელებული კვლევები და ამ ორგანიზაციებს საპარლამენტო არჩევნებამდე ამგვარი კვლევების განხორციელების შეწყვეტისკენ მოუწოდა. აშშ-ის საელჩომ კი უპასუხა: „დარწმუნებულნი ვართ, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევები პროფესიულადაა ჩატარებული და ლეგიტიმურ მეთოდოლოგიას ეფუძნება“.

ესმის თუ არა ბიძინა ივანიშვილს ადამიანის უფლებების თემა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია. ერთი მხრივ, ის უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე საქართველოში ერთადერთი პოლიტიკოსია, რომელიც ჩვენში ყველაზე უფრო მარგინალიზებული ჯგუფის, სექსუალური უმცირესობების უფლებებს ღიად აღიარებს და პირობას დებს, რომ მათი უფლებები ღირებულებებით სრულიად განსხვავებულ ძალებს აერთიანებს. მეტიც, ივანიშვილი მაჟორიტარებად ასახელებს ღია ქსენოფობებს, პოლიტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ პოლიტიკური ქულები სხვადასხვა ჯგუფის დისკრიმინაციით და ვიწრო ეთნონაციონალისტური რიტორიკით ჩაიწერონ (მურმან დუმბაძე, შალვა ხაჭაპურიძე), ასლან აბაშიძის დროინდელ ჩინოვნიკებს (ზია საგინაძე, დავით ანანიძე), საეჭვო ნიჭის მქონე ან ნიჭიერ მსახიობებს და სპორტსმენებს.

„თავიდან ისე ჩანდა, რომ ის უარს ამბობდა პრინციპზე „ყველა ერთად მიშას წინააღმდეგ“, შემდეგ კი უღალატა ამას, თუმცა, ფაქტია, რომ კვლევების მიხედვით, ამ არჩევნებზე მაინც ვერ ამარცხებენ სააკაშვილს, – ამბობს გია ნოდია, – „საბოლოოდ, რა გინდა? თუ გინდა, რომ დაამარცხო ს

პედაგოგები და ჯარისკაცები ნაცმოძრაობის 8 სექტემბრის ყრილობაზე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 8 სექტემბრის ყრილობას რეგიონულ მედიაში კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა. რეგიონული მედიაგამოცემები წინასაარჩევნო კამპანიაში ადმინისტრაციული რესურსების უკანონო გამოყენებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

გიორგი გოგუა

8 სექტემბერს საქართველოს თერთმეტ რეგიონში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა გაიმართა. პირველ სექტემბერს დაანონსებული ეს შეხვედრები, ლაფანყურის სპეცოპერაციის გამო, ერთი კვირით გადაიდო. ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ახალციხეში, გორში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, ამბროლაურსა და თბილისში მმართველი პარტიის შეხვედრები, დაახლოებით, თითო საათს გაგრძელდა.

ნაციონალურმა არხებმა ყურადღება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების გამოსვლებს დაუთმეს, პირდაპირ ჩართვებში უხვად იყო კადრები, სადაც დამსწრეთა რაოდენობა შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. ამავე ღონისძიების გაშუქებისას, რეგიონულმა მედიამ – ბეჭდურმა გამოცემებმა და ინტერნეტ გაზეთებმა – აქცენტი შეკრებაზე საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მიყვანილ საჯარო მოხელეებზე გადაიტანეს.

„შიდა ქართლის სხვადასხვა ქალაქიდან და სოფლიდან ჩამოყვანილი პირების უმრავლესობა საჯარო სკოლების პედაგოგები და საბავშვო ბაღების აღმზრდელები იყვნენ“, – წერდა ვებგვერდი qartli.ge სტატიაში, სათაურით „პედაგოგი... პედაგოგი... და კიდევ მეტი პედაგოგი!“ თანდართულ ვიდეოში ჩანდნენ სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული პედაგოგები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ყრილობაზე „მთელ პედკოლექტივთან ერთად“ ჩამოვიდნენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელის გელა მთივლიშვილის თქმით, მართალია, გამოკითხულ ადამიანებს შორის ღიად არავის უთქვამს ყრილობაზე საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მიყვანის შესახებ, თუმცა დახურული წყაროები ამაზე მაინც საუბრობენ: „არის რამდენიმე მაგალითი, როდესაც 7 სექტემბერს, საარჩევნო კომისიის წევრობის გამო, შვებულებაში მყოფმა სკოლის დირექტორებმა სკოლებში პედაგოგები შეკრიბეს და „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზე წასვლა დაავალეს“, – ამბობს მთივლიშვილი, თუმცა, წყაროების დასახელებისაგან თავს იკავებს. ჟურნალისტი ასევე საუბრობს აქციის წინა პერიოდში კომანდოს ბატალიონიდან დროებით გათავისუფლებულ სამხედრო პირებზე, რომლებსაც აქციაზე ხალხის მიყვანა დაევალათ.

> **„შიდა ქართლის სხვადასხვა ქალაქიდან და სოფლიდან ჩამოყვანილი პირების უმრავლესობა** საჯარო სკოლების პედაგოგები და საბავშვო ბაღების აღმზრდელები იყვნენ“.

როგორც ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული კადრებიდან ჩანს, ეს ადამიანები ყრილობის ადგილებში ორგანიზებულად, სამარშრუტო ტაქსებით ჩაიყვანეს. ყრილობის წინა დღეებშივე, თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით გასულმა ათობით ყვითელმა მიკროავტობუსმა მედიაში ხმაური გამოიწვია. მოგვიანებით, „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსპიკერმა, ჩიორა თაქთაქიშვილმა ბრიფინგზე განმარტა, რომ მისი პარტია, აქციაზე მხარდამჭერთა მისაყვანად, სამარშრუტო ტაქსებს მართლაც იყენებდა, თუმცა, როგორც თაქთაქიშვილი ირწმუნება, ეს კანონის სრული დაცვით მოხდა.

მკვლევარი არჩევნების საკითხებში ნინა ხატისკაცი განმარტავს, რომ პოლიტიკური პარტიის მიერ კერძო კომპანიისაგან ტრანსპორტის დაქირავება კანონიერია, თუ გადახდილი თანხა საბაზრო ღირებულებაზე დაბალი არ არის; საარჩევნო კამპანიაში გადახდილი თანხა კი პარტიის ფინანსურ ანგარიშში უნდა აისახოს. „თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემა ისაა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ყვითელი ავტობუსების დაქირავებამ ქალაქში მოძრაობა შეაფერხა“, – ამბობს ხატისკაცი და დასძენს – „მართალია, შპს „თბილისის მიკროავტობუსს“ სრული უფლება ჰქონდა გაექირავებინა კუთვნილი მიკროავტობუსები, მაგრამ საკითხავია, რატომ არ მოსთხოვა მას პასუხი ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალაქში სამარშრუტო ხაზების შეზღუდვის გამო“.

ფოტო: თორნიკე ზუბალაშვილი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფინანსური ანგარიში სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ჯერ არ გამოუქვეყნებია. პრესსპიკერმა, ჩიორა თაქთაქიშვილმა 8 სექტემბერს, ტელეკომპანია „მე-9 არხთან“ საუბრისას განაცხადა, რომ პარტია ანგარიშს სამ კვირაში წარადგენს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ გარდა, „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობას „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც“ აკვირდებოდა, თუმცა ორგანიზაციაში ამბობენ, რომ კანონდარღვევები არ აღმოუჩენიათ.

პარტიული ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, ტრანსპორტის, შენობა-ნაგებობებისა და სხვა რესურსების გამოყენების ფაქტებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ თავის წინა (2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის აგვისტომდე) ანგარიშში ასახავდა: „გარდა ამისა, აქ მოყვანილი იყო საჯარო მოხელეების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ფაქტებიც, რასაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლი კრძალავს.

„2012 წლის 27 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ყვარელში საავადმყოფო დაათვალიერა. მასთან შესახვედრად ათასზე მეტი ადამიანი სამარშრუტო ტაქსებით ყვარლის რაიონის სხვადასხვა სოფლიდან ჩაიყვანეს. მოქალაქეებმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურეს, რომ საჯარო მოსამსახურეები იყვნენ და მათი მგზავრობის ხარჯები გამგეობის ტერიტორიულმა ორგანომ გაიღო.

„2012 წლის 22 მაისს ფოთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის და მერიის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოხდა ანაკლიაში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაზე დასასწრებად წამსვლელ მოქალაქეთა მობილიზება. აქაც სრულად იყო ამოქმედებული მერიის ადმინისტრაციული რესურსები. წამსვლელები, ძირითადად, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები იყვნენ“, – ვკითხულობთ ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ანგარიშში.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნები სადამკვირვებლო ორგანიზაციების მომავალ ანგარიშებში აისახება. იქამდე კი, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტებს ექსპერტები, ჯერჯერობით, არ აფასებენ, რეგიონულ მედიაში გავრცელებული მასალებიდან ჩანს, რომ მასწავლებლებს და საჯარო მოხელეებს სხვადასხვა ქალაქში ჩატარებულ ყრილობაზე დასწრება ზოგ შემთხვევაში გამგებელმა, ზოგჯერ კი უშუალო „უფროსმა“ დაავალა.

ბრძოლა თბილისისთვის

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა 150 კანდიდატს დეპუტატობის მანდატს მიანიჭებს, მათგან 73 პარლამენტარი მაჟორიტარული წესით აირჩევა, ხოლო 77 დეპუტატი საკანონმდებლო ორგანოში პარტიული სიით მოხვდება.

ზურაბ ვარდიაშვილი

თბილისი ათ მაჟორიტარულ ოლქადაა დაყოფილი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიიდან ყველაზე მეტი კანდიდატი სწორედ თბილისის ოლქებში იბრძვის. ორ მთავარ კონკურენტს – „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ თავიანთი კანდიდატები ათივე ოლქში ჰყავს წარდგენილი.

მაჟორიტარობის კანდიდატი პირველივე ტურში გამარჯვებულად რომ გამოცხადდეს, საარჩევნო ოლქში ხმათა არანაკლებ 30% უნდა მიიღოს. თუ 30%-ს ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს, მეორე ტური გაიმართება.

ახალი სახეები

ცნობილი, თუმცა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოუცდელი კანდიდატები თბილისში, ძირითადად, „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა. მთაწმინდის ოლქში რუსთაველის თეატრის მსახიობი ზაზა პაპუაშვილი იბრძოლებს, ვაკეში – ადვოკატი შალვა შავგულიძე, შავგულიძე შსს-ს თანამშრომლების მიერ მოკლული სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი იყო და ფართო საზოგადოებამ სწორედ მაშინ გაიცნო, როდესაც ამ გახმაურებულ საქმეში ჩაერთო. კრწანისში „ქართულმა ოცნებამ“ ძიუდოისტი შოთა ხაბარელი წარადგინა. კანდიდატი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორია, წარმატებული აღმოჩნდა მისი სამწრთვნელო კარიერა – 2002, 2003, 2006 და 2008 წლებში ის ევროპის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. გლდანში კოალიციას მსახიობი და რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი წარმოადგენს. ჯაჭვლიანი ბოლო წლებში აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ დემონსტრაციებში. 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის დროს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააპატიმრეს და ერთი თვე ადმინისტრაციულ პატიმრობასაც იხდიდა. ისნის მაჟორიტარობის კანდიდატი რეჟისორი ნუკრი ქანთარია თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრისა და თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა. ის საზოგადოებრივი გაერთიანება „ქართული აკადემიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია.

ძველი მაჟორიტარები

როგორც ჩანს, მმართველი პარტია თბილისისთვის ბრძოლაში მაჟორიტარულ არჩევნებში გამოცდილ კანდიდატებს ენდობა, ათი ოლქიდან ექვსში „ნაციონალურ მოძრაობას“ მოქმედი მაჟორიტარი დეპუტატები (პარლამენტსა და საკრებულოში) წარმოადგენენ. არჩილ გეგენავა ახლაც მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატია, 2004 წლიდან საკუთარ ბიზნესს აწარმოებს, დააარსა კომპანია „თელიანი ველი“, 2006 წელს „ვია თრეველი“ ამავე წელს, სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი „ემ ჯგუფი“. საკანონმდებლო ორგანოში აგრარულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ამავდროულად, საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია. ანდრო ალავიძე კენჭს ჩუღურეთში იყრის, საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი აგრარულ კომიტეტში საქმიანობს, დეპუტატი 2004-2006 წლებში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა, 2006-2010 თბილისის საკრებულოში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას ხელმძღვანელობდა. მერაბ სამადაშვილი ნაძალადევის რაიონის მანდატის შენარჩუნებას შეეცდება, 2010 წლის მოწვევის თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ ხაჩირიშვილი გლდანში იბრძოლებს, დიდუბის მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი ჩაჩანიძე კი პარლამენტში არჩევამდე თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას თავმჯდომარეობდა.

ხელისუფლება

თბილისისთვის ბრძოლაში აღმასრულებელი ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან, ჯანდაცვის ექსმინისტრი ანდრია ურუშაძე, ვიდრე მთავრობის წევრი გახდებოდა, ჯანდაცვის უწყებაში 6 წელი სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა, მინისტრობის შემდეგ კი მცირე ხანს თბილისის მერის მოადგილე იყო. ახლა ის კენჭს საბურთალოს მანდატისთვის იყრის. კრწანისში იბრძოლებს მთავარი პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე, რომელიც პროკურატურის სტრუქტურებში 2007 წლიდან მუშაობდა, მანამდე კი თბილისის მერიაში, პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და იუსტიციის სამინისტროში მსახურობდა.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო ისნის მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი ვაშაძე. 2006 წლიდან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელობდა. 2006 წლამდე კი მუშაობდა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის

თბილისი ათ მაჟორიტარულ ოლქადაა დაყოფილი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიიდან ყველაზე მეტი კანდიდატი სწორედ თბილისის ოლქებში იბრძვის. ორ მთავარ კონკურენტს – „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ თავიანთი კანდიდატები ათივე ოლქში ჰყავს წარდგენილი.

მოადგილედ (2005-2006), ჩულურეთის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსად (2005), იყო პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის მოწვეული სპეციალისტი...

საქართველოს პარლამენტის ოთხგზის (1995, 1999, 2003, 2008) წევრმა, მიხეილ მაჭავარიანმა პოლიტიკური კარიერა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული კავშირის მთავარ მდივნად დაიწყო, ხოლო 1996 წლის ივნისიდან 1999 წლის დეკემბრამდე მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი იყო. 1999 წლის დეკემბერში საგადასახადო შემოსავლების მინისტრად დანიშნეს. 2003 წლის 2 ნოემბერს მაჭავარიანი აირჩიეს სამგორის მაჟორიტარ დეპუტატად. 2008 წელს მაჭავარიანი კვლავ გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი ნაციონალური მოძრაობის სიით. ვაკეში ნაციონალურ მოძრაობას ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი წარმოადგენს, კარბელაშვილის სახელი სომალელი მეკობრეებისგან ქართველი მესაზღვრეების გათავისუფლების საქმეში ფიგურირებდა.

ალასანიას გუნდი

თეა წულუკიანი, ვიქტორ დოლიძე და ზურაბ აბაშიძე – კანდიდატები ირაკლი ალასანიას პარტიიდან – კენჭს, შესაბამისად, ნაძალადევში, ჩულურეთში და ისანში იყრიან.

თეა წულუკიანი ბოლო წლები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანამშრომელი იყო, მის მოვალეობაში საქართველოს და, ნაწილობრივ,

ნაციონალური მოძრაობა

N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია
არჩილ გეგენავა

N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისია
გიორგი კარბელაშვილი

N3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისია
ანდრია ურუშაძე

N4 კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისია
დავით საყვარელიძე

N5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია
გიორგი ვაშაძე

N6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისია
მიხეილ მაჭავარიანი

N7 ჩულურეთის საოლქო საარჩევნო კომისია
ანდრო ალავიძე

N8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისია
გიორგი (გოგი) ჩაჩანიძე

N9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისია
მერაბ სამადაშვილი

N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისია
ნიკოლოზ ხაჩირიშვილი

ქართული ოცნება

N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია
ზაზა პაპუაშვილი

N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისია
შალვა შავგულიძე

N3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისია
დავით უსუფაშვილი

N4 კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისია
შოთა ხაბარელი

N5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია
ნუკრი ქანთარია

N6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისია
ზურაბ აბაშიძე

N7 ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისია
ვიქტორ დოლიძე

N8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისია
ვახტანგ ხმალაძე

N9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისია
თეა წულუკიანი

N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისია
სოსო ჯაჭვლიანი

მაჟორიტარობის კანდიდატი პირველივე ტურში გამარჯვებულად რომ გამოცხადდეს, საარჩევნო ოლქში ხმათა არანაკლებ 30% უნდა მიიღოს. თუ 30%-ს ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს, მეორე ტური გაიმართება.

რუსეთის წინააღმდეგ მიმართული საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლა, ამ საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა შემუშავება და უფლებამოსილი სასამართლო ორგანოებისათვის მათი გადაცემა იყო. 2010 წლის 24 თებერვალს წულუკიანი თანამდებობიდან გადადგა და საქართველოში დაბრუნდა. ამავე წლის 15 მაისს წულუკიანი „თავისუფალ დემოკრატებს“ შეუერთდა, ამჟამად ის პარტიის თავმჯდომარის მოადგილეა.

ვიქტორ დოლიძე ირაკლი ალასანიას პოლიტიკური პარტიის წევრი 2009 წლიდან გახდა, 2005-2009 წლებში იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიისა და უნგრეთის რესპუბლიკებში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეუთოსა და ვენაში (ავსტრია) განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ზურაბ აბაშიძე 2007-2008 წლებში საქართველოს კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა. 2008-2009 წლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მრჩევლის მოვალეობას ასრულებდა. 2010 წელს თბილისის მეოთხე საკრებულოს წევრად აირჩიეს. პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ დაარსებიდან 2010 წლის ივნისამდე ზურაბ აბაშიძე პარტიის გენერალური მდივანი იყო. ამჟამად პარტიის თავმჯდომარის მოადგილეა.

ვეტერანი პოლიტიკოსები

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრის, „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლები – დავით უსუფაშვილი და ვახტანგ ხმალაძე პოლიტიკურ ასპარეზზე ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი კანდიდატები არიან. უსუფაშვილი მაჟორიტარი დეპუტატის მანდატისთვის საბურთალოზე იბრძოლებს. „რესპუბლიკური პარტიის“ ახლანდელი თავმჯდომარე 2001-2005 წლებში USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტების იურიდიულ რეფორმებს ხელმძღვანელობდა. 2000-2001 წლებში კი, ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფის აღმასრულებელი მდივანი იყო. დიდუბის მაჟორიტარობის კანდიდატი ვახტანგ ხმალაძე 2005 წლიდან დღემდე „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური საბჭოს წევრია, 2002-2004 წლებში საქართველოს „ლიბერალური პარტიის“ თავმჯდომარის მოადგილე იყო, 2000-2002 წლებში კი პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წარმოადგენდა. ვახტანგ ხმალაძე „ქართული ოცნების“ პროპორციულ სიაში, უკანასკნელ, მე-200 ნომრადაა ჩაწერილი.

საარჩევნო დაპირისპირება გადამწყვეტ ფაზაში შედის. ვინ გაიმარჯვებს თბილისისთვის ბრძოლაში? ამ კითხვას პასუხი ორ კვირაში გაეცემა.

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.

"მეცხრე არხის" საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო

„მეცხრე არხი" ეყრდნობა მრჩეველთა საბჭოს წევრებს, რათა მათ უზრუნველყონ და დაიცვან არხის სარედაქციო დამოუკიდებლობა, დაეხმარონ „მეცხრე არხს" გაამყაროს საქართველოში პრესის თავისუფლება და დაიცვას დამოუკიდებელი აზრის თუ შეხედულების გამოხატვის უფლება."

— კახა ბექაური, "მეცხრე არხის" გენერალური დირექტორი

ლარი კინგი

CNN-ზე „ლარი კინგის შოუს" წამყვანი და ქველმოქმედი

„მეამაყება, რომ „მეცხრე არხის" მრჩეველთა საბჭოს წევრი გავხდი. როგორც ჟურნალისტისა და მედია კომენტატორისთვის, ჟურნალისტთა უფლებების დაცვა, პრესის თავისუფლების უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებების დაცვა მსოფლიოს მასშტაბით ჩემი კარიერის ქვაკუთხედს წარმოადგენს. „მეცხრე არხი", როგორც ნებისმიერი სხვა, ახალი, დამოუკიდებელი ახალი ამბების გამავრცელებელი ორგანიზაცია, აწყდება უპრეცედენტო გამოწვევებს საქართველოს ხელისუფლებისგან, რაც ხელს უშლის მის მისიას - ემსახუროს საქართველოს მოსახლეობას, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი საინფორმაციო და მედია წყარო. მისი ახალგაზრდა და იდეალისტური პერსონალი იმსახურებს იმ ამერიკელებისა და ევროპელების მხარდაჭერას, რომლებიც მათ მისიას იზიარებენ."

ლი ჰამილტონი

ყოფილი კონგრესმენი, 11 სექტემბრის კომისიის თანათავმჯდომარე და "ვუდროუ ვილსონის ცენტრის" ყოფილი პრეზიდენტი

"მე, როგორც საქართველოში მიმდინარე მოვლენების გრძელვადიანი დამკვირვებელი, საკმაოდ მაშფოთებს მთავრობის მიერ დამოუკიდებელ მედიაზე განხორციელებული ზეწოლა და ყოველგვარი ის ძალადობა, რაც თავისუფალი პრესის განვითარებასა და მოქალაქეების მიერ თავისუფალი აზრის გამოხატვას ზღუდავს. "მეცხრე არხი" წარმოადგენს ახალ, მნიშვნელოვან, დამოუკიდებელ ხმას, რომელიც იცავს საქართველოს მოსახლეობის უფლებებს. მოუთმენლად ველი ჩემს კოლეგა-საბჭოს წევრებსა და "მეცხრე არხის" ხელმძღვანელობასთან მუშაობას, რომლის მთავარ მიზანს თავისუფალი სიტყვისა და აზრის დაცვა წარმოადგენს."

ლეს გელბი

საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს საპატიო პრეზიდენტი, გაზეთ "ნიუ-იორკ თაიმსის" საერთაშორისო კორესპონდენტი და სარედაქციო გვერდის რედაქტორი

"თავის დროზე ამერიკელი ხალხი ვარდების რევოლუციის პრინციპებსა და იდეალებს – ქართველ ხალხს ეცხოვრა სიმშვიდეში და თავი დაცულად ეგრძნო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში – სიტყვით და საქმით მხარს უჭერდა. როგორც ჟურნალისტი, ღრმა შეშფოთებას გამოვთქვამ საქართველოს მთავრობის მიერ დემოკრატიული ღირებულებებისა და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ხელყოფის გამო. ტელეკომპანია "მეცხრე არხი" დამოუკიდებელი და თავისუფალი საინფორმაციო საშუალებაა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ემსახურება. როგორც ტელეკომპანიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, მხარს ვუჭერ მედიის თავისუფლებას საქართველოში."

რობერტ მენარდი

ფრანგი ჟურნალისტი და პრესის თავისუფლების საერთაშორისოდ აღიარებული დამცველი

"მთელი ჩემი პროფესიული მოღვაწეობა მსოფლიოს მასშტაბით თავისუფალი მედიის დაცვას დავუთმე. ტელეკომპანია "მეცხრე არხი" წარმოადგენს კეთილ ინიციატივას, რომელიც ცდილობს, საქართველოს მოსახლეობას შესთავაზოს ქეშმარიტად დამოუკიდებელი ინფორმაციისა და ახალი ამბების წყარო. თუმცა, წმინდა პოლიტიკური მოტივებით, ქვეყნის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ტელეკომპანია "მეცხრე არხს" მიზნების განხორციელებაში. გადაწყვეტილება, გავმხდარიყავი ამ საბჭოს წევრი, განაპირობა ჩემმა სურვილმა გლობალური ყურადღება მომეზიდა იმ გამოწვევებზე, რომელსაც "მეცხრე არხი" აწყდება მის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ხელისუფლების მხრიდან."

გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი

"ჩემთვის უდიდესი პატივია ამ ღირსეული ადამიანების გვერდით ყოფნა. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩემს ქართველ, ამერიკელ თუ ევროპელ კოლეგებთან ერთად ძალ-ღონეს არ ვიშურებდი ახალი თაობის ჟურნალისტების პროფესიული აღზრდისათვის, რამეთუ გვჯეროდა, რომ მაღალი სტანდარტების მქონე ჟურნალისტიკა საქართველოს დემოკრატიისა და ძლიერი მომავლის უტყუარი გარანტი იქნებოდა.აქედან გამომდინარე, როგორც "მეცხრე არხის" საბჭოს წევრი, ჩემს მიზანს დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობა და ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება წარმოადგენს."

ოპოზიცია საარჩევნო დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობას ითხოვს

არჩევნებამდე ორი კვირა დარჩა. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ის წევრები, რომლებიც ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენენ, აცხადებენ, რომ საარჩევნო დოკუმენტაციაზე სათანადოდ არ მიუწვდებათ ხელი.

ლიკა ზაკაშვილი

კანონმდებლობა საარჩევნო კომისიის თითოეულ წევრს საარჩევნო დოკუმენტაციაზე თავისუფალი წვდომის უფლებას აძლევს. საარჩევნო დოკუმენტებია: საარჩევნო სია, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და კომისიის სახელზე შესული ნებისმიერი კორესპონდენცია.

საოლქო კომისიების წევრები, ძირითადად, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, კანონმდებლობით მინიჭებული უფლების შეზღუდვაზე საუბრობენ და ამ უფლებით სარგებლობას ითხოვენ. ცესკოში რამდენიმე საჩივარი სწორედ მათი სახელით შევიდა.

ცესკოში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ნინო გოგუაძე ამბობს, რომ ხშირად საარჩევნო კომისიებში მათ წევრებს ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან. გასაჩივრების ვადა გადაწყვეტილების მიღებიდან ერთ დღეში იწურება. ამიტომ, ასეთი ფაქტების გასაჩივრება ხშირად ვერ ხერხდება.

„A3 ფორმატის პრინტერი არ გვქონდა“

საარჩევნო დოკუმენტაციაზე წვდომის უფლების შეზღუდვის საფუძველზე ცესკოს სახელზე ათობით საჩივარია შესული. ერთ-ერთი საჩივრის მიხედვით, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახელზეა შედგენილი, ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ წარმომადგენელი თამაზ გვიმრაძე წერს, რომ მათ გორის 32-ე საოლქო საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა ერთიანი სია მოსთხოვეს. ამ მოთხოვნის პასუხად, 32-ე საოლქო სარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიიღო ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც „ქართული ოცნების“ წევრს, ფაქტობრივად, უარი ეთქვა საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ კანონიერ მოთხოვნაზე.

ეს საჩივარი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გასაჩივრების ვადების დარღვევის გამო არ განიხილა. ამავე განკარგულებაში წერია, რომ მომჩივანს ამომრჩეველთა ერთიანი სია (უბნების მიხედვით) თავად ცესკომ გადასცა, ოღონდ მას შემდეგ, რაც 20 აგვისტოს გადახდილ იქნა მოსაკრებელი, ანუ ქსეროასლის გადაღების საფასური.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვადის ამოწურვის გამო ცესკოს გორის საოლქო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების კანონიერებაზე არ უმსჯელია.

„ლიბერალი“ გორის საოლქოს თავმჯდომარეს, მალხაზ მირუაშვილს დაუკავშირდა. მან გვითხრა, რომ „ქართული ოცნების“ წევრებს ოლქში საარჩევნო დოკუმენტებზე წვდომა არ ეკრძალებათ.

„კანონის თანახმად, სიებს აწესრიგებს ცესკო, ცესკომ გადმოგვცა 106 უბანზე სიები, სიები გავაკარით უბნებზე და ველარ ჩამოვხსნიდით, ამიტომ ბლოკის წევრებს ვუთხარი, რომ თავად მისულიყვნენ უბნებზე, ჩამოეხსნათ სიები და გაეკეთებინათ ასლები ისე, რომ უბნის მუშაობისთვის ხელი არ შეეშალათ“, – ამბობს მირუაშვილი. მან უარის მეორე მიზეზიც განგვიმარტა, კერძოდ, 32-ე საოლქო კომისიას A3 ფორმატის პრინტერი არ აქვს, ამიტომაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის მოთხოვნა ერთიანი საარჩევნო სიის ასლების გაცემაზე ვერ დაკმაყოფილდა.

სამგორში, მე-6 საოლქო კომისიაში მდგომარეობა გამოსწორდა

„ცესკომ მოახდინოს სათანადო რეაგირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ჩვენთვის, როგორც საოლქო კომისიის წევრებისათვის, საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება მე-6 ოლქში შემოსული ნებისმიერი დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობისა და დაუბრკოლებლად გაცნობის საშუალება, ასევე, სამუშაო ოთახებში ყოფნის უფლება და სამუშაო პირობების თანაბრობა მე-6 საოლქო კომისიის სხვა წევრებთან შედარებით“ – ეს ამონარიდია სამგორის მე-6 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების, ნინო უძილაურისა და მამუკა ბერიძის საჩივრიდან. ისინი საოლქო კომისიაში კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართულ ოცნებას“ წარმოადგენენ.

საჩივარი 25 აგვისტოს „ცესკოს“ სახელზე შედგა. ნინო უძილაურის თქმით, დოკუმენტებზე წვდომის უფლება ამ ფაქტის შემდეგ აღარ ეზღუდებათ. თუმცა, ერთი კვირის წინ, მათ არ მისცეს განცხადებები, რომლებიც საუბნო კომისიის წევრობის მსურველებმა საოლქო კომისიაში შეიტანეს. ეს განცხადებები კოალიციის წევრებმა მას შემდეგ მოითხოვეს, რაც აღმოაჩინეს, რომ რამდენიმე ცალი ერთი კალიგრაფიით და ერთი და იმავე კალმით იყო შევსებული.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელ-

თა საჩივარზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განკარგულება შეადგინა. განკარგულებაში წერია, რომ „საქმის მასალების შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ არ დასტურდება საჩივრის ავტორთა ეჭვები, თითქოს, კონკურსში მონაწილე პირთა განცხადებების მონაცემები, ხელმოწერების ჩათვლით, ერთი და იგივე ხელით და კალმით არის შესრულებული“. როგორც განკარგულებიდან ირკვევა, ცესკომ საჩივარში მოტანილი ეჭვის გასაბათილებლად საარჩევნო უბნის წევრად არჩეულ მადონა რევაზიშვილს ახსნა-განმარტება დააწერინა, სადაც იგი ადასტურებს, რომ საკონკურსო წინადადება პირადად დაწერა.

საოლქო კომისიებში ქართული ოცნების წევრებისთვის კანონით განსაზღვრული უფლებების შეზღუდვის ფაქტებზე კითხვით „ცესკოს“ მივმართეთ, თუმცა ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან ამ ფაქტების არსებობისა და მათი აღმოფხვრისთვის გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ვერ მივიღეთ.

სახელისუფლებო უმრავლესობა საარჩევნო კომისიებშიც უმრავლესობაა

საარჩევნო დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ნინო გოგუაძის თქმით, ერთადერთი პრობლემა არ არის. გოგუაძე ამბობს, რომ როგორც ცესკოში, ასევე, სხვა ქვედა დონის საარჩევნო კომისიებში ხმათა უმრავლესობა ყოველთვის მმართველი პარტიის მხარეს არის. ამის გამო კენჭის ყრისას ოპოზიციის წარმომადგენელთა სასარგებლოდ გადაწყვეტილებები თითქმის არასდროს დგება ხოლმე. მისი თქმით, საოლქო კომისია უბნებზე კომისიის წევრებს ბუნდოვანი კრიტერიუმების მიხედვით ირჩევს.

„განცხადებისა და მხოლოდ პერსონალური მონაცემების მიხედვით არჩევანის გაკეთება რთულია. ფორმალური კონკურსია, წინასწარ იციან, ვის ირჩევენ თანამდებობაზე“, – ამბობს გოგუაძე.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტის, თათული თოდუას განმარტებით, სამ არასამთავრობო ორგანიზაციას – „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ და „სამართლიან არჩევნებს“ – საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესში ცვლილებების შესახებ წინადადება 2011 წელს ჰქონდა. ისინი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემავალი წევრების შერჩევის წესის გამჭვირვალობას ითხოვდნენ.

„ჩვენი რეკომენდაციები შეეხებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების გამჭვირვალე წესს. საზოგადოებას უნდა გააჩნდეს ნდობა ამ პროცესის მიმართ და იყოს დარწმუნებული, რომ პოლიტიკურად მიკერძოებული პირების არჩევა არ ხდება. პრობლემად მიგვაჩნდა ის, რომ ცესკოში წევრების დანიშვნის პროცედურები ნაკლებად გამჭვირვალე გახდა და ინფორმაცია კანდიდატების გამოცდილებისა და ბიოგრაფიის შესახებ აღარ წარმოადგენდა სავალდებულო წარსადგენ დოკუმენტაციას“, – ამბობს თათული თოდუა. თუმცა, აქვე განმარტავს, რომ ეს წინადადება ეხებოდა მხოლოდ „ცესკოს“ დაკომპლექტების და არა ქვედა დონის საარჩევნო კომისიების ფორმირების წესს.

„განცხადებისა და მხოლოდ პერსონალური მონაცემების მიხედვით არჩევანის გაკეთება რთულია. ფორმალური კონკურსია, წინასწარ იციან, ვის ირჩევენ თანამდებობაზე“, – ამბობს გოგუაძე.

საარჩევნო უბნების ფორმირებასთან დაკავშირებით შენიშვნები „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ „2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის კვლევის შუალედურ ანგარიშშიც“ მოხვდა.

„უცვლელი დარჩა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი. სამივე დონის კომისია შედგება 13 წევრისგან. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ექვსი წევრი, მათ შორის – თავმჯდომარე, არჩეულია პრეზიდენტის წარდგინებით და მის შემადგენლობაში შედის დამატებით 7 წევრი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებიდან – ანუ შესაბამისი პარტიებიდან. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ხელისუფლების ყველა დონეზე დომინირებს ერთი მმართველი პარტია, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი კი, ოფიციალურად არის აღნიშნული პარტიის თავმჯდომარე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში ფაქტობრივ უმრავლესობას კვლავ ფლობს იგივე – მმართველი პარტია“ – წერია ანგარიშში.

„საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც კოლეგიალური ორგანოა, არ მოქმედებს ამ პრინციპით, რაც გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის 2011 წლის 19 დეკემბრის მე-14 რეკომენდაციას. საარჩევნო ადმინისტრაციის კოლეგიურობასთან დაკავშირებით შენიშვნები, ასევე, გამოთქმული იყო 2008 წლის 21 მაისის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების თაობაზე ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშშიც“ – ვკითხულობთ დასკვნაში.

პედაგოგთა დევნა პოლიტიკური ნიშნით

პირველი ნაწილი

გიორგი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“

ილუსტრაცია თაბუნა ნადარეიშვილის / ამრანი

საჯარო სკოლებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ფაქტების შესახებ ყველაზე უფრო თამამად შიდა ქართლის პედაგოგები საუბრობენ. სტუდია „მონიტორმა“ ათამდე პედაგოგის საქმე შეისწავლა, ჩვენ მათ გათავისუფლებასთან დაკავშირებით გამოცემულ ყველა დოკუმენტს გავეცანით. პედაგოგები, რომელთა ისტორიების შესახებაც ჟურნალისტურ გამოძიებაში გიამბობთ, სამსახურიდან გათავისუფლების ერთსა და იმავე სქემას აღწერს.

სქემა კი ასეთია – განათლების სამინისტრომ რესურსცენტრების ხელმძღვანელებს დაავალა, რესურსცენტრების ხელმძღვანელებმა სკოლის დირექტორებს დაავალეს, სკოლის დირქტორებმა კი, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაწერეს სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება. ამ გზით სამსახურიდან გაშვებული ყველა პედაგოგის ოჯახის წევრი, ან ნათესავი სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრია.

მანანა არჩუაძე სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლაში 35 წელი მუშაობდა, 2011

წლის სექტემბერში იგი სამსახურიდან მოულოდნელად გაათავისუფლეს. არჩუაძის შვილი თამარ კოდოშვილი ოპოზიციური მოძრაობა „სახალხო კრების“ გორის კოორდინატორია. არჩუაძემ სამსახურიდან გათავისუფლება სწორედ შვილის სამსახურს დაუკავშირა: „ეს გამოწვეულია ჩემი შვილის პოლიტიკური საქმიანობით. სხვა მიზეზი, 1%-იც კი, აბსოლუტურად არ არსებობს, არაფერი არ გამიკეთებია ცუდი“.

არანაირი დისციპლინური გადაცდომა, ან რაიმე სახის დარღვევა – არჩუაძის გათავისუფლების ბრძანებაში მისი გათავისუფლების მიზეზი არაა აღნიშნული. დირექტორის გადაწყვეტილება ყოფილმა პედაგოგმა სასამართლოში გაასაჩივრა. გორის რაიონულ სასამართლოში არჩუაძემ პროცესი წააგო, დღეს უკვე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის. ყოფილი პედაგოგი ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს.

მანანა არჩუაძე ერთადერთი პედაგოგი არ არის, რომელიც პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაზე საუბრობს. 2011-12 სასწავლო წელი საქართველოს რეგიონებში მომუშავე ათეულობით პედაგოგისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. რეგიონული მედიის ნაწილი პედაგოგების გათავისუფლებას აქტიურად აშუქებდა, რასაც რამდენჯერმე სკოლის ადმინისტრაციის აგრესია მოჰყვა.

***

ეკა ბაქრაძე დღეს ქარელის რაიონში ერთ-ერთ კერძო სკოლაში მუშაობს. პარალელურად სასამართლო დავას აწარმოებს ქარელის მე-2 საჯარო სკოლასთან, საიდანაც 2011 წლის სექტემბერში გაათავისუფლეს. ბაქრაძე მე-2 სკოლაში 14 წლის განმავლობაში ისტორიას, რელიგიას და კულტურას ასწავლიდა. 2003 წელს იგი ქარელის საუკეთესო მასწავლებლად დასახელდა, ხმათა უმრავლესობით აირჩიეს სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრად და თავმჯდომარედ, სკოლიდან გათავისუფლების დროს იყო პედაგოგიური საბჭოს ხელმძღვანელი.პირადი საქმის მიხედვით, არ ჰქონია არცერთი დისციპლინური გადაცდომა.

როგორც თავად იხსენებს, დირექტორმა სკოლის დატოვება 2011 წლის სექტემბერში მოსთხოვა. „დირექტორს ჰქონდა სურვილი ჩემი გათავისუფლების სამსახურიდან, რადგან ჩემი ოჯახის პოლიტიკური შეხედულებები მიუღებელი იყო მისთვის. ის ამბობდა, რომ დამავალეს შენი გათავისუფლება შენი ოჯახის პოლიტიკური შეხედულებების გამოო. ჩემი და იყო „სახალხო კრების“ ქარელის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ჩემი ძმა – ბურჯანაძის პარტიის წარმომადგენელი ქარელის რაიონში“, – იხსენებს ეკა ბაქრაძე.

მან დირექტორის უკანონო მოთხოვნის შესახებ ქარელის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს ეკა მამიჯანაშვილს წერილი მისწერა და პრობლემაში გარკვევა სთხოვა. „მე მივმართე რესურს ცენტრს, გავაფრთხილე ზეწოლის შესახებ, ვინაიდან რესურსცენტრი არის განათლების სამინისტროს ადგილობრივი ორგანო, ამიტომ ვაცნობე. ჯერ მოუცლელობა მოიმიზეზა, შემდეგ თქვა, რომ სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამიტომ ვერ ჩაერეოდა“.

ჩამოთვლილი საფუძვლებიდან ეკა ბაქრაძის გათავისუფლების ბრძანებაში არცერთი არ გვხვდება. ბრძანება ეყრდნობა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტს. აღნიშნული მუხლი დამსაქმებელს უფლებას აძლევს დასაქმებული გაათავისუფლოს. თუმცა, აუცილებელია, სამსახურიდან გაშვების კონკრეტული საფუძველი არსებობდეს.

16 სექტემბერს, მე-2 საჯაროს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ბაქრაძის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება გამოსცა, ბრძანებაში არ არის დასახელებული გათავისუფლების მიზეზი. ბაქრაძე ამბობს, რომ დირექტორმა მიზეზი ზეპირად კიდევ ერთხელ განუმარტა.

„მან თქვა, რომ თუ მე შენ არ გაგიშვი სამსახურიდან, მაშინ მე გამიშვებენო; ფაქტობრივად, დამემუქრა, რომ შემიწყვეტდა ხელშეკრულებას. პირდაპირ მითხრა, თქვენი პოლიტიკური შეხედულებები ჩვენთვის მიუღებელია, მე ვარ ამ ხელისუფლების მომხრე და ისეთი ხალხი არ მჭირდება, ვისაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები აქვსო“.

რატომ გაათავისუფლეს სკოლიდან ეკა ბაქრაძე? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად მე-2 საჯარო სკოლაში მივედით, თუმცა მხოლოდ დირექტორის მოადგილის ნახვა მოვახერხეთ, რომელმაც ბაქრაძის გათავისუფლების მიზეზებზე საუბარი არ ისურვა, „მე არ ვარ დღეს უფლებამოსილი პირი, რომ დღეს თქვენს შეკითხვებს ვუპასუხო“, – გვითხრა დირექტორის მოადგილემ.

ბაქრაძის შესახებ არც ქარელის რესურსცენტრში გაიკეთეს კომენტარი, გვაინტერესებდა, თუ რა ბედი ეწია წერილს, რომელშიც ბაქრაძე პოლიტიკური ნიშნით დევნაზე საუბრობდა. რესურსცენტრის უფროსის თქმით, ვინაიდან საქმე სასამართლოში იყო გასაჩივრებული, უნდა დავლოდებოდით სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ეკა ბაქრაძემ უფლებების დაცვის თხოვნით „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ გორის ოფისს მიმართა. ოფისის ხელმძღვანელი ქეთი ბებიაშვილი ამბობს, რომ მე-2 საჯარო სკოლის დირექტორმა კანონი დაარღვია.

„ეკა ბაქრაძე, გარდა იმისა, რომ იყო პედაგოგი, იყო სამეურვეო საბჭოს წევრიც. ასეთ შემთხვევაში კანონი ცალსახად ითვალისწინებს, რომ სამეურვეო საბჭოს თანხმობაა მის გასათავისუფლებლად საჭირო. ასეთი თანხმობა არ არსებობს, იგი ისე გაათავისუფლეს, რომ ეს სამეურვეო საბჭოსთან არ ყოფილა შეთანხმებული“, – ამბობს ბებიაშვილი.

ბაქრაძის სკოლიდან გათავისუფლების ბრძანებაში გათავისუფლების მიზეზი არ არის მითითებული, არადა, ზოგადი განათლების შესახებ კანონი ადგენს, თუ რა შემთხვევებში შეუძლია დირექტორს, მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს და სამსახურიდან გაათავისუფლოს. კერძოდ, კანონი ამბობს, რომ „დირექტორი უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების

დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში“.

ჩამოთვლილი საფუძვლებიდან ეკა ბაქრაძის გათავისუფლების ბრძანებაში არცერთი არ გვხვდება. ბრძანება ეყრდნობა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტს. ეს მუხლი ზოგადი შინაარსისაა და დამსაქმებელს უფლებას აძლევს დასაქმებული გაათავისუფლოს. თუმცა, აუცილებელია სამსახურიდან გაშვების კონკრეტული საფუძველი არსებობდეს.

მხოლოდ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე პედაგოგის გათავისუფლება უკანონოდ მიაჩნიათ იურისტებს.

„ის, თუ რატომ იყენებს სკოლის ადმინისტრაცია ამ კონკრეტულ მუხლს, არის პრობლემური იქიდან გამომდინარეც, რომ შრომის კოდექსის ამ მუხლთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს განმარტებული ძალიან ნათლად, რომ მიზეზი უნდა იქნეს დასაბუთებული.

უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრებული პრაქტიკით, არცერთ შემთხვევაში არ ხდება გათავისუფლების მიზეზის დასაბუთება, თუმცა სავალდებულოა. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ეს ნორმა“, – ამბობს ქეთი ბებიაშვილი.

უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებში, რომლებზეც იურისტები საუბრობენ, ცალსახად არის აღნიშნული, რომ მხოლოდ 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაქმებულის დაუსაბუთებლად სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოა. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს მიერ 2010 წლის 28 აპრილს გამოტანილ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული“.

მიუხედავად უზენაესი სასამართლოს ასეთი პრაქტიკისა, ეკა ბაქრაძის გათავისუფლების ბრძანება, რომელიც მხოლოდ შრომის კოდექსის 37-ე მუხლს ემყარებოდა, ხაშურის სასამართლომ არ გააუქმა. ბაქრაძემ პროცესი წააგო და მისი საქმე დღეს უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული.

***

ხაშურში მცხოვრები ქეთევან ხარაზიშვილიც 6 წლის განმავლობაში ხაშურის მე-6 საჯარო სკოლაში ფრანგულ ენას ასწავლიდა. იგი სერტიფიცირებული პედაგოგია და არანაირი დისციპლინური გადაცდომა არ ჰქონია. 2011 წლის დეკემბერში ის დირექტორმა დაიბარა.

„მითხრეს, რომ უნდა დამეტოვებინა სკოლა საკუთარი განცხადების საფუძველზე. მე ამას წინააღმდეგობა გავუწიე და დირექტორი იძულებული გახდა გავეთავისუფლებინე თავისი ბრძანებით. ჩემი გათავისუფლების მიზეზი გახლავთ ჩემი მეუღლე, რომელიც არის „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი და სწორედ მათ მითხრეს, რომ რადგანაც ჩემი მეუღლე იყო განსხვავებული შეხედულებების ადამიანი, ამიტომ უნდა დამეტოვებინა სკოლა. რესურსცენტრში არ მივსულვარ, ვიცი, რომ რესურსცენტრი არის ამაში უშუალოდ ჩართული. სასამართლოში გავასაჩივრე, ამის შემდეგ ჩემი ეჭვი დადასტურდა, რომ ვარ პოლიტიკური ნიშნის გამო გათავისუფლებული, რადგან სასამარათლომ მე არ გამამართლა. სასამართლოს ყველანაირი საფუძველი ჰქონდა ჩემი გამართლების“.

ხარაზიშვილის გათავისუფლების პარალელურად მე-6 საჯარო სკოლაში ფრანგული ენის სწავლა შეწყდა, ხარაზიშვილი ამბობს, რომ ეს მისი სამსახურიდან გაშვების გამართლების მიზნით გაკეთდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ფრანგულის სწავლება ბავშვებს სემესტრის დასრულებამდე 2 კვირით ადრე შეუწყვიტეს, ისე, რომ მასწავლებელს მათი სწავლის შეფასების და ნიშნების დაწერის საშუალება არ მიეცა.

„ფრანგულის გაუქმება მიუღებელია, რადგან მე-4 და მე-5 კლასელები უკვე 4 წელია სწავლობდნენ ფრანგულ ენას, ჩემი გათავისუფლების შემდეგ მათ შეუწყდათ ფრანგულის სწავლა და დაიწყეს ინგლისურის სწავლება. ყველაზე საშინელება არის ის, რომ 3-4 წლის ნასწავლი ენა ბავშვებმა უნდა დაივიწყონ და აღარ უნდა ისწავლონ. თუ ენა უნდა გაუქმებულიყო, ეს უნდა მომხდარიყო სასწავლო წლის დასაწყისში და არა 2 დეკემბერს. ამ დროს პირველი სემესტრის დასრულებას 2 კვირა აკლდა.

ხაშურის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორი ხარაზიშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს, სკოლაში მისულებს მასთან გასაუბრების საშუალება არ მოგვეცა. ჩვენ ჯერ გარეთ მოცდა გვთხოვეს იმ მიზეზით, რომ სკოლაში პედაგოგთა კრება მიმდინარეობდა. კორიდორში გამოსულებს კი ერთ-ერთმა პედაგოგმა განგვიცხადა: „დირექტორი ვერ დაგელაპარაკებათ, არ სცალია“.

ქეთი ხარაზიშვილი ამბობს, რომ თუ საქართველოს სასამართლოს ზედა ინსტანციებში ვერ მოიგებს, ბრძოლას სტრასბურგშიც გააგრძელებს.

***

ნოდარ კილაძე ხაშურის რაიონის სოფელ ალის საჯარო სკოლაში 1999 წლიდან ფიზიკულტურას ასწავლიდა. იგი პოლიტიკურ პარტია „თავისუფალ დემოკრატებში“ 2011 წელს გაწევრიანდა და ხაშურის რაიონის სოფლების კოორდინირება დაევალა. რამდენიმე თვეში ნოდარ კილაძეს და მის მეუღლეს, რომელიც, აგრეთვე, პედაგოგია, სამსახურში პრობლემები შეექმნათ.

„2011 წლის 8 სექტემბერს დაიწერა ჩემი გათავისუფლების ბრძანება, ჩემი მეუღლის გათავისუფლების ბრძანება დაიწერა 8 დეკემბერს. ორივე ბრძანება იურიდიულად აბსოლუტურად გაუმართლებელი და გაუგებარია. დირექტორმა მე ერთი ერთზე საუბრისას მითხრა, რომ ეს არ იყო მისი გადაწყვეტილება, მასზე მოდიოდა ზეწოლა და ამ ზეწოლის განმახორციელებელი იყო ხაშურის რესურსცენტრის უფროსი გუგბერიძე. ყველაფერი მისი პირადი მითითებით ხდებოდა და თუ მე არ გამიშვებდა, მაშინ მას გაუშვებდნენ“, – ამბობს ნოდარ კილაძე.

ნოდარის გათავისუფლების ბრძანებაც სხვების ანალოგიურია, არ არის მითითებული გათავისუფლების მიზეზი და მხოლოდ შრომის კოდექსის 37-ე მუხლზეა აპელირება. მიუხედავად ამისა, ნოდარმა სასამართლოს არ მიმართა.

„მე არანაირი იმედი არ მაქვს, რომ სასამართლო გამოიტანს სწორ და ადეკვატურ განაჩენს. მით უმეტეს, მაგალითები იყო ამისა, რამდენიმე ჩემმა კოლეგამ შეიტანა

სარჩელი სასამართლოში და აბსოლუტური იგნორირება გაუკეთეს და არ დაკმაყოფილდა“.

***

„თავისუფალი დემოკრატების“ ხაშურის ორგანიზაციის წევრის ენგური ნინიაშვილის მეუღლე 1991 წლიდან სოფელ ვაყის საჯარო სკოლაში მუშაობდა. ნინიაშვილი ოპოზიციურ პარტიაში 10 თვის წინ გაწევრიანდა, რამდენიმე თვეში მისმა მეუღლემ სამსახური დაკარგა. 2011 წლის 22 დეკემბრის ბრძანებით, ნანი ივანიშვილი სოფელ ვაყის საჯარო სკოლიდან გაათავისუფლეს.

„სკოლაში მივედი და პირველი გაკვეთილის შემდეგ მითხრეს, რომ მე გათავისუფლებული ვარ სამსახურიდან, ჩემი გაჩერება აღარ შეიძლება სკოლაში იმის გამო, რომ ჩემი მეუღლე არის „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი. საჩივარი მაქვს შეტანილი, რომ დამაბრუნონ სამსახურში, რადგან ეს არის, ჩემი აზრით, უკანონოდ გაკეთებული“, – ამბობს ნანი ივანიშვილი.

„თავისუფალი დემოკრატების“ ხაშურის ოფისში ამბობენ, რომ მათ პარტიასთან დაკავშირებული 5 პედაგოგი გაათავისუფლეს. იქ, აგრეთვე, ამბობენ, რომ დირექტორებს დავალებას ხაშურის რესურსცენტრის ხელმძღვანელი დარეჯან გუგბერიძე აძლევს. ჩვენ მოვახერხეთ რესურსცენტრის ხელმძღვანელთან შეხვედრა, თუმცა დარეჯან გუგბერიძემ კომენტარზე უარი განაცხადა.

***

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ფაქტი გორელი პედაგოგის, ია ბჟალავას გათავისუფლებაა. ბჟალავამ პროცესი გორის სასამართლოში უკვე წააგო. ბჟალავა 1990 წლიდან გორის მე-9 საჯარო სკოლაში ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა. ბჟალავა სერტიფიცირებული პედაგოგია, არ ჰქონდა არცერთი დისციპლინური გადაცდომა, მისი გათავისუფლების ბრძანებაც მხოლოდ და მხოლოდ შრომის კოდექსის 37-ე მუხლს ეყრდნობა. სამსახურის დაკარგვას მეუღლის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრია ჩემი მეუღლე, რომელიც 2 წლის წინ მხოლოდ იმიტომ იქნა დაკავებული, რომ თბილისში მიტინგზე აპირებდა წასვლას. ბრძოლას ვაპირებ კანონის ფარგლებში, მე მჯერა, რომ სამართლიანობა აუცილებლად გაიმარჯვებს, არ შეიძლება სხვანაირად. ასეთი უსამართლობა ამდენი ადამიანის თვალწინ არ შეიძლება, რომ დავუშვათ“, – ამბობს ბჟალავა.

***

სამსახურის პოლიტიკური მოტივით დაკარგვაზე საუბრობს კიდევ ერთი გორელი პედაგოგი ნანული მეტრეველი. მეტრეველი გორის მე-3 საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად 1971 წლიდან მუშაობდა. 2008 წელს სკოლამ პრეზიდენტის სტიპენდიაზე წარადგინა, მინიჭებული აქვს პირველი კატეგორიის მასწავლებლის წოდება, განათლების სამინისტროს ორგანიზებული არაერთი ღონისძიების წარმატებული მონაწილე იყო.

■ უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებში, რომლებზეც იურისტები საუბრობენ, ცალსახად არის აღნიშნული, რომ მხოლოდ 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაქმებულის დაუსაბუთებლად სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოა.

ნანული მეტრეველის ჯგუფში მოხვედრა ყველას უნდოდა. სწორედ მის კლასში ირიცხებოდა ყველაზე მეტი პირველკლასელი. 2011 წლის სექტემბერში იგი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაათავისუფლეს. როგორც თავად ამბობს, მისი შვილის ოპოზიციური საქმიანობა არ აპატიეს.

„ჩემი შვილი გახლავთ „ქართული პარტიის“ წევრი. არის ქალაქის კოორდინატორი. არანაირი ცდომილება, რადგან ჩემს პირად საქმეში არ ყოფილა და ვერც დირექტორმა ვერ მითხრა, თუ რის საფუძველზე მათავისუფლებდნენ, ვფიქრობ, რომ ეს იყო პოლიტიკური ზეწოლა“.

ნანული მეტრეველის და კიდევ რამდენიმე გათავისუფლებული პედაგოგის ინტერესებს სასამართლოში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტები იცავენ. პედაგოგებმა დღემდე გამართული ყველა სასამართლო პროცესი წააგეს, ადვოკატებს საქმეების უმრავლესობა ზედა ინსტანციებში აქვთ გასაჩივრებული.

ერთ-ერთი ადვოკატის, საიას გორის ოფისის თანამშრომლის, ნონა ასკილაშვილის თქმით, „ყველა გათავისუფლებული პედაგოგი, რომლის საქმესაც ჩვენ ვაწარმოებთ, არის კვალიფიციური, ძალიან ბევრია მათ შორის სერტიფიცირებული პედაგოგი. სამსახურიდან მათი გათავისუფლება მოხდა კანონდარღვევით და კონკრეტული საფუძვლების მითითების გარეშე. ყველა მათგანის უკან არის ის, რომ, უბრალოდ, მათი ოჯახის რომელიმე წევრი რომელიღაცა პარტიის წევრია“.

შიდა ქართლში გათავისუფლებული პედაგოგები ჩვენთან საუბარში აღნიშნავენ, რომ მათი გათავისუფლება არა სკოლაში, არამედ ცენტრალიზებულად განათლების სამინისტროს სტრუქტურებში გადაწყდა. ამბობენ, რომ სამინისტრო რაიონულ რესურსცენტრებს, რესურსცენტრები კი სკოლის დირექტორებს ავალებს პედაგოგების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას. არადა, კანონით, დირექტორი სკოლას დამოუკიდებლად უნდა მართავდეს და ასეთ საკითხებს ლოკალურად წყვეტდეს.

თუმცა, განათლების ექსპერტები საუბრობენ, რომ ბოლო წლებია, რაც სკოლა ცენტრალიზებულად, განათლების სამინისტროს წერილობითი თუ ზეპირი დირექტივებით იმართება და სკოლის დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული რეფორმა წარსულს ჩაბარდა.

რატომ შეიცვალა განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის რეფორმა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და როგორ დაკარგა ავტონომიურობა სკოლამ? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას საკანონმდებლო ცვლილებების ქრონოლოგიასა და ექსპერტების კომენტარებზე დაყრდნობით ჟურნალისტური გამოძიების მეორე ნაწილში შევეცდებით.

ჩატომ ვერ ვითარდება საქართველოში ლიზინგი?

საქართველოში სალიზინგო საქმიანობა 10 წელს ითვლის. სალიზინგო სექტორი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის არსებითი ფაქტორია, თუმცა საქართველოს ეკონომიკაში იგი უმნიშვნელო როლს თამაშობს.

თათია ხალიანი

ლიზინგი ქონების დროებით გადაცემას ნიშნავს. ლიზინგის გამცემი ვალდებულია, ქონება (მაგალითად, მანქანა, სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალება, შენობა-ნაგებობა...) ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში ხელშეკრულებით დათქმული ვადით გადასცეს. ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება, დაიდოს განსაზღვრული ვადით, ან ხელშეკრულების საგნის სრულ ამორტიზაციამდე.

კლასიკური გაგებით, ლიზინგის დროს საკუთრების უფლება იჯარის საგანზე მეიჯარეს უნარჩუნდება, ხოლო ლიზინგის მიმღები (მეწარმე, კომპანია) მას დროებით სარგებლობაში მოიპოვებს. თუმცა, ლიზინგის მიმღებს ვადის გასვლის შემდეგ სალიზინგო პროდუქტის შესყიდვა შეუძლია.

ეკონომიკის ექსპერტები თანხმდებიან, რომ სალიზინგო სექტორის განვითარება ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ის განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერებას უწყობს ხელს.

პირველი სალიზინგო კომპანია საქართველოში 2001 წელს გაჩნდა, სალიზინგო საქმიანობის შესახებ კანონი კი კომპანიის დაარსებიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მომზადდა. არსებული სტატისტიკით, საქართველოში 123 სალიზინგო

კომპანიაა დარეგისტრირებული. თუმცა, მათგან ადგილობრივ ბაზარზე მხოლოდ სამი მოქმედებს. „თიბისი ბანკის“ სალიზინგო კომპანია „თიბისი ლიზინგი“, საქართველოს ბანკის „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ და დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანია „ალიანს ჯგუფი ლიზინგი“.

„თიბისი ბანკმა“ კომპანია „თიბისი ლიზინგი“ 2004 წელს დააფუძნა. კომპანიის ძირითად მომსახურებას ფინანსური ლიზინგი წარმოადგენს. სალიზინგო კომპანია კლიენტის მიერ შერჩეულ კონკრეტულ ნივთს შეისყიდის (მანქანა-დანადგარებს, სხვადასხვა ტექნიკას, ავტოტრანსპორტს და ა. შ.) და გადასცემს სარგებლობაში კლიენტს ყოველთვიური საზღაურის გადახდის სანაცვლოდ. თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში კლიენტი ლიზინგის საგნის მესაკუთრე ხდება, ან თუ ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, თანხის გადახდის შემდეგ საკუთრების უფლება კომპანიას უნარჩუნდება.

„თიბისი ლიზინგის“ დირექტორის მოადგილის არჩილ ჩანქსელიანი საქართველოში სალიზინგო კომპანიების საქმიანობის შეფასებისას ამ დარგში დაგროვილ მწირ გამოცდილებას უსვამს ხაზს და ამბობს, რომ ხუთი წლის წინ ლიზინგის დარგში დაწყებული ზრდა ფინანსურმა კრიზისმაც შეაფერხა. თუმცა, მისივე თქმით, 2011-12 წლებში ვითარება შეიცვალა და გასულ წელს კომპანიის პორტფელი თითქმის ასი პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2012 წელს 30-პროცენტიანი ზრდაა ნავარაუდევი, რაც, ჩანქსელიანის შეფასებით, საქართველოს პატარა ბაზრის პირობებში მნიშვნელოვანი მიღწევაა.

„თუ ომამდე „თიბისი ლიზინგი“ ძირითადად სამშენებლო სექტორზე მუშაობდა, დღეს უკვე მშენებლობის კონცენტრაცია პორტფელში მხოლოდ 25 პროცენტის ფარგლებშია. განვითარდა სამედიცინო მიმართულების დაფინანსება, ასევე, ტრანსპორტი, მცირე წარმოება და სადისტრიბუციო დარგი. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში ჩვენ აქტიური მუშაობა დავიწყეთ სოფლის მეურნეობის დაფინან-

HEINRICH BÖLL STIFTUNG

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს

რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აკადემიური კვლევების ჩატარებას.

პროგრამის ამოცანებია:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ხელშემწყობი ინდივიდუალური და ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარებას;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესიონალების რეგიონალური ქსელის განვითარებას.

კონკურსის პირობები

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1977–1990 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევრებს, რომლებსაც გააჩნიათ სრული უმაღლესი განათლება და ამავე დროს მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ინგლისური ან/და რუსული ენების მაღალ დონეზე ფლობა. უპირატესობა მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც გვთავაზობენ თემატურ და მეთოდოლოგიურ სიახლეს, ზეპირი ისტორიების, შედარებითი კვლევების და თვისობრივი კვლევების ახალ მეთოდებს.

ფონდი აფინანსებს აკადემიურ კვლევებს შემდეგი მიმართულებებით:

1. სახელმწიფო და საზოგადოება: სოციალური სტრუქტურები, პოლიტიკური კულტურა და ინსტიტუტები;
2. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები: კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერება - განსხვავებული ხედვები;
3. უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები: მარგინალობის განმსაზღვრელი ფაქტორები;
4. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები: ადაპტაციისა და ინტეგრაციის ფორმები;
5. სოციალური სქესის მიმართ მგრძნობელობა და გენდერული როლები პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში;
6. საბჭოთა წარსულის გააზრება: მაკრო და მიკროისტორია;
7. ურბანული განვითარების პოლიტიკური და სოციალური ასპექტები;
8. გარემო და განვითარება: კონსერვაციისა და ტრანსფორმაციის პრობლემები;
9. მიგრაცია: სტრუქტურებისა და ტენდენციების მრავალფეროვნება.

სტიპენდიის ხანგრძლივობა და მოცულობა:

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება თორმეტი თვით (01.01.2013-31.12.2013). სტიპენდიის მოცულობა ყოველთვიურად 250.00 ევროს შეადგენს. პროგრამა ასევე მოიცავს ფონდის მიერ ორგანიზებულ თანმდევ სემინარებს, საზაფხულო სკოლას და პუბლიკაციებით მხარდაჭერას.

საბუთები მიიღება 2012 წლის 17 ოქტომბრის 18:00 საათამდე.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ მოიძიეთ
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის
რეგიონალური ბიუროს ვებგვერდზე
www.ge.boell.org

სების კუთხით, ეს არის საერთაშორისო პროექტი და ამჟამად დაახლოებით ათი პროექტია დაფინანსებული“, – ამბობს არჩილ ჩანქსელიანი.

კომპანია „ალიანს ჯგუფი ლიზინგი“ ერთადერთი დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანიაა. ის სალიზინგო საქმიანობას ადგილობრივ ბაზარზე 2006 წლიდან ეწევა. კომპანია, ძირითადად, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის მეწარმეებს ემსახურება, რომლებიც განვითარების საწყის, ან გაფართოების სტადიაზე არიან.

რაც შეეხება ლიზინგის დროს დამატებით უზრუნველყოფას, ორივე სალიზინგო კომპანიაში ამბობენ, რომ დამატებითი უზრუნველყოფა უძრავ-მოძრავი ქონების სახით საჭირო არ არის, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში თავდებობა შეიძლება იყოს მოთხოვნილი.

„თავდებობას ზოგადად, დამფუძნებლების მხრიდან ვითხოვთ. ეს მოთხოვნა სტანდარტულია. იმ სფეროში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, დიდი რისკებია. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექცევა საქართველოში იმას, თუ ვინ არის კომპანიის დამფუძნებელი, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ დამფუძნებელი დგას მენეჯმენტის სათავეში. თავდებობა რეალურად მუშაობს მხოლოდ პრობლემურ შემთხვევაში, როცა ჩვენ ვერ გავყიდით დანადგარს იმ ფასად, რომ ვალდებულება გადავფაროთ. ბოლო პერიოდში ეს შემთხვევები არ ხდება“, – ამბობს არჩილ ჩანქსელიანი.

როგორც „ალიანს ჯგუფი ლიზინგში“ ამბობენ, საქართველოში სალიზინგო ბაზრის განვითრებისთვის დიდი პოტენციალი არსებობს და ამას 2011 წელს სამოქალაქო და საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმაც შეუწყო ხელი. კომპანიაში ამობობენ, რომ ამ ცვლილებებით სალიზინგო მომსახურება გამარტივდა, და საგადასახადო აღრიცხვიანობის საკითხი დარეგულირდა როგორც ლიზინგის გამცემისთვის, ასევე – ლიზინგის მიმღებისთვის.

2011 წლის ნოემბერში ლიზინგთან დაკავშირებით ცვლილებები სამოქალაქო და საგადასახადო კოდექსში შევიდა.

კანონპროექტის მომზადება რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურები, ასევე – სალიზინგო კომპანიების წარმომადგენლები, ბიზნესასოციაციები და საერთაშორისო ექსპერტები. კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა პირველ ნოემბერს დაამტკიცა.

2011 წელს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებების შემდეგ, ლიზინგი, როგორც დამოუკიდებელი გარიგების ტიპი, ისე დარეგისტრირდა, იქამდე ლიზინგი იჯარის ერთ-ერთი სახე იყო.

„თავდებობა რეალურად მუშაობს მხოლოდ პრობლემურ შემთხვევაში, როცა ჩვენ ვერ გავყიდით დანადგარს იმ ფასად, რომ ვალდებულება გადავფაროთ. ბოლო პერიოდში ეს შემთხვევები არ ხდება“.

„არანაკლებ დიდი პრობლემა საგადასახადო რეგულირების არარსებობა იყო. საგადასახადო კოდექსი სალიზინგო კომპანიებს ახრჩობდა, მძიმედ ბეგრავდა. უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა, ვიდრე სხვა ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებს. თუმცა, სალიზინგო საქმიანობა ისევ დღგ-ით იბეგრება და ეს ნორმა დარჩა კანონმდებლობაში“, – ამბობს ადვოკატი ირაკლი კორძახია, 2011 წელს სამოქალაქო და საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების კანონის პროექტის ერთ-ერთი თანაავტორი.

მისივე თქმით, საერთაშორისო პრაქტიკით სამი ტიპის სალიზინგო კომპანია არსებობს. პირველი – დიდი მწარმოებლების სალიზინგო კომპანიები, მეორე – ბანკის შვილობილი სალიზინგო კომპანია და მესამე – დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანიები. საქართველოში მხოლოდ ორი ტიპის სალიზინგო კომპანიაა – ბანკთან არსებული და დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანია. კორძახიას თქმით, საქართველოს კანონმდებლობა ბანკთან არსებულ სალიზინგო კომპანიის არსებობას ეროვნული ბანკის თანხმობით უშვებს.

„ჩემი აზრით, პრობლემა უფრო ფინანსების სიმცირეა, რადგან ევროპაშიც გაჭირდა ფულის და კრედიტების მოზიდვა. შესაბამისად, ბანკებსაც ნაკლები საშუალება აქვთ ამ ეტაპზე გაფართოვდნენ და სალიზინგო კომპანიები დააფუძნონ. მეორე მხრივ, ცოდნის ნაკლებობაა, ისინი, ანუ ბანკები უყურებენ სალიზინგო კომპანიებს როგორც მათ კონკურენტებს. მსოფლიო გამოცდილება კი უჩვენებს, რომ ბანკები და სალიზინგო კომპანიები სხვადასხვა სეგმენტში არიან და არ წარმოადგენენ ერთმანეთის კონკურენტებს“, – ამბობს კორძახია.

„ჯორჯიან ბიზნეს ინსაითის“ (BPI) დირექტორის ირაკლი ლექვინაძის შეფასებით, ლიზინგი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. უცხოეთში ის დღგ-სგანაც არის გათავისუფლებული და კანონმდებლობა ძალიან ბევრ საკითხს არეგულირებს.

„ჩვენთან სალიზინგო საქმიანობა დღგ-სგან არ არის გათავისუფლებული და ამიტომაც ამ ტექნიკით სარგებლობა კრედიტით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე – ლიზინგით. მეწარმეს ურჩევნია ბანკიდან კრედიტი გამოიტანოს, ვიდრე ლიზინგით ისარგებლოს, რადგან თვიურად გადასახდელ თანხას დღგ-ით გათვალისწინებული პროცენტიც ემატება. რეალურად ის უფრო ძვირი ჯდება“, – ამბობს ლექვინაძე.

ლექვინაძის თქმით, სალიზინგო სექტორი საქართველოში რაიმე მნიშვნელოვან სურათს ვერ ქმნის. ამის ერთ-ერთ მიზეზად ამ მომსახურების შესახებ ნაკლებ ინფორმაციას და შესაბამისად, მოთხოვნის არარსებობას ასახელებს.

„განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში ბევრმა არცკი იცის, თუ ასეთი რამით სარგებლობა შეიძლება, მაგალითად, დისტრიბუციაში მანქანები ძალიან ხშირად სჭირდებათ, მაგრამ უცხოეთში ლიზინგით ავტომობილების შეძენა ბევრად უფრო იაფი დაჯდებოდა, ვიდრე საქართველოში“.

ტოტალური ზრუნვა, ტოტალური ტრენინგი, ტოტალური თავდაცვა

სულ ახლახან თავდაცვის სამინისტრომ თავდაცვის ახალი კონცეფცია გამოაქვეყნა. როგორია ეს კონცეფცია და რამდენად პასუხობს სტანდარტებს?

გიორგი ჭეიშვილი

ფოტო: გიორგი გუბაძე

„არც მშვიდობიანობის დროს და არც ომში არცერთ ადამიანს არ მივატოვებთ“, „ტოტალური ზრუნვა“, „ტოტალური ტრენინგი“, „ტოტალური თავდაცვა“ – აღნიშნული სლოგანი და პუნქტები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი ე. წ. „3T“ კონცეფციის მთავარი შემადგენელი ნაწილებია.

თავდაცვის სამინისტრომ ახალი „3T“ კონცეფცია მინისტრის თანამდებობაზე დიმიტრი შაშკინის დანიშვნის შემდეგ წარმოადგინა. თავდაცვის სტრუქტურაში შაშკინის მისვლის შემდეგ შეიცვალა უწყების ვებპორტალიც, ხოლო სამინისტროს სარეკლამო რგოლები და ბანერები სხვადასხვა ტელევიზიის ეთერსა და ინტერნეტგვერდებზე გამოჩნდა.

6 აგვისტოს დიმიტრი შაშკინმა მედიის წარმომადგენლებს თავდაცვის ახალი კონცეფცია გააცნო. მინისტრმა განაცხადა, რომ „კონცეფციის არსი სამხედრო მოსამსახურეების ქვეყნის თავდაცვაზე კონცენტრირებაში მდგომარეობს, რისთვისაც 7 მოტივატორი შემუშავდა, რომლებიც 2013 წლამდე ეტაპობრივად ამოქმედდება“.

„ტოტალური ზრუნვა“

„ტოტალური ზრუნვის“ შემადგენელი პუნქტები, ანუ ე.წ. „მოტივატორები“ სამხედრო პირთა და მათი ოჯახების წევრთა ჯანდაცვას, განათლებას, საბანკო-სატრანსპორტო შეღავათებს, ფინანსურ წახალისებასა და დასაქმებას, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასა და დასვენებას გულისხმობს.

„ტოტალური ზრუნვის“ პროგრამის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრები-

სათვის მკვეთრად გაუმჯობესდება სადაზღვევო პაკეტი; უზრუნველყოფილი იქნება წვევამდელების სრული სამედიცინო მომსახურება; ჯარისკაცებისათვის შეიქმნება რეფერალური ფონდი; უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ ახალგაზრდებს, რომლებმაც გრანტი ვერ მოიპოვეს და სწავლის საფასურის გადახდის საშუალება არ აქვთ, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის პირობით, სამინისტრო ბაკალავრიატს დაუფინანსებს. სახელმწიფო გრანტით დაფინანსდება ჯარისკაცის ბაკალავრიატში სწავლის საფასური კონტრაქტის მეორე ვადით გაგრძელებისა და სამინისტროს პრიორიტეტულ სპეციალობაზე სწავლის პირობით. სამხედრო მოსამსახურეებს უფასოდ გადაეცემათ ინგლისურისა და კომპიუტერის სწავლის ვაუჩერი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ქართული ენის სწავლის ვაუჩერს მიიღებენ, 20 წლის სამხედრო სამსახურის შემთხვევაში, სამხედროს პროფესიული განათლების 1000-ლარიანი ვაუჩერი გადაეცემა, სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის მეორე ვადით გაგრძელების პირობით კი, მაგისტრატურა სახელმწიფო გრანტით დაუფინანსდება.

ამავე პუნქტის გათვალისწინებით სამხედრო მოსამსახურეთა შვილები სახელმწიფო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ფასდაკლებით ისარგებლებენ. ოფიცრების, კაპრალებისა და სერჟანტების პირველკლასელი შვილები უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებს მიიღებენ. საკონტრაქტო სამსახურის ყოველი მომდევნო ვადით გაგრძელებისას სამხედრო პირს ერთჯერადად პრემიის სახით 7000 ლარი გადაეცემა, 20 წლის სამხედრო სამსახურისათვის კი, პრემიის სახით ბოლო 1 წლის ხელფასს მიიღებს. სახელმწიფო იზრუნებს საბრძოლო ვითარებაში დაღუპული სამხედროს ოჯახის წევრების დასაქმებასა და საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფაზე. განსაკუთრებული საბრძოლო ღვაწლისთვის სამხედროები ბინას მიიღებენ. სახელმწიფო უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეთა შვილების პატრიოტთა ბანაკებსა და თავდაცვის სამინისტროს საზაფხულო სკოლებში დასვენებას.

6 სექტემბერს ვაზიანის ბაზაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სამხედრო მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს „ტოტალური ზრუნვის“ ფარგლებში გათვალისწინებული შეღავათები გააცნეს.

დიმიტრი შაშკინმა განაცხადა, რომ სექტემბერში ვარკეთილის სამხედრო კომპლექსის ნაწილის მშენებლობა მთავრდება, სადაც 800-ზე მეტი ოჯახი თეთრი კარკასის 2-ოთახიან ბინებს საკუთრებაში მიიღებს.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრის, ირაკლი სესიაშვილის აზრით, თავდაცვის ახალი კონცეფცია სახელისუფლებო გუნდის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია და ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ 12-გვერდიან „3T“ კონცეფციაში 10 გვერდი „ტოტალურ ზრუნვას“ ეთმობა, „ტოტალურ ტრენინგსა“ და „ტოტალურ თავდაცვას“ კი – მხოლოდ ორი გვერდი. „რაც დღეს თავდაცვის სამინისტროში ხდება, ყველაფერი არჩევნებსა და სამხედროების მოტყუებას უკავშირდება“, – მიაჩნია სესიაშვილს.

სამხედრო-ანალიტიკური კვლევების ცენტრ „ჰერის“ წარმომადგენლის, გიორგი თავდგირიძის აზრითაც, „ტოტალურ ზრუნვაზე“ აქცენტირება გარკვეულწილად პიარის ელემენტია, თუმცა, იგი ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს, რადგან „ასეთ ხერხს დემოკრატია არ გამორიცხავს... კონცეფცია ზუსტად ეს არის, უნდა იყოს მცირე, ზოგადი თეზისებით გაჯერებული, რაც შემდგომ ნორმატიულ აქტებში, მითითებებსა და ბრძანებებში უნდა გაიწეროს. იმ შემთხვევაში, თუ „ტოტალური ზრუნვის“ კომპონენტები არ შესრულდა, ჩვენ შეგვიძლია ხელისუფლებას პასუხი მოვთხოვოთ“, – ამბობს თავდგირიძე.

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე ამბობს, რომ არ არის აუცილებელი თავდაცვის ახალ მინისტრს ახალი ხედვა ჰქონდეს – „როდესაც ცვლილება ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდეგ ხდება, გასაგებია, რომ ახალ მინისტრს თავდაცვის სისტემის განვითარების განსხვავებული ხედვა ჰქონდეს, მაგრამ როდესაც ეს ცვლილება იმავე ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ხდება, რთულია განმარტო, რატომ გახდა საჭირო თავდაცვის ახალი კონცეფციის შექმნა. ძველი ხედვა არ ვარგოდა, თუ მან საკუთარი თავი ამოწურა? განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ მთავრობას პოლიტიკური ლეგიტიმაცია არჩევნების მოახლოებასთან ერთად ეწურება. ჩვენს რეალობაში ეს ყველაფერი სამხედრო ხმების მოპოვებაზეა გათვლილი“, – მიაჩნია თევზაძეს.

გიორგი თავდგირიძის განმარტებით, არც ევროპულ სახელმწიფოებში და არც ამერიკის შეერთებულ შტატებში პატრიოტიზმი და სამშობლოს დაცვა ჯარისკაცების მოტივაციის მთავარი საგანი არ არის – „ჯარისკაცი პატრიოტი უნდა იყოს, მაგრამ ყველაფერი პატრიოტიზმით არ იწყება. აქცენტი იმ ასპექტზე კეთდება, რომ სამხედრო საქმე კარგი სამსახური და გარანტირებული, უზრუნველყოფილი კარიერაა; ეს ჩვენც უნდა გადმოვიღოთ. პატრიოტიზმის ცნება მაშინ გამოდის წინ, როდესაც სახელმწიფოს ჯარისკაცზე ფულის დაზოგვა სურს“.

„ტოტალური ტრენინგი“

„3T“-ს მომდევნო პუნქტი „ტოტალური ტრენინგია“, რომელიც კონცეფციის მიხედვით – „NATO-ში ინტეგრაციის მიზნით საერთაშორისო წვრთნების და ტრენინგების გაძლიერებას“, ასევე „აშშ-სა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის მიღწეული ექვსპუნქტიანი შეთანხმების იმპლემენტაციას“ ითვალისწინებს.

აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმებული ექვსპუნქტიანი შეთანხმების ძირითადი მიმართულებებია:

- ოპერატიული საჰაერო კონტროლისა და საჰაერო თავდაცვის სფერო-

ში წვრთნა და განათლება;

- საბრძოლო თავდაცვითი საინჟინრო წვრთნა და განათლება;
- მხარდაჭერის ვერტმფრენების მიმართულებით წვრთნა და განათლება;
- სანაპირო დაცვის კონტროლის სფეროში წვრთნა და განათლება;
- სერჟანტებისა და უმცროსი ოფიცრების ინსტრუქტორების მომზადება ტაქტიკურ დონეზე;
- ბრიგადის მმართველობისა და შტაბის წვრთნა და განათლება.

12 სექტემბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გავრცელებული ინფორმაციით, ექვსპუნქტიანი გეგმის პრაქტიკული განხორციელებისათვის საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ექსპერტთა ჯგუფი ეწვია, რომლებიც საქართველოს საჰაერო შესაძლებლობების განვითარებაში დაეხმარებიან.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ აშშ-საქართველოს შორის მიღწეული შეთანხმების იმპლიმენტაციით საქართველოს უსაფრთხოება დაცული იქნება სამივე მიმართულებით – ჰაერიდან (საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებით), წყლიდან (სანაპირო დაცვის კონტროლით) და ხმელეთიდან (საინჟინრო მიმართულების გაძლიერებით).

გიორგი თავდგირიძე განმარტავს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მომზადება საბჭოთა კავშირის არმიის მსგავსად მიმდინარეობდა და, ხშირ შემთხვევაში, წვრთნები ფორმალობა იყო – „ტოტალური ტრენინგის ლოზუნგის ქვეშ იგულისხმება, რომ დღეს ჯარისკაცის ტრენინგი იქნება მიზანმიმართული, სწავლის ზოგადი და კონკრეტული მიზნები კი, ამერიკისა და ევროპის მსგავსად იქნება შერჩეული. დიდი დრო დაეთმობა ვარჯიშებს, ასევე, გაიზრდება ტრენინგების მოცულობა, რომელსაც კონკრეტული – მიღწევადი მიზანი ექნება“.

ტოტალურ წვრთნასთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრება აქვს პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენელს, ირაკლი სესიაშვილს: „სამხედრო მოსამსახურის წვრთნა შესაბამისი წესდებების მიხედვით ხდება, წვრთნა იმ სიხშირითა და მასშტაბით უნდა ჩატარდეს, რასაც წინასწარ განსაზღვრული წესდება ითხოვს. სამხედრო წვრთნა ან სწორად მიმდინარეობს, ან არა, აქ რაოდენობაზე საუბარი აბსურდია“, – ამბობს ირაკლი სესიაშვილი.

„როდესაც ცვლილება ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდეგ ხდება, გასაგებია, რომ ახალ მინისტრს თავდაცვის სისტემის განვითარების განსხვავებული ხედვა ჰქონდეს, მაგრამ როდესაც ეს ცვლილება იმავე ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ხდება, რთულია განმარტო, რატომ გახდა საჭირო თავდაცვის ახალი კონცეფციის შექმნა. ძველი ხედვა არ ვარგოდა, თუ მან საკუთარი თავი ამოწურა?

„ტოტალური თავდაცვა“

თავდაცვის სამინისტროს ახალი კონცეფციის მესამე „T“ „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას; რეზერვის არსებობასა და გაძლიერებას ითვალისწინებს“.

ირაკლი სესიაშვილის თქმით, თუ თავდაცვის სამინისტრო ხუთდღიანი ნებაყოფლობითი რეზერვის შემოღებას აპირებს, ეს რეზერვის გაძლიერება კი არა, დასუსტებაა, რადგან ასეთ პირობებში სახელმწიფო ქაოტურ სისტემას იღებს – „რეზერვი 2008 წელსაც გვყავდა, მაგრამ რა შედეგი მივიღეთ, ყველამ ვნახეთ. ჩვენ ხელისუფლებას თავდაცვის სისტემის მარტივად მართვის უნარიც არ აქვს.

დავით თევზაძე აღნიშნავს, რომ ორი თეზისი, რომელიც „ტოტალურ თავდაცვას“ აზუსტებს, ერთმანეთში არ თავსდება – „ტოტალური თავდაცვა ტერმინია, რომლის უკან გარკვეული დოქტრინა დგას. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება; რეზერვის არსებობა და გაძლიერება ამ ორი პუნქტის ტოტალურ თავდაცვასთან მიმართებას გაუგებარს ხდის. ამ დოკუმენტში არ ჩანს, თუ რა ღონისძიებები იგულისხმება ტოტალურ თავდაცვაში და რაც მთავარია, როგორ ხდება ამ ღონისძიებების უზრუნველყოფა“.

გიორგი თავდგირიძე კი მიიჩნევს, რომ ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ქვეშ დაბალხარჯიანი ნებაყოფლობითი რეზერვის არსებობა დადებითი ელემენტია, მაგრამ ამას სერიოზული მუშაობა სჭირდება – „ერთია, რომ კარგ მებრძოლად ჩამოყალიბებისთვის რეზერვისტს 5 დღე შეიძლება არ ეყოს, მაგრამ ამ ადამიანების სისტემაში მოსაქცევად 5 დღე საკმარისია. მათი დახვეწა და განვითარება შემდგომ უკვე დროის საკითხია... სამოქალაქო თავდაცვის პრობლემის მოგვარებისათვის ნებაყოფლობითი რეზერვი იდეალური ვარიანტია, რადგან კონკრეტული შემთხვევებისას ადამიანებს ეყოლებათ ლიდერი, ექნებათ ინფორმაცია, რაც საზოგადოებას ომში დამარცხების მთავარი ფაქტორისგან – პანიკისაგან დაიცავს“, – აღნიშნა თავდგირიძემ ჩვენთან საუბრისას.

სტატიაზე მუშაობისას „ლიბერალმა“ არაერთხელ სცადა თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირება. სამინისტროს შეკითხვები წერილობით წინასწარ გავუგზავნეთ, თუმცა, მათგან პასუხი არ მიგვიღია. ასევე, სტატიაზე მუშაობის პერიოდში, შეუძლებელი აღმოჩნდა მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებთან, გივი თარგამაძესთან, აკაკი მინაშვილთან და დავით დარჩიაშვილთან დაკავშირება.

დიდი თუჩუკი მედიასაქმე

თურქული მართლმსაჯულება ტერორისტულ საქმიანობაში ბრალდებულ 44 ქურთ ჟურნალისტს ასამართლებს, რომელთაგან 36 2011 წლის დეკემბრის შემდეგ წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

ვასო კუჭუხიძე

10 სექტემბერს სტამბულში სასამართლო პროცესი დაიწყო, რომელმაც მსოფლიო ყურადღება მასში ბრალდებულის სტატუსით წარდგენილ ჟურნალისტთა უპრეცედენტო რაოდენობის გამო მიიპყრო. თურქული მართლმსაჯულება ტერორისტულ საქმიანობაში ბრალდებულ 44 ქურთ ჟურნალისტს ასამართლებს, რომელთაგან 36 2011 წლის დეკემბრის შემდეგ წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

გარდა ამისა, ქურთულ ადგილობრივ ტელევიზია „Gün TV“-ს აეკრძალა საინფორმაციო გამოშვებების მომზადება და ეთერში გაშვება, ხოლო ამავე კომპანიის ჟურნალისტებს სხვა ტელევიზიების პროგრამებში მონაწილეობა. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ თურქეთის ხელისუფლება მედიის დაშინებაზე დაუფარავად გადავიდა და ჟურნალისტთა წინააღმდეგ გამოცხადებულმა ბრძოლამ ფართო მასშტაბები შეიძინა.

ჟურნალისტთა გასამართლების პროცესი ექსცესების თანხლებით დაიწყო. სასამართლო დარბაზში ბრალდებულთა ოჯახის წევრები ობსტრუქციის გზით ცდილობდნენ პროცესი არ შემდგარიყო. სასამართლოს შენობის გარეთ კი დაკავებული ჟურნალისტის კოლეგების მიერ ორგანიზებული მხარდამჭერი აქცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სხვადასხვა გამომცემლობისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიიღეს, მათ შორის – საერთაშორისომაც. პროცესს პრობლემა ენის ბარიერმაც შეუქმნა, ბრალდებულმა ქურთმა ჟურნალისტებმა უარი განაცხადეს ჩვენებების თურქულ ენაზე მიცემაზე, ხოლო მოსამართლე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა პროცესის ორენოვან სახეს, რამაც განხილვის გარკვეული ხნით გადადება გამოიწვია და ნათელი გახადა, რომ პროცესი დაძაბული და გაჭიანურებული იქნებოდა.

საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რისხვის თავიდან აცილების მიზნით თურქეთის ხელისუფლება სასამართლო პროცესის დაწყებამდეც დაუღალავად იმეორებდა, რომ ბრალდებულთა დაკავება და გასამართლება მათი ჟურნალისტური საქმიანობის გამო არ ხდება. ოფიციალური ბრალდების თანახმად, 12 ჟურნალისტს ბრალი ტერორისტული ორგანიზაციის მეთაურობაში, ხოლო 32 მათგანს ტერორისტებთან თანამშრომლობაში ედება. პროკურორის განცხადებებით, დაკავებული ყველა ჟურნალისტი გაწევრიანებული იყო არალეგალურ პან-ქურთულ მოძრაობაში „ქურთული საზოგადოებების გაერთიანება“ (KCK), რომელიც თურქული ანტიტერორისტული სამსახურების ინფორმაციით, ტერორისტული ორგანიზაცია „ქურთთა მუშათა პარტიის“ (PKK) ერთ-ერთ ფრთას წარმოადგენს.

800-გვერდიანი საბრალდებო საქმის მიხედვით, ჟურნალისტები ტერორისტული ორგანიზაციის ე.წ. „პრესის კომიტეტში“ შედიოდნენ და „ქურთთა მუშათა პარტიის“ საქმიანობის პროპაგანდას ეწეოდნენ. მტკიცებულების სახითაც, ძირითადად, ზემოთ ხსენებული ჟურნალისტების მიერ პროქურთული მოძრაობების ლიდერებისგან აღებული ინტერვიუები და ის პუბლიკაციებია წარდგენილი, სადაც ქურთთა ბრძოლის მიზნები და მოთხოვნებია განხილული. მტკიცებულებების საკმაოდ აბსურდული ხასიათის მიუხედავად, თურქული მართლმსაჯულება მაქსიმალურად ცდილობს ბრალდებულების ძალიან მკაცრად დასჯას. პროკურორები დაკავებული ჟურნალისტებისთვის 7,5-დან 22,5 წლამდე თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას ითხოვენ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება ამ პროცესით მედიის დაშინებას და ძალის დემონსტრირებას ცდილობს.

ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სასამართლო პროცესის დაწყებას რამდენიმე დღით ადრე წინ უსწრებდა თურქეთის პრემიერის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის სატელევიზიო გამოსვლა, რომლის დროსაც მან მედიაკომპანიების მფლობელებსა და რედაქტორებს საკუთარი ჟურნალისტებისა და მესვეტეების მოთოკვისკენ მოუწოდა, ხოლო თავად ჟურნალისტებს დისციპლინის აუცილებლობაზე მიუთითა და ხელისუფლების პოლიტიკის კრიტიკისგან თავის შეკავება ურჩია, განსაკუთრებით ისეთ „მგრძნობიარე თემასთან მიმართებაში, როგორიც ქურთთა საკითხია“. თურქეთის პრემიერის აზრით, ტერორისტთა მთავარი მიზანი შიშის გავრცელებაა, რაშიც მათ ჟურნალისტები დიდწილად უწყობენ ხელს, ხოლო თუკი მედია ტერორიზმთან დაკავშირებული თემების ბლოკირებას მოახდენს, ტერორისტთა მიზანიც განუხორციელებელი დარჩება.

საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად ერდოღანმა ფრანგული, ბრიტანული და ამერიკული მედიასაშუალებების მაგალითი მოიყვანა, რომლებიც თითქოს ხელისუფლებასთან შეთანხმე-

10 სექტემბერს სტამბულში სასამართლო პროცესი დაიწყო, რომელმაც მსოფლიო ყურადღება მასში ბრალდებულის სტატუსით წარდგენილ ჟურნალისტთა უპრეცედენტო რაოდენობის გამო მიიპყრო. როგორც სასამართლო პროცესმა აჩვენა, თურქეთის მმართველი გუნდი ანგარიშს აღარ უწევს საერთაშორისო იმიჯის გაუარესების ალბათობას და მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედებს.

ბით, განზრახ არ ახმაურებენ ავღანეთში კოალიციური ჯარების წინააღმდეგ მოწყობილ თალიბთა თავდასხმებს და მოკავშირეთა დანაკარგებს. თურქეთის პრემიერის ამ განცხადებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია დასავლურ მედიაში და რამდენიმე ევროპელი მაღალჩინოსნის კრიტიკული შეფასებაც მოჰყვა. მოგვიანებით, დაშვებული შეცდომის გამოსწორება ერდოღანმა CNN-ისთვის 5 სექტემბერს მიცემულ ინტერვიუში სცადა. მან ვრცლად ისაუბრა თავისუფალი მედიის მნიშვნელობაზე და ის დემოკრატიის მთავარ საყრდენად მოიხსენია, თუმცა იმავე ინტერვიუშივე მოუწოდა თურქულ მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს იმ ჟურნალისტთა მკაცრად კონტროლისკენ, რომლებიც „ქურთებთან დაკავშირებულ მგრძნობიარე საკითხებზე მუშაობენ“.

სასამართლო პროცესის მიმართ უარყოფითი საზოგადოებრივი დამოკიდებულება განპირობებულია იმითაც, რომ ის თურქეთის ხელისუფლების „შერიგების პოლიტიკის“ ფონზე მიმდინარეობს, რაც კარგად აჩენს ერდოღანის მთავრობისთვის დამახასიათებელ ორმაგ სტანდარტებს. ერთი მხრივ, ანკარა თითქოსდა ყველანაირად ცდილობს ქურთი სეპარატისტების შემორიგებას და ამით კონფლიქტის განმუხტვას, მეორე მხრივ – რეპრესიული ქმედებებით კიდევ უფრო ამწვავებს შექმნილ ვითარებას. სწორედ ამ ორსახოვანი სტრატეგიის შედეგია ის, რომ თურქეთის ხელისუფლების მიერ „შერიგების პოლიტიკის“ ამოქმედების შემდეგ კონფლიქტმა არნახულად ძალადობრივი ხასიათი მიიღო და განახლებულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც 2011 წლის ივნისის შემდეგ 800-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 1999 წელს „ქურთთა მუშათა პარტიის“ ლიდერის აბდულა ოჯალანის დაპატიმრებისა და მისი უკომპრომისო ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ ეს რიცხვი ყველაზე მაღალია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ხელისუფლება დაუნდობელი მხოლოდ ქურთი ჟურნალისტების მიმართ არ არის. დღეისთვის თურქულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ასამდე თურქი ჟურნალისტი იმყოფება, რაც რიცხობრივად იმაზე მეტია, ვიდრე – ირანსა და ჩინეთში. უმეტესი მათგანი სამხედროების მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ დაგეგმილ გადატრიალებასთან კავშირში ყოფნის გამო იხდის ან ელოდება სასჯელს, გარკვეული ნაწილი კი – ქურთულ საინფორმაციო საagენტოებთან თანამშრომლობის გამო. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თურქეთში 2009 წლიდან ხელისუფლების მოწინააღმდეგე დაახლოებით 8000 პოლიტიკოსი, ადვოკატი, აკადემიკოსი, მწერალი თუ მასმედიის წარმომადგენელი იქნა გასამართლებული ტერორისტულ საქმიანობასა და შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით.

სწორედ ამის გამო ადანაშაულებენ თურქული ოპოზიცია და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები ერდოღანის მთავრობას ანტიტერორისტული კანონმდებლობის ბოროტად გამოყენებაში. ბოლო თვეების განმავლობაში ევროკავშირმაც არაერთხელ გამოთქვა შეშფოთება თურქეთში ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ შემუშავებული კანონმდებლობის ფარგლებში დაკავებულ ადამიანთა რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც ზემოხსენებულმა სასამართლო პროცესმა აჩვენა, თურქეთის მმართველი გუნდი ანგარიშს აღარ უწევს საერთაშორისო იმიჯის გაუარესების ალბათობას და მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედებს.

მოზაიღები მომავლის ბაიეშე

„ქუჩის ბავშვების“ პირველი თაობა სახელმწიფოსგან სრულიად უგულებელყოფილია.

თინა ყიფშიძე

ასოციაცია „მკურნალთან“ არსებული სოციალური საწარმო, სადაც ახალგაზრდები პრინტერების აღდგენა-შეკეთებით არიან დასაქმებულები.

წითელი აგურის ორსართულიან შენობაში 15-მდე მოზარდი ცხოვრობს და მუშაობს. პირველ სართულზე მათი საწარმოა, კარტრიჯებს ტენიან, მეორე სართულზე ცხოვრობენ და სძინავთ. ეს „ქუჩის ბავშვების“ პირველი ტალღაა. რადგან 18 წელი უკვე შეუსრულდათ, სახელმწიფოს მათზე პასუხისმგებლობა მოხსნილი აქვს. ასოციაცია „მკურნალის“ თავშესაფარი მათთვის ერთადერთი ადგილია, სადაც ცხოვრება შეუძლიათ.

ამ ბავშვების უმეტესობა 18 წლამდე, ბავშვებზე ზრუნვის გაუმართავი სახელმწიფო პროგრამების გამო, ძირითად დროს ქუჩაში ატარებდა. შესაბამისად, მათ უმეტესობას სკოლაში არ უვლია და წერა-კითხვა ცუდად იცის. არასრულფასოვანი სოციალიზაციის პროცესისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების არარსებობის გამო დასაქმება და დამოუკიდებლად არსებობა მათთვის გადაუჭრელი პრობლემაა.

ფსიქოლოგისა და ასოციაცია „მკურნალის“ ხელმძღვანელის ნინო ჭუბაბრიას თქმით, „ქუჩის ბავშვების“ პირველი ტალღა 200-მდე ბავშვს ითვლის, მათგან თავშესაფარმა მხოლოდ 15-ის მიღება შეძლო. სრულწლოვანების გამო ყველა სახელმწიფო პროგრამა მათთვის დახურულია.

„იმ ოჯახების შვილები, რომელთა მშობლებმაც 90-იანი წლების გაჭირვებას ვერ გაუძლეს და ხშირ შემთხვევაში სმა დაიწყეს, უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მშობლები, საარსებო საშუალებას რომ ვეღარ შოულობდნენ, შვილებს ამუშავებდნენ ან ამათხოვრებდნენ. ამ ფულს მშობლები ისევ სასმელში იყენებდნენ და ხშირად ბავშვებზე ძალადობდნენ, სცემდნენ. შესაბამისად, ბავშვები ქუჩაში გავიდნენ. ვისთანაც მილაპარაკია, უთქვამთ, რატომ მივიტანო ეს ფული სახლში როდესაც შემიძლია ჩემთვის გამოვიყენოო. ბუნებრივია, ბავშვებმა ერთმანეთი გაიცნეს, ერთმანეთს ასწავლეს წებოს სუნთქვა, ცხოვრობდნენ ქუჩაში, ნანგრევებში, „ბუტკებში“, – ასე აღწერს „ქუჩის ბავშვების“ პირველი თაობის გამოჩენას ნინო ჭუბაბრია.

„მათთვის სამსახურის მოძებნა ძალიან ძნელია. ერთ-ერთი ორგანიზაცია დაგვთანხმდა მათ აყვანაზე – სიმბოლურ ტესტირებას გავატარებთ და ავიყვანთო. ბავშვმა მიმატება-გამოკლება შეიძლება იცოდეს, მაგრამ ტესტირებაზე დაიბნეს, ეს ბავშვიც ჩაიჭრა“, – იხსნებს ერთ-ერთ შემთხვევას ჭუბაბრია.

ქეთი კობალაძე, რომელიც 2005 წლიდან 2010 წლამდე გლდანის მოზარდთა და ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის დირექტორი იყო ამბობს, რომ მცდელობის მიუხედავად, მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების შესწავლა გაუჭირდათ. 12 წელს ზემოთ ქუჩაში მცხოვრები ბავშვის სრული ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია უკიდურესად გართულებულია.

„ესენი დაკარგული ბავშვები არიან, ქუჩიდან მათი მოშორება თავის დროზე ვერ მოხდა. მათ ელემენტარულ ცოდნას ადაპტაციის ცენტრში მოსული მასწავლებლები აძლევდნენ. სწავლება ელემენტარულ წერა-კითხვას ვერ სცდებოდა. ახლა სრულწლოვანების გამო სახელმწიფო მათზე პასუხისმგებლობას არ იღებს“, – ამბობს ქეთი კობალაძე.

ნინო ჭუბაბრიას თქმით, სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ასაკობრივი ზღვრის 21 წლამდე გაზრდას გეგმავს. ფსიქოლოგის თქმით, ეს დროულად უნდა მოხერხდეს, თორემ მალე ეს ბავშვები 21 წელს ზემოთაც იქნებიან. ბავშვთა სახელმწიფო პროგრამებში ასაკობრივი ზღვრის გაზრდის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება ჯანდაცვის სამინისტროში ვცადეთ, თუმცა სტატიაზე მუშაობის პერიოდში ჯანდაცვის სამინისტროში ამ საკითხზე უფლებამოსილი პირისგან კომენტარის მიღება ვერ მოვახერხეთ.

როგორც იკვეთება, 18 წლის ზემოთ მყოფი მოზარდების დასაქმებასა და მათ ყოფაზე პასუხისმგებლობას სახელმწიფო სრულად იხსნის. თუმცა, პრობლემა მხოლოდ სრულწლოვანი ბავშვების დასაქმება არ არის და ამ სფეროში მომუშავე ექსპერტების თქმით, სახელმწიფო მზრუნველობას 18 წლამდე ასაკის ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვებიც მოკლებულები არიან.

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამაში მიუსაფარი ბავშვებისათვის თავშესაფრით უზრუნველყოფაა გათვალისწინებული. პროგრამის ამოცანა 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვებისათვის დროებითი, 24-საათიანი თავშესაფრის ან დღის მომსა-

ფოტო: ლევან ხუციშვილი

ხურების მიწოდებაა. ამ პროგრამით სარგებლობა 18 წლამდე ასაკის არაუმეტეს 25 მიუსაფარ ბავშვს შეუძლია (მათ შორის, არაიდენტიფიცირებად ბავშვებსაც). ამასთან, თავშესაფარში დამატებით 2 ადგილი განკუთვნილია გადაუდებელი შემთხვევებისათვის, რომლებიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება. 2008 წელს ორგანიზაცია „Save the Children"-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქუჩაში 1600-მდე ბავშვი ცხოვრობდა, ამ ფონზე თავშესაფრის 25 ადგილი ნამდვილად არასაკმარისია.

ქუჩის ბავშვების პირველი პრობლემა მათი დოკუმენტაციის არარსებობით იწყება. ამჟამინდელი სისტემის მიხედვით, ისინი დოკუმენტების გარეშე სახელმწიფო ინსტიტუციაში და მათთვის განკუთვნილ სხვადასხვა პროგრამაში ვერ მოხვდებიან. ერთადერთი ინსტიტუცია, რომელშიც დოკუმენტების გარეშეც იღებს მათ, თბილისის კრიზისული ცენტრია, რომელსაც ერთდროულად 40-მდე ბავშვის მიღება შეუძლია. იქ ქუჩიდან ბავშვები პატრულს მიჰყავს. ცენტრში მაქსიმუმ ერთი წლით რჩებიან და ამ პერიოდის

„ესენი დაკარგული ბავშვები არიან, ქუჩიდან მათი მოშორება თავის დროზე ვერ მოხდა. მათ ელემენტარულ ცოდნას ადაპტაციის ცენტრში მოსული მასწავლებლები აძლევდნენ. სწავლება ელემენტარულ წერა-კითხვას ვერ სცდებოდა. ახლა სრულწლოვანების გამო სახელმწიფო მათზე პასუხისმგებლობას არ იღებს".

განმავლობაში მათთან სახელმწიფოს სოციალური მუშაკები მუშაობენ, უდგენენ საბუთებს და შემდეგ განსაზღვრავენ რომელ ინსტიტუციაში (მინდობითი აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი) უნდა წავიდეს თითოეული მათგანი.

ინსტიტუციაში მოხვედრილი თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალური ჩარევის გეგმა დგება. სოციალური მუშაკი, რომელსაც ბავშვი ინსტიტუციაში მიყავს, მის საჭიროებებს სწავლობს და აღმზრდელს სამოქმედო გეგმას აძლევს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „Every Child"-ის დირექტორის, ანდრო დადიანის თქმით, ქუჩის ბავშვები უკეთეს შემთხვევაში თბილისის კრიზის ცენტრში, შემდეგ კი სამტრედიის სპეცსკოლაში ხვდებიან.

„სამტრედიაში რეჟიმის კუთხით უარყოფითი მხარეების მიუხედავად, ძალიან წინ მიდიოდნენ აკადემიურ მოსწრებაში, წრეებზეც დაყავდათ და იძენდნენ სპეციალობას. სამტრედიიდან კარგები გამოდიოდნენ, მაგრამ უმეტესწილად ისევ იქ ბრუნდებოდნენ, ქუჩაში", – ამბობს ის.

„14-16 წლიდან უნდა ისაზღვრებოდეს საით მიდის 18 წლის შემდეგ. თუ ცნობილია, რომ სხვა შესაძლებლობა არ აქვს, უნდა ვამზადებდეთ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ითვისებდეს რაიმე სპეციალობას, იცოდეს საკუთარი ბიუჯეტის განკარგვა. ესაა ის, რასაც სისტემა ბავშვს უნდა აძლევდეს. ზოგ შემთხვევაში ეს ძალიან კარგად ხდება, ზოგ შემთხვევაში შედეგი საერთოდ არ დგება", – ამბობს დადიანი.

შედეგის ვარირება სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. სოციალური მუშაკისა და აღმზრდელის კვალიფიკაცია, პროვაიდერის რესურსების რაოდენობა, თავად ბავშვის სურვილი – ეს ის ფაქტორებია, რომელზეც ბავშვის სოციალიზაციის წარმატებით გავლაა დამოკიდებული.

ანდრო დადიანის აზრით, ძალიან ბევრი ბავშვი, რომელიც ინსტიტუციებში იმყოფება, უმეტესწილად, მნიშვნელოვან და საჭირო უნარებს ვერ იძენს და ბედის ანაბარა რჩება, ეს იმ ფონზე, როდესაც ქუჩის ბავშვების ინსტიტუციაში მოხვედრაც არაა სისტემატიზებული და დიდწილად შემთხვევაზეა დამოკიდებული.

„ძალიან მძიმე პრობლემაა. უამრავ რესურსს მოითხოვს და მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან დაბალი აქვს. 18 წელს ზემოთ ბავშვებიც, ისინიც, ვინც ერთ ორ წელიწადში გახდებიან 18 წლისა, დაკარგული თაობაა, მათთან მარგი ქმედების კოეფიციენტი უმდაბლესია", – ამბობს ის.

ფოტორეპორტაჟი

DOUBLE ALIENS

რეპორტაჟი ჯავახეთიდან

დარო სულაკაური



სალამო ახალქალაქში. მოზარდები დამალობანას თამაშობენ.

ახალქალაქი. 10 წლის ხაჩიკი სტუმრად მეუფე ნიკოლოზთან.

ხოსპიო. სოფლის ქართველი მოსახლეობა აღნიშნავს აღდგომის დღესასწაულს. ლიტურგიას სომხებიც ესწრებიან.

გორლოვკა. სომეხი და დუხაბორი ბავშვები ზეიმზე ალექსანდრე ტოლსტოის სახელობის რუსულ სკოლაში.

ბარალეთი. 18 წლის მელანო უნივერსიტეტის მისაღები გამოცდებისთვის ემზადება. ბარალეთში ხშირია ნაადრევი ქორწინება. უმაღლესი განათლება გოგონებისთვის ხშირად ფუფუნებაა.

ბარალეთი. სომხური სკოლა. შესვენება.

სამცხე-ჯავახეთში, 2002 წლის მონაცემებით, ადგილობრივი მოსახლეობის 54%-ს ეთნიკური სომხები შეადგენდა, ხოლო ქართველები – 43%-ს. ვითარებას ისიც ართულებს, რომ რეგიონი სანახევროდ ესაზღვრება თურქეთსა და სომხეთს – ქვეყნებს, რომლებსაც დღემდე გაწყვეტილი აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა.

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთი თბილისიდან 200 კილომეტრითაა დაშორებული, მგზავრობას 9 საათი სჭირდებოდა. ალბათ უგზოობამ და მთელი რეგიონის მოწყვეტამ გამოიწვია ის, რომ ჯავახეთში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ეთნიკური ქართველები ნელ-ნელა ტოვებდნენ რეგიონს და, 2010 წლის მონაცემებით, ისინი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უკვე მხოლოდ 23%-ს შეადგენდნენ.

სომხები და ქართველები სხვადასხვა სოფელში ცხოვრობენ, სხვადასხვა სკოლაში დადიან და მხოლოდ მშობლიურ ენებზე სწავლობენ. ამ რეგიონში სულ რამდენიმე სოფელია, რომლებიც ქართველებითა და სომხებითაა დასახლებული, თუმცა სრული ინტეგრაციისთვის ეს არ კმარა.

დღეს მდგომარეობა გაუმჯობესებულია. მოგვარებულია ყველაზე დიდი პრობლემა – რეგიონის შიდა და ქვეყნის სხვა მხარეებთან, მათ შორის, დედაქალაქთან დამაკავშირებელი გზები აღდგენილია. ამ პროექტის ბიუჯეტი 209 მილიონი დოლარი იყო. ახლად გაყვანილი საგზაო ინფრასტრუქტურა რეგიონში ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხსაც მნიშვნელოვნად ზრდის.

სულ უფრო მეტი ადგილობრივი სომეხია დაინტერესებული დედაქალაქში ჩავიდეს და მიიღოს კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება და განათლება. სამცხე-ჯავახეთში ახლა გაცილებით მეტი ადამიანი აცნობიერებს, რომ ქართული ენის შესწავლა სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

ბარალეთი. სომხური სკოლა. ინგლისურის მასწავლებელი მარინა.
ბარალეთში სულ ორი სკოლაა – სომხური და ქართული.

ფოკა. დროებით უმუშევარი 38 წლის პაშა სომხურ სალოცავში.

ფოკა. სასაფლაო.

ფოკა. ღია ტრაპეზი. ღამის ლოცვა.

ისევ გავასოსხლეთ "მკვდარი კურდღელი"

პოლიტიკური პროპაგანდით შთაგონებულმა პერფორმანსებმა კაბინეტებიდან ქუჩებში გადაინაცვლა.

დავით ბუხრიკიძე
ჟურნალისტი

როგოც ჩანს, მხატვარ იოზეფ ბოისის დაწყებული საქმე მაინც უკვდავია. გასული საუკუნის 60-იანი წლებში, დიუსელდორფის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში წარმოდგენილი, შთამბეჭდავი და უფრო მეტად სასტიკი პერფორმანსი, სახელწოდებით „მკვდარი კურდღელი“, ამ ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოში უცნაური პოლიტიკური პერფორმანსების სახით ტრანსფორმირდება.

პოლიტიკური პარტიების მიერ დადგმული პოლიტიკური სანახაობანი დღისით თუ მზისით, პარკში თუ ისტორიული ნანგრევების ფონზე შინაარსით აგრესიულია და ფორმით – მოდერნისტული. ამავე დროს, არჩევნების წინ, „ლაივში“ წარმოდგენილი ნაციონალური და მღელვარე წყევლა-კრულვა გაცილებად ძვირი ჯდება, ვიდრე თუნდაც ქალაქის თავდადებული მერის ხელით გამომცხვარი ათობით პური...

გაქონილ ფიცრებზე დაჭედებული მკვდარი კურდღელი, რომელსაც იოზეფ ბოისის ჩანაფიქრით, სისასტიკის პროვოცირება უნდა გამოეწვია მაყურებელში, ჩვენმა რეალობამ აგრესიის გამოხატულების სასაცილო, პაროდიულ ფორმად აქცია. და როგორი საშინელი „მკვდარიც“ არ უნდა იყოს ბოისის გაქონილ-გამოშიგნული კურდღწლი, იმაზე მეტ შოკს, ვიდრე მიჩუმათებული მკვლელობები, სახალხო ცემა-ტყეპა, დაშინება, შანტაჟი, სიბნელე, სასულიერო პირთა აგრესიაა, მაინც ვერ გამოიწვევს. ის, რაც ხელოვნებამ სოციალურ-პოლიტიკური აქტივობის სახელით შვა, პოლიტიკოსებმა თვითდამკვიდრებისა და გადარჩენის საშუალებებით მოინელეს.

არჩევნების წინ ქუჩაში გადმოღვრილი, მღელვარე ქართული პოლიტ-პერფორმანსები კარგ ხასიათზე ნამდვილად ვერ დაგაყენებთ. უპირველესად, თვალშისაცემია პოლიტიკოსთა უკიდურესი აგრესია და ლამის ექსტრემიზმთან მოსაზღვრე ტექსტები, რომლებიც თითქოს არჩევნებისათვის კი არ გამზადებთ, არამედ საომარი მოქმედებისთვის. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ ლექსიკა („კლასობრივი მტრები, მოღალატეები, ნაძირლები, ჯოჯოები, მუმიები, ჯოჯოხეთის მოციქულები“), არამედ თავად „პერფორმანსის“ უკიდურესობამდე მიყვანილი ფორმა და ერთგვარი შამანურობით გამორჩეული თუ აღბეჭდილი ეგზალტაცია; ვითომ თავდადებული და ლამის პილიგრიმებივით მომლოცავი მხარდამჭერების მხატვრულ ფონად გამოყენება და რაც მთავარია, ოპონენტების, როგორც ქვეყნის მტრების, წარმოჩენის დაუოკებელი სურვილი.

რამდენიმე თვით ადრე მოჩვენებითი სიმშვიდე მაინც იდგა. მერე ერთი უცნაური, ძალიან მდიდარი კაცი, რომელიც ბევრ ფულს ბევრნაირი საქმეებისთვის ხარჯავდა და წლების განმავლობაში სულ გატრუნული იყო, ერთბაშად პოლიტიკაში მოსვლაზე და საკუთარ როლზე ალაპარაკდა; თანაც ისე უცნაურად, რომ ხშირად საგანგებოდ მიყურადებული ექსპერტებიც კი იბნეოდნენ; მოგვიანებით, ქრისტიან-დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულმა მედია-მეგობრებმა ბნელეთის გარღვევა კონსერვატორული მეთოდებით სცადეს: ჯვრიანი დროშების ფრიალით, ჩოხოსანთა და მეჩირაღდნეთა საზეიმო სვლით... ამასობაში პარლამენტში პარადოქსულად მყოფი თუ არმყოფი ლეიბორისტები არარსებული მუშათა კლასის სახელით აბობოქრდნენ – ერთხელ მაინც გვანდეთ ქვეყანაო; ახალმა მემერჯენეებმა კეთილ-მოწყობილ ქალაქურ ბინებს დროებით სოფლის ტალახი არჩიეს და ჩაჟამებულ ლოგოზე მეწამულს – სალათისფერი. არც ბატონი კუკავა მჯდარა ხელფეხდაკრეფილი. ბატონი კაკო ასათიანი დაიმეგობრა, თან „ბორჯომის“ რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას დაგვპირდა და თან – უარი ნატოსო...

ამასობაში კი მმართველი პარტია დიდი ხანია საგანგები რეჟიმში, ლამის „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ სინქრონულად მუშაობდა! და მაინც, ყველაფერი უსახურ პრელუდიას ჰგავდა სექტემბრის ერთ მშვენიერ, მზიან დღეს, 11 ქალაქში ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოდგენილ პერფორმანსამდე, რომელშიც ლამის მთელი სახელმწიფო მანქანა და რესურსები იყო გამოყენებული.

გახსოვთ, „მეფე ლირში“ კენტი წინასწარმეტყველივით რომ ამბობს, ქარიშხალი გვიახლოვდებაო... რაღაც ამდაგვარს იგრძნობთ, როცა ყოველდღე ტელეეთერიდან წამოსულ „საარჩევნო ქარიშხალს“ და პროფესიულ ლანძღვა-გინებას დაუგდებთ ყურს. პარტიის ლიდერთა თუ ქვემდებარეთა აგრესიულ ლექსიკაში სულ უფრო მეტად ამოიკითხავთ აპოკალიფსურ ნოტებს, ხოლო პოლიტიკოსები უფრო ხშირად მოგვაგონებენ პაროდიას ვაგნერის ოპერების გმირებზე. მაგრამ საკითხავია, ეპიკური ჟანრისა და მრავალგზის მოთელილ ქართულ საარჩევნო ოპერას მხოლოდ პაროდიული პერსონაჟები შემორჩნენ? ან იქნებ ფინალი იქნება დრამატული?..

როცა გასულ ზამთარში, გუდიაშვილის მოედანზე, საქველმოქმედო თუ საპროტესტო აქციაზე მეძუძურმა ნატალია ნებიერიძემ საკუთარი რძე გამოწველა, ჭიქებში ჩამოასხა და ერთ ლარად გაყიდვა დაიწყო, ეს პოლიტ-პერფორმანსი იყო;

ფოტო: ეროვნული ზარბაზანი

როცა უკრაინული ორგანიზაცია Femen-ის წევრებმა საქართველოში ფოტოგრაფების დაპატიმრება კიევში, საქართველოს საელჩოსთან მკერდის გაშიშვლებით გააპროტესტეს, ესეც ნამდვილად ჰგვდა პერფორმანსს... და კიდევ, როცა ამას წინათ, რუსეთში პოლიტიკური პროტესტი „ფუსი რაიოთის" წევრებმა ყველაზე საკრალურ და პატრიარქალურ ადგილას – ტაძრის საკურთხეველში ექსტრავაგანტურად გამოხატეს, ესეც ნამდვილი და ყველაზე ხმაურიანი პოლიტიკური პერფორმანსი აღმოჩნდა...

თუმცა, რატომ შეიძლება ჩაითვალოს პერფორმანსად, ვთქვათ, მოულოდნელად გავეშებული გიგი უგულავას გამოსვლა ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე, ძნელი ასახსნელია. არც ბატონ მერაბიშვილის მიერ სტიგმატიზებული და „კლასობრივი მტრების" განადგურებით შთაგონებული ტექსტია მშვიდობის მაუწყებელი. აღარაფერს ვამბობთ პრეზიდენტზე, რომლის ისტერიულ გამოსვლებში სულ უფრო ძნელია

გახსოვთ, „მეფე ლირში" კენტი წინასწარმეტყველივით რომ ამბობს, ქარიშხალი გვიახლოვდებაო... რაღაც ამდაგვარს იგრძნობთ, როცა ყოველდღე ტელეეთერიდან წამოსულ „საარჩევნო ქარიშხალს" და პროფესიულ ლანძღვა-გინებას დაუგდებთ ყურს.

რაციონალური მარცვლების აღმოჩენა. სულ უფრო აშკარაა, რომ ქვების სროლით წახალისებულ პერფორმანსს რთული ფინალი ექნება.

რასაკვირველია, იტყვიან, რომ „ნაციონალები" კრეატივის ვირტუოზები არიან;

რომ მათ პოლიტ-პერფორმანსს კარგი რეჟისორი ჰყავს;

რომ „მიშას სუფლიორის გარეშეც შეუძლია ბევრი და აზარტული ლაპარაკი" (სხვა საქმეა, გზადაგზა რამდენი სისულელე წამოსცდება);

რომ მას სხვებივით ბრონირებული შუშა არ იცავს და ხალხში დგას;

რომ მისი გაცვეთილი ქარიზმაც კი სხვების ახალს სჯობია...

მაგრამ ამით არსებითად არაფერი იცვლება, რადგან ხელისუფლებას სახელმწიფო და პარტია დღემდე ერთი და იგივე ჰგონია და ეს ნიშნავს, რომ შოუ სახელწოდებით „როგორ გავაცოცხლეთ მკვდარი კურდღელი" ისევ გაგრძელდება! ოღონდ უკვე „პოლიტიკურად გაურკვეველთა, ნეიტრალურთა, მოყოყმანეთა გულის მოსაგებად თუ გადასაბირებლად" – ფილოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი, მაგალითად, დარწმუნებულია, რომ მმართველი პარტიის აგრესიულ პერფორმანსებს სწორედ ეს დანიშნულება აქვს.

"ჰელიბია, ჯელტუხა, სპოხტი და ახალბაზხიდობა"

პაატა ქურდაძე
მწერალი

არჩევნებში მონაწილე ოთხი პარტიისა და ერთი კოალიციის პროგრამებს თუ გადახედავთ, კულტურის მიმართ საქართველოს მომავლის მშენებელთა დამოკიდებულებას ბიუჯეტის პროექტებში პროცენტული მაჩვენებლით განსაზღვრულ პრიორიტეტების სიაში თუ წააწყდებით: კულტურისათვის ყველაზე მეტი – 4% – ლეიბორისტულ პარტიასა და ქრისტიან-დემოკრატებს ემეტებათ, ყველაზე ნაკლები – 2% – ნაციონალურ მოძრაობას, „ქართულ ოცნებას“ – 3%, ხოლო ახალი მემარჯვენეების სავარაუდო ბიუჯეტში კულტურა საერთოდ არ შედის.

უნდა ითქვას, რომ კულტურის შესახებ ვერც სხვა პარტიების საიტებზე მოიძიებთ რაიმე ცნობას. არავინ იცის, რას ასახავს ეს 2, 3 და 4 პროცენტული მაჩვენებლები, ან რა კავშირშია ის სპორტთან და რელიგიასთან, როგორც ეს ბიუჯეტის პროექტებშია ასახული.

გამონაკლისი „ქართული ოცნებაა“, რომელიც მცირე დოზით, მაგრამ მაინც გვაცნობს კულტურის პოლიტიკის ხედვას, სადაც ახალი და განსაკუთრებული ბევრი არაფერია, გარდა ასე თუ ისე იმედისმომცემი პირველივე პუნქტისა: „საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი საქმიანობა კულტურის სფეროში და შემოქმედებით პროცესში ხელისუფლების ჩაურევლობის უზრუნველყოფა. უნდა გამოირიცხოს ხელისუფალთა მხრიდან ერთპიროვნული გადაწყვეტილებები“.

რა თქმა უნდა, არავინ იცის, ეს პოლიტიკური ძალა გამარჯვების შემთხვევაში პირობას რამდენად შეასრულებს. როგორც ცნობილია, პოლიტიკოსებს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მწვავე ამნეზია ეწყებათ, რაც პირველ რიგში, მათი პოლიტიკური მახსოვრობის სწორედ იმ უჯრედებს ანადგურებს, რომელიც კულტურის განვითარების შესახებ ინფორმაციას ინახავს. ამაში ახალი არაფერია: კულტურა თითქმის ყველგან ყველაზე „დაბალი ღობეა“. მაგრამ როდესაც კულტურის შესახებ თავად ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები ივიწყებენ, ეს გაცილებით უარესია, ვიდრე უბრალოდ პოლიტიკური ამნეზია. და საქართველოში, სამწუხაროდ, სწორედ ასე ხდება: ამ სფეროში მოღვაწე ადამიანთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩაბმული და დასაქმებული წინასაარჩევნო კამპანიაში, როგორც კანდიდატები, პროპაგანდისტები, ანდა – უბრალოდ მხარდამჭერები. ისინი საუბრობენ ყველაფერზე: გეოპოლიტიკაზე, თავდაცვაზე, სოფლის მეურნეობაზე, ენერგოსისტემებზე, მაღალ და დაბალ ტექნოლოგიებზე, სოციალურ უსამართლობაზე, უპილოტო თვითმფრინავებზეც კი... თავად კი, დეპრესირებული, უთვითმფრინავო პილოტებივით თითქოს ხან ველოსიპედით ცდილობენ გაფრენას, ხან ნავით, ხან ოცნების მფრინავი ხალიჩით... ამასთან, თავადვე წუხან, რომ პოლიტიზირებული ატმოსფერო მათ ცხოვრებას სტრესულსა და აუტანელს ხდის, რაშიც აბსოლუტურად მართლები არიან: საქართველოში ცხოვრება მართლაც აუტანლად რთული და სტრესულია, ოღონდ, ეს მისი პოლიტიზირების კი არა, შესაძლოა, ასე ვთქვათ, „არასწორად“ პოლიტიზირების ბრალია: იმ ეპოქაში და პოლიტიკურ სისტემაში, სადაც ყველა საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებელ სრულწლოვან ადამიანს პოლიტიკური არჩევანის უფლება აქვს, და სადაც მის ერთ ხმას უნიკალური ფასი ადევს, პოლიტიკა ყველაფერშია, და ამას ვერსად გავექცევით.

მასობრივად აპოლიტიკური ადამიანები მხოლოდ ისეთ ტოტალიტარულ რეჟიმებს ახასიათებს, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო. დღევანდელი საქართველოს პრობლემა პოლიტიკური კომპეტენციების აღრევაშია და არა მის ზედოზირებაში. მაგალითად, საქართველოში ქართველ ექიმს შეუძლია ზუსტად ერთ დღეში კვალიფიკაცია შეიცვალოს და ასევე ახლახან კვალიფიკაციაშეცვლილ პედაგოგს ტელედებატში გაშმაგებული ეკამათოს მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების თავისებურებებსა და მათი გადაჭრის გზებზე, თან, ამავე დროს, დიდი ალბათობით წარმოდგენა არ ჰქონდეს სოფლის მეურნეობის შესახებ, ისევე როგორც, მის ოპონენტს.

რა თქმა უნდა, გაცილებით სასარგებლო და ნაკლებად ისტერიული იქნებოდა მათ თავიანთი პროფესიებისა და კომპეტენციების შესაბამის პრობლემებზე ეკამათათ ასევე ახალბედა, მაგრამ კომპეტენტურ, თუნდაც ახლახან პოლიტიკაში შემოსულ ადამიანებთან. სამივე დარგი: ჯანდაცვა, განათლების სისტემა და სოფლის მეურნეობა, მოგეხსენებათ, ნებისმიერ ქვეყანაში უაღრესად პოლიტიზირებული სფეროებია, მით უმეტეს, ჩვენთან, და მათ შესახებ პოლიტიკური ათვლის წერტილიდან საუბარი თავისუფლად შეიძლება ისე, რომ ჩვენი სასიცოცხლო სივრცე ესე აუტანლად არ დაიმუხტოს.

კულტურის პოლიტიკა ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა, რო-

მელზეც არათუ არაპროფესიონალები, საერთოდ არავინ საუბრობს, მით უმეტეს – არ კამათობს... ამასთან, ვერაფრით გაუგიათ, რატომ არ არის საქართველოში სამოქალაქო, პოლიტიკური თუ ათასგვარი სხვა კულტურა... არც ამ კითხვებზე ფიქრის დრო აქვს ვინმეს, ამიტომ ყოველთვის, როგორც კი ეს კითხვები თავს წამოყოფენ, სასწრაფოდ საბჭოთა მძიმე წარსულში შეხვეტენ ხოლმე, ისე, როგორც დიდი, ძველი საწოლის ქვეშ. იქ ბოლო ოც წელიწადში იმდენი პასუხგაუცემელი კითხვა შევხვეტეთ, რომ უკვე აღარ ეტევა და სუნი ყოველდღიურად გვახრჩობს, სწორედ ეს სუნია, რასაც ჩვენ პოლიტიკით დამუხტულ ატმოსფეროს ვუწოდებთ.

შესაძლოა, რომელიმე ევროპული ქვეყნისთვის კულტურა მართლაც

კულტურის პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა, რომელზეც არათუ არაპროფესიონალები, საერთოდ არავინ საუბრობს, მით უმეტეს – არ კამათობს... ამასთან, ვერაფრით გაუგიათ, რატომ არ არის საქართველოში სამოქალაქო, პოლიტიკური თუ ათასგვარი სხვა კულტურა...

არ წარმოადგენდეს მთავარ პრიორიტეტს, იქ კულტურული პროცესები დიდი ხანია თავისით, დამოუკიდებლად მიმდინარეობს და მას უზარმაზარი როლი აქვს ნათამაშები ამ ქვეყნების ისეთებად ჩამოყალიბებაში, როგორებიც არიან. ამაში უზარმაზარი ფული, ენერგია და ნიჭია დახარჯული და მათი დიდი ნაწილი, ერთი შეხედვით ფუჭადაც, მაგრამ თუკი ათასი საშუალო და კარგი მევიოლინე არ გყავს, ძნელი სავარაუდოა, რომ შენს ქვეყანაში იაშა ხეიფეცი დაიბადოს. ათასი მევიოლინე კი ვერ გეყოლება, თუ შენი ქვეყნის ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთა შორის შესაძლოა მართლაა რამდენიმე პატარა იაშა, ხელოვნურსაფარიან, რკინის ბადით შემოღობილ პატარა მოედანზე, ქალაქის მერის, ან რაიონის გამგებლის მიერ ნაჩუქარ გაქექილ ბურთს დასდევს დღე და ღამე და ისევე, როგორც მისი თანატოლების აბსოლუტური უმრავლესობა, ფეხბურთელობაზე ოცნებობს... გოგონები კი – კარგად გათხოვებაზე.

დღევანდელი ქართული კულტურის სამინისტრო, ფაქტობრივად, პროპაგანდის დეპარტამენტადაა ქცეული, მისი მიზანი უკვე არსებული კულტურის უცხოეთში კარგად წარდგინების საშუალებით საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის ხელშეწყობა და ხელისუფლების განმტკიცებაა და არა – შიდა კულტურული კატასტროფული მდგომარეობის გამოსწორება

ხეიფეცად არშემდგარი პატარა იაშა კი უკვე გაიზარდა, დავაჟკაცდა, ფეხბურთელი მისგან, ცხადია, არ გამოვიდა, საერთოდ არაფერი არ გამოვიდა და არც შეიძლებოდა გამოსულიყო. იქ, სადაც იაშა გაიზარდა, საერთოდ არაფერი გამოდის. ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, შენს სოფელში წინასაარჩევნო შეკრებაზე მოსულ ვიღაც ტიპებს პირუტყვივით დაეტაკო და ქვაც კი ჩაარტყა თავში; იქნებ მოკლა კიდეც, დაგიჭერენ და სამაგალითოდ, გორილასავით გალიაში გამოგამწყვდევენ. არავის, არავის არ ეცოდინება, მათ შორის, შენც, რომ უბრალოდ იაშა კი არა, სწორედ ის იაშა ხარ! სწორედ ის! ოღონდ, ძალიან ცუდ ვარსკვლავზე დაიბადე!

შეიძლება ინსტინქტით იგრძნო კიდეც, რაღაცაში რომ არ გაგიმართლა, მაგრამ მაშინვე შეეგუები გალიას, და არა მარტო სხვები, შენ თავად დაივიწყებ საკუთარ უბადრუკ არსებობას.

WWW.LIBERALI.GE

პანაისის მწარე დღეები

ქეთი ქანთარია
მთარგმნელი



ნეტავ, ჩემ გარდა, ამ ბოლო დღეებში ვინმეს კიდევ თუ ახსენდება ფილმი „კონდორის სამი დღე“? კირკიტა, აბეზარი ჟურნალისტები, რომელთათვისაც ხელშეუხებელი ავტორიტეტები არ არსებობენ, რომლებსაც ტყვიებით უმასპინძლდებიან, რომლებიც ერთი შეხედვით დაუკავშირებელ ფაქტებს აკავშირებენ და სიმართლეს (სამჯერ, აზდაკისეული წამღერებით) ასე აცოცხლებენ.

როცა ისეთ ამბავზე წერ, როგორიც ლოპოტის ხეობაში ახალმომხდარი სპეცოპერაციაა, ყოველ დღეს აქვს მნიშვნელობა, თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი გარემოებები იკვეთება. „ლიბერალის“ პირველი აღდგენილი ნომერი ალბათ უკვე ეწყობოდა, როცა ცხადი გახდა, რომ ლაფანყურის მიდამოებში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ნაწილობრივ განადგურებული ჯგუფი ჩეჩნებისა და ქისტებისგან შედგებოდა. საქმეს დღითიდღე ეცლებოდა სიტყვები, რომლებიც პრობლემის ვექტორს განსაზღვრავდა: „დაღესტნელები“, „დაღესტნიდან გადმოსულები“, „დივერსანტები“ და სხვა.

ამ ამბავზე ძალიან ბევრი დაიწერა, ეს გარკვეულწილად წყალზე წერას ჰგავდა, რადგან მიუკერძოებელი გამოძიების გარეშე სიმართლე, თუ რა მოხდა სინამდვილეში ლოპოტის ხეობაში, არ გაირკვევა.

წინა წერილში ვწერდით, რომ საღი, მოაზროვნე და პატიოსანი ადამიანების გარემოშიც კი იჩინა თავი ტენდენციამ, დაეჭვებისაგან, ასე ვთქვათ, თავი მოეთოკათ და ვარაუდები არ გამოთქმულიყო: დაეჭვებულ ადამიანს შემდგომ, როდესმე, მისივე ეჭვებმა შეიძლება ჩვენი საზოგადოების ერთ, დეკლარირებულად რაციონალურ ნაწილში რეპუტაცია გაუფუჭოს და პროფესიონალის იმიჯი შეულახოს.

რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის ერთ-ერთმა საუკეთესო, ანგარიშგასაწევმა და მოაზროვნე ავტორმა სალომე ასათიანმა გამოთქმული შეფასებების და ეჭვების ექსცესურობას ბლოგი „საფუძვლიანი პარანოია“ უძღვნა. სტატიის შესავალი ნაწილი უცნაურ წინააღმდეგობაში მოდის ქვემოთ იმ ფაქტების აღიარებასთან, რომ გავლენიანი ინსტიტუციები: სასამართლო, პროკურატურა, მედია ხელისუფლებასთან შეხმატკბილებით ფუნქციონირებს, რომ არსებობს გირგვლიანის, ქიმერიძის საქმესთან დაკავშირებული გამოცდილება. ახლა ამ ხაზს მე გავყვები – არსებობს უზარმაზარი მშვიდობიანი მანიფესტაციების სულ ორი სისხლიანი დარბევის, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის, შინაგან საქმეთა სამინისტროს უბინძურესი მეთოდების გამოცდილება, განმუხურის, ხურჩის, დაბოლოს, თუნდაც ახალაიას პერსონასთან დაკავშირებული გამოცდილება.

ამიტომაც ბინდით თუ ბუნდოვანებით მოცული ლაფანყურის ისტორია კვლავაც მისცემს ჩვენს მოქალაქეებს „საფუძვლიანი პარანოიის“ სამართლიან მიზეზს. მეტიც, „კონდორის“ პრინციპს რომ მივყვეთ, კირკიტა ჟურნალისტების ინტერესს ის თვითმკვლელობაც იმსახურებდა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა, თელავში მცხოვრებმა ლაფანყურელმა, 32 წლის სანდრო როსულიშვილმა ჩაიდინა, თუნდაც ამ ამბის კავშირი ჩატარებულ სპეცოპერაციასთან სათუოდ ჩანდეს.

დაეჭვებისადმი დაეჭვების ახალი პრინციპით, ალბათ, ანგარიშგასაწევად აღარ უნდა ჩავთვალოთ ეჭვი, შესაძლებელია თუ არა ტყის მდუმარებაში საქეიფოდ გასულ ხუთ ქართველს (ჩურჩულით მოქეიფე ქართველები ვინმეს გაგიგიათ?) გზად შემთხვევით გადაეყარო? ანგარიშგასაწევად არ უნდა ჩაითვალოს ინფორმაცია, რომელსაც ქისტ და ჩეჩენ ნაცნობებთან პირადი ურთიერთობით ვიღებთ, ისევე როგორც, პროფესიონალი ჟურნალისტების მიერ საიდუმლოდ დატოვებული წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია. ამიტომ, ალბათ, არც ანდრეი ბაბიცკის მიერ სხვადასხვა დროს „ეხო კავკაზაზე“ გაცხადებული ფაქტებია სარწმუნო, სადაც, ის ევროპულ წყაროებზე დაყრდნობით, ხან ამტკიცებს, რომ შეიარაღებულ დაჯგუფებას ჰქონდა მჭიდრო კავშირი ქართულ სპეცსამსახურებთან. ხანაც ამბობს, რომ ამას სხვა წყაროები უარყოფენ. უარყოფენ იმის გამო, რომ ქართული სპეცსამსახურები „იმარატ კავკაზის“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ, რათა მათ ეს ინფორმაცია არ დაადასტურონ.

როგორც ჩანს, „იმარატს“ ქართული მხარის „მოჭრის და გადაგდების“, მით უფრო, მასზე შურისძიების ფუფუნება არ აქვს, – ეს მათთვის ერთადერთი მეტ-ნაკლებად ნეიტრალურ-მეგობრული „ზურგია“. ალბათ, ამით აიხსნება ის, რომ მუქარა იმარატის წარმომადგენლებისგან როგორც გაჩნდა, ისევე გაქრა.

10 სექტემბერს, „ეხო კავკაზაზე“ იდეა ინფორმაცია, რომლის თანახმად, დოკუ უმაროვის ძმა, ახმედ უმაროვი მაგომედ თორიევს დაუკავშირდა და ქართული მხარის ბრალეულობა უარყო. ამ საკითხზე დაუსრულებლად შეიძლება პრო და კონტრარგუმენტების მოტანა. ეს ნამდვილად მიუკერძოებელი გამოძიების საქმეა, რომელიც მოცემული ხელისუფლების ზეობაში მოსალოდნელი არაა.

ალბათ, არასანდო და წყალწყალაა პირად (ელექტრონულ) ურთიერთობაში ზოგი ჩეჩენი ნაცნობის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ ბოლო კვირის მინიმუმ ორ საქმეში მაინც ევროპიდან ექსტრადირებული თუ ჩამოსული ჩეჩნების გვარები ისმის. ასეა ლაფანყურის ამბავშიც. ბევრი კვალი ევროპისკენ მიდის, და როგორც ერთ-ერთი ჩემი ნაცნობი ამბობს, ახლა, როგორც ჩანს, უნდათ ხელი სერიოზულად მოჰკიდონ ევროპაში მყოფ ჩეჩნებს. ევროპა კარგა ხანია, ჩეჩენი დევნილებისთვის სანდო თავშესაფარი აღარაა. თვით ყველაზე ლოიალურად განწყობილი პოლონეთიც კი.

ამ დღეებში ჩეჩენი დევნილების საბჭო აზერბაიჯანში მსოფლიოს სამართალდამცავთა ორგანიზაციებს თხოვნით მიმართავს, შეაჩერონ რუსეთში ორი ჩეჩენი დევნილის, აბდულქერიმოვის და ჭანკაევის ექსტრადიცია. ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს

რამდენიმე წყაროს მონაცემებით, ამ ზაფხულს პანკისის ხეობაში ორასამდე ჩეჩენი დევნილი იყო ევროპიდან ჩამოსული. როგორც ჩანს, ქართული მხარე მათ რაღაცას შეპირდა, თუ რას, გამოძიების გარეშე ნუ დავაკონკრეტებთ.

დაღუპული დოკვახუ დუშუევი იჩქერიის მთავრობის პირველი პირის, ახმედ ზაკაევის საქმეში ისეთი მოწმე გამოდგა, რომლის შეცვლილმა ჩვენებებმაც მთელი საქმის მიმართულება შეცვალა და რუსეთის ხელისუფლება მწარედ გააწბილა: ახმედ ზაკაევის გადაცემა რუსეთისათვის სწორედ ამ სასამართლო პროცესმა გახადა შეუძლებელი. დუშუევი, ჩეჩნეთის პირველი ომის მონაწილე, კაცი, რომელიც ფედერალურ ციხეებში საშინელ წამებას გადაურჩა, უცნაურად აღმოჩნდა, შემდეგ კი „ლიკვიდირებულ“ იქნა ლოპოტის ხეობაში. სპეცოპერაციის დროს ცოცხლად გადარჩენილი ახმედ ჩათაევი, რომელიც რამდენიმე დღის წინ „გამოაჩინეს“, ის ადამიანია, რომლის ექსტრადიციაზე რუსეთს სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ სამჯერ ეთქვა უარი, მესამეჯერ – რუსეთი სწორედ ქართულმა მხარემ „გააწბილა“, როცა თითქოსდა საქართველოში ჩადენილი დანაშაულისთვის უკრაინის მხარეს გამოსთხოვა და რუსეთს ცხვირწინ ააცალა. 21 აგვისტოს რუსულმა მხარემ კიდევ ერთხელ მიიღო ალიყური, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მას უარი უთხრა კიდევ ერთ ექსტრადაციაზე, არადა, რუსეთი ადამ ოსმაევს ბრალს პუტინზე თავდასხმაში სდებს და რამდენიმე დღით ოდესის სასამართლოს გადაწყვეტილება რუსეთის სასარგებლოდ გადაიხარა.

რამდენიმე წყაროს მონაცემებით, ამ ზაფხულს პანკისის ხეობაში ორასამდე ჩეჩენი დევნილი იყო ევროპიდან ჩამოსული. როგორც ჩანს, ქართული მხარე მათ რაღაცას შეპირდა, თუ რას, გამოძიების გარეშე ნუ დავაკონკრეტებთ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ოფიციალურად განაცხადა, რომ ქართული მხარე მზადაა რუსეთთან თანამშრომლობისთვის: რაც შეეხება რუსეთის მოქალაქეებთან მიმართებაში (სტილი შენარჩუნებულია) რუსეთის ფედერაციას ჩვენთვის ოფიციალურად არ მოუმართავს, მათ შორის არც შვეიცარიის საელჩოს გავლით, ჩვენ ველოდებით კომუნიკაციას და მზად ვიქნებით თანამშრომლობისთვის“. და, რა თქმა უნდა, ამავე რიგის ფაქტია რუსეთის მიერ სამხედრო სწავლების „კავკასია 2012“ ლოკაციის შეცვლა და საქართველოს საზღვრიდან დაშორება.

შეიძლება, ვინმეს მოეჩვენა, რომ ქართულ მხარეს რუსეთისთვის „გაწბილების“ კომპენსირება სურს? ძალიან ლოგიკური დასკვნაა. არ მინდა ვიფიქრო, რომ ახმად ჩათაევს რამე მსგავსი დაემუქრება. არ მინდა ვიფიქრო, ის, რაც ორმა ავტორმა, მარკ ულენმა და უფლებისდამცველმა მაირბეკ ტარამოვმა იფიქრეს, როცა სტატიას „პანკისური ხაფანგი“ წერდნენ და 2002 წლის ამბებს იხსენებდნენ – სტატიაში რუსული და ქართული სპეცსამსახურების ერთობლივ თანამშრომლობის ფაქტებია აღწერილი. ეს სტატია ამ დღეებში ბევრმა ჩრდილოკავკასიელმა დადო „ფეისბუქის“ საკუთარ კედელზე.

დასკვნის მაგიერ კითხვა მინდა დავსვა, კითხვა, რომელიც ჯეიმსთაუნის ფონდის ანალიტიკოსმა, ჩეჩენმა ისტორიკოსმა, მაირბეკ ვაჩაგაევმა დასვა თავის რეგულარულ მიმოხილვაში: არის კი საქართველო ისევ მეგობრული სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის? ხომ არ გაჭირდება ამის დამტკიცება?

მაირბეკ ვაჩაგაევი ყბადაღებულ კავკასიურ კონფერენციებს ხელმძღვანელობდა თბილისში, მათ მონაწილეებს არჩევდა და ა.შ. მას, როგორც სხვა ჩეჩენ და ინგუშ მონაწილეებს, იმედი ჰქონდა, რომ თუ ქართულმა სახელმწიფომ ჩერქეზების 150 წლის წინანდელი გენოციდი აღიარა, მაშინ ჩეჩნების „გუშინდელი“ გენოციდის აღიარებაც კარზე იყო მომდგარი.

სხვა კითხვაც ჩნდება: რა საჭირო იყო კავკასიური კონფერენციები, ის უზარმაზარი ხარჯი, რომელიც მათ ახლდა და, ალბათ, რუსეთის გაღიზიანებაც, თუკი საბოლოოდ ქართულმა სახელმწიფომ მხოლოდ ჩერქეზების ერთი ნაწილის გულის მოგება შეძლო, ჩვენთვის უფრო ახლობელ ჩეჩნებს კი თავი არასანდო პარტნიორად აჩვენა; ხოლო ქისტებს, საკუთარ მოქალაქეებს, ეროვნულ უმცირესობათაგან (უხერხულიც კი მეჩვენება ამ სახელით მათი დისტანცირება) ყველაზე უფრო ინტეგრირებულ ჯგუფს გული მოუკლა, ეს სიმწარე გადაატანინა და გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენა, როცა დაღუპული ახალგაზრდების გვამებზე ვაჭრობა დაუწყო? ვინც ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიას იცნობს, ეცოდინება, რომ აქამდე კავკასიელებთან გვამებით ვაჭრობა იმპერიული რუსეთის ნოუ-ჰაუ იყო. დღეს, ქართულმა სახელმწიფომ იგივე გაიმეორა.

პინასნავლი გაჯვეთილები

კახა თოლორდავა
ჟურნალისტი

ეს მოხდა ჩიკაგოში 1998 წელს. ჩემმა იქაურმა მასპინძლებმა სადილად დამპატიჟეს ქალაქის ერთ-ერთ რესტორანში. ჩემ გარდა დიდ, მრგვალ მაგიდას კიდევ ხუთი თუ ექვსი დაპატიჟებული სტუმარი უჯდა, – ორი ჟურნალისტი, სარეკლამო კომპანიის კრეატიული დირექტორი და, თუ სწორედ მახსოვს, აეროპორტის დისპეტჩერი. დანარჩენების პროფესიას ვერ ვიხსენებ. ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, ყველაზე მთავარზე გადავალ, – რაღაც მომენტში, საუბრისას, სიტყვა პოლიტიკაზე ჩამოვარდა და სწორედ იმ წამიდან გამოვეთიშე საუბარს. უბრალოდ, სათქმელი არაფერი მქონდა და იმიტომ.

სამაგიეროდ, იმ საღამოს ჩემმა მასპინძლებმა და მათმა მეგობრებმა, ისე, რომ თვითონ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ, პირველი დაუვიწყარი გაკვეთილი ჩამიტარეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესების და მისწრაფებების ადამიანებმა ისე იკამათონ პოლიტიკაზე, რომ ერთმანეთს შეურაცხყოფა არ მიაყენონ. ეს საღამო გუშინდელმა შემთხვევამ გამახსენა, როდესაც თბილისის ერთ-ერთ კაფეში ჭიქა ყავით ხელში დავდიოდი თავისუფალი ადგილის საძებნელად.

„შენნაირი სირების გამოა ეს ქვეყანა ასეთ დღეში! ვააბშე, პოლიტიკაზე ბაზარი რა შენი საქმეა, შე ჩემა?!“ დაბალი, ზიზღნარევი ხმით წარმოთქმულმა ამ ფრაზამ უკან მიმახედა. ორნი იყვნენ, სადღაც ორმოცდაათს მიტანებული მამაკაცი, ორივე საკმაოდ კარგად ჩაცმული, ერთ-ერთს წინ ჩართული „აიფადი“ ედო. არა, არცერთს არ ვიცნობდი. „სირი მამაშენი რეზო იყო პრეზერვატივი რომ არ იხმარა იმ დღეს!“ – არ ჩამორჩა მეორე. ასე იყო, სიტყვა-სიტყვით, ოღონდ უწმაწური სიტყვების შერბილებით. მხოლოდ ამ ორ ფრაზას მოვკარი ყური, რადგანაც სწორედ ამ დროს თავისუფალი მაგიდა დავინახე და იქითკენ გავემართე. კაფედან რომ გავდიოდი, ისინი ისევ თავის ადგილზე ისხდნენ. „აიფადიანი“ რაღაცას ეუბნებოდა მეორეს, თან საჩვენებელი თითით მაგიდის გახვრეტას ცდილობდა. მოდი, აქ კიდევ უფრო ავაჩქარებ თხრობას.

ქუჩაში რომ გავედი და ფეხით გავუყევი ქუჩას, ჯერ ის ამერიკული საღამო გამახსენდა, მერე კი იძულებული გავხდი კიდევ ერთხელ მეღიარებინა, რომ მიუხედავად ძალიან მწარე, სამარცხვინო გამოცდილებისა, უკვე ორ ათწლეულზე მეტია ჩვენ ვერა და ვერ ვისწავლეთ ერთმანეთთან პოლიტიკურ საკითხებზე და ინტერესებზე საუბარი თუ კამათი და ყველაფერმა ამან შესამჩნევად იმოქმედა ქალაქის ყოველდღიურობაზე.

ქალაქი თვითონ გიყვება საკუთარ მოქალაქეებზე და ხშირად ისეთ რამეებს შეგახსენებს ხოლმე, რის მიჩქმალვასაც ან ცდილობ, ან შეგუებული ხარ.

სასწრაფოდ დავამატებ, რომ ძალიან შორს ვდგავარ მორალისტური შეგონებებისაგან ანუ, ოჰ, ქართველებს ეს არ

გვეკადრება, ან ეს ასე არ უნდა იყოს! ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველა ახლა ვსწავლობთ მოქალაქეობას და ეს არც ისეთი ადვილი საქმე ყოფილა, როგორიც გვეგონა. ამას ემატება ისიც, რომ, პოლიტიკური მოვლენების ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი უნარებიც სუსტადაა ჩვენში ფეხმოკიდებული, რომ არაფერი ვთქვათ განსხვავებული შეხედულებების გაგების მცდელობებზე. სხვათა შორის, ესეც მესმის, – მარტო დედაქალაქი რომ ავიღოთ, თბილისელებმა პოლიტიკაზე კამათი სულ რაღაც ოცდახუთი წლის წინ დავიწყეთ. იმასაც ნუ იფიქრებთ, თითქოს მეგონოს, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო ერთმანეთის ათვალწუნება მხოლოდ აქაური ხილია. ეს ყველგან ხდება. აბა, მაშინ რატომ ვწერ ტექსტს, რომლის ძირითადი თემაც ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ უგემური გრიმასით დამისერავდა სახეს? უფრო მეტიც, ეს გრიმასა ახლაც სახეზეა!

ოთხას ორმოცდაათ სიტყვაში ჩასატევი ჩემი პასუხი, აი, ესაა: ალბათ იმიტომ, რომ გუშინდელმა შემთხვევამ საკმაოდ მოულოდნელად უსიამოვნოდ შემაშინა, თითქოს რაღაც ქვადქცეული ნაკადი გამოეცოცხლებინოს ჩემში. გამახსენა ყველაფერი, რისი გახსენებაც არ მინდა, ან არ მსიამოვნებს, მაგალითად ის, რომ თბილისელებს დღესაც ეზიზღებათ ერთმანეთი მხოლოდ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, გამახსენა ერთმანეთზე გადაკიდებული მეგობრები და ოჯახის წევრები, ერთმანეთის მისამართით წარმოთქმული უწმაწურობები, არიდებული თვალები, ართქმული სალმები, მოკლედ, ის რის მიჩქმალვასაც ვცდილობთ იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი თავისით მოგვარდება და რაც მთავარია, ის, რომ არაფერი შეცვლილა!

ქალაქში ხეტიალისას ეს ძალიან მკაფიოდ იგრძნობა. ქალაქი არასდროს იტყუება.

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან

98.5

▸ მოგესალმებით ყველას, დღეს მე გავხსენი... პირი მაქვს დაღებული, ისეთი სილამაზეა და დამავიწყდა რისი თქმა მინდოდა... და მეორე მხრიდან კიდევ უფრო ლამაზია. დღეს მე გავხსენი ქუთაისში ახალი მთავრობის სახლის მშენებლობა.

▸ რამდენიმე დღის წინ ვიყავი ბიზნეს შეხვედრაზე ნიცაში. მინდა გითხრათ, დღესაც ბათუმი მთელი რიგი კომპონენტებით ნიცას უკვე სჯობია და ორ-სამ წელიწადში ყველა პარამეტრით – ცხოვრების და კომფორტის – ჯიბეში ჩაისვამს ნიცასაც და კანსაც.

▸ ჩვენმა ძროხებმა ეხლა თუ არ მოიწველეს ოთხჯერ უფრო მეტი და ერთ ჰექტარზე სამჯერ-ოთხჯერ მეტი თუ არ მოვიყვანეთ საქართველოში, ვერ ვაჭმევთ ამ ხალხს.

▸ ბრიტანეთმა უნდა გადაიღოს ლამის ქართული სისტემა. ეხლა რუსეთიდან საერთოდ ჩამოდიან ჯგუფები და ამ ჩვენს სისტემას სწავლობენ. სხვათა შორის, რაღაცეებში გვბაძავენ, რაღაც მოძრაობებს აკეთებენ უფრო მიმიკის დონეზე.

▸ 37 მანეთად ნატაშების სანახავად ჩვენ ველარ ვიფრენთ მოსკოვში ვერასოდეს.

▸ ჩვენ გვაქვს ლეპტოპები და გვყავს მასწავლებლები, ეს მართლაც რევოლუციურია.

▸ ჩვენ კი არ უნდა ვიყოთ ევროპული შვეიცარია. შვეიცარია გახდეს აწი ევროპული საქართველო, არავის საჩანჩალო, სახვეწარი და შესადარებელი არ გვაქვს, აქეთ შეგვედაროს ყველა.

▸ უკლებლივ ყველას კბილის ყველა პრობლემა გადავუწყვიტოთ, დავპლომბოთ, ჩავუსვათ, გავუპრიალოთ კბილები ყველას, რომ იყვნენ კარგ ხასიათზე და სულ იღიმებოდნენ. საპრეზიდენტო პროგრამა გავაკეთოთ და დავარქვათ „ღიმილიანი საქართველო“.

▸ აქედან მოდის ის საუბარი, რომ შეხედე ამას „იქენე-აქანე“ საუბარი და „ლ-იებით“ არ მოგვწონს ლაპარაკი. ძალიან ბევრი დიდი ქართველი ლაპარაკობდა „ლ-იებით“, რითი არის „ლ-იებით“ მოლაპარაკე ქართველი „ლ-უებით“ მოლაპარაკე ქართველზე უკეთესი.

▸ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ახალი მეთოდებით მუშაობა, პირველ რიგში, ეს არის მეთესლეობა, ძალიან მარტივი. შარშან 2009 წელი ჩაგვივარდა, ცუდი კლიმატური პირობები იყო. წელს ჩვენ უნდა ვისწავლოთ ახალი თესლის გამოყენება.

▸ „ვარდების რევოლუცია“ რომ არ მომხდარიყო, ვიჯდებოდით ეხლა აბსოლუტურ სიბნელეში. არ გამადლით, უბრალოდ, რომ არ ყოფილიყო „ვარდების რევოლუცია“, არ იქნებოდა დენი.

▸ ნახეთ ახლა, ესეთ დონეზე ბორშჩს, შეიძლება, ოჯახების დიდი პროცენტი საქართველოში ყოველდღიურად ვერ ჭამდეს. მიუხედავად ამდენი წკავწკავისა პენიტენციალური დეპარტამენტისა და სამინისტროს გარშემო, ავაწყეთ სისტემა.

▸ ეს იქნება ევროპის ყველაზე გრძელი ბულვარი, ისეთი კი არ არის, ნიცაში რომ არის, ისეთი ვიწრო, რაღაც ესეთი, მართლა ძალიან დიდი ბულვარი, ყველაზე ფართო, ყველაზე ლამაზი და ყველაზე გრძელი ბულვარი ევროპაში.

MUST CARRY!

ᲔᲐᲠᲠᲐ

14

მოაწერე ხელი ონლაინ პეტიციას მისამართზე

tv9.ge/peticia

ან დარეკე

2 19 48 48

(ზარი უფასოა)

Must Carry-ს კანონის მოქმედების შეწყვეტისთანავე
"მეცხრე არხი" შეიძლება გაითიშოს.
2 ოქტომბრიდან თქვენ შეიძლება აღარ გქონდეთ ინფორმაციის
სანდო წყარო, რომელიც არჩევნების შედეგებს
ობიექტურად გაამუქებს.

ნუ დარჩები თავისუფალი სიტყვის გარეშე!

mediamonitor.ge

მ ე დ ი ა მ ო ნ ი ტ ო რ ი

როგორ შუქდება წინასაარჩევნო კამპანია
ქართულ ტელე, რადიო, ბეჭდურ და ინტერნეტ მედიაში.
ქართული მედიის მონიტორინგის
უახლესი ანგარიშები ვებგვერდზე:

www.mediamonitor.ge

Find us on Facebook **Mediamonitor.ge**

EUROPEAN UNION

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა
და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.